

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)

ამ დოკუმენტის ორიგინალური ტექსტის თარგმანები კეთდება EBRD-ის მიერ მხოლოდ მკითხველის მოხერხებულობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ EBRD ზრუნავს თარგმანის ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, EBRD არ იძლევა გარანტიას და არ ადასტურებს თარგმანის სიზუსტეს. მკითხველი, რომელიც ეყრდნობა ასეთ თარგმანს, ამას აკეთებს საკუთარი რისკის ქვეშ. არავითარ შემთხვევაში EBRD, მისი თანამშრომლები ან აგენტები არ არიან პასუხისმგებელი მკითხველის ან ვინმეს წინაშე თარგმანის ნებისმიერი უზუსტობის, შეცდომის, გამოტოვებისთვის, წაშლის, ხარვეზის ან/და თარგმანის შინაარსის შეცვლაზე, რაც არ უნდა იყოს გამოწვეული, ან რაიმე ზიანისთვის. მათი შედეგად. ინგლისურენოვან ვერსიასა და ნათარგმნს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ვერსიას.

სარჩევი

ნაწილი I: მიზანი	4
ნაწილი II: დეფინიციები.....	5
ნაწილი III: ფარგლები.....	6
1. EBRD-ის როლი და პასუხისმგებლობები.....	6
2. EBRD-ს ვალდებულებები.....	6
3. გარემოსდაცვით და სოციალურ შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.....	7
4. გარემოსდაცვითი და სოციალური მოსაზრებების ინტეგრირება პროექტებში	8
5. EBRD-ის საჯარო ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება	11
6. ინსტიტუციური და განხორციელების ღონისძიებები	12
7. დანართები	12
ნაწილი IV: დათქმები, გამონაკლისები, და ინფორმაციის გასაჯაროება	13
1. დათქმები.....	13
2. გამონაკლისები.....	13
3. ინფორმაციის გასაჯაროება.....	13
ნაწილი V: გარდამავალი დებულებები	13
ნაწილი VI: ძალაში შესვლის თარიღი	13
ნაწილი VII: გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩო.....	13
ნაწილი VIII: გადასინჯვა და ანგარიშგება	13
1. გადასინჯვა.....	13
2. ანგარიშგება	13
ნაწილი IX: დაკავშირებული დოკუმენტები	13
დანართი 1: EBRD -ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამონაკლისების ნუსხა	14
დანართი 2: A კატეგორიის პროექტები	16

EBRD შესრულების მოთხოვნა 1: გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შეფასება და მართვა.....	18
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 2: შრომისა და სამუშაო პირობები.....	23
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი	29
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 4: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცვა	33
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 5: მიწის შექმნა, შეზღუდვები მიწათსარგებლობაზე და იძულებითი განსახლება.....	39
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	52
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 7: მკვიდრი მოსახლეობა	58
EBRD-ს შესრულების მოთხოვნა 8: კულტურული მემკვიდრეობა.....	63
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 9: ფინანსური შუამავლები.....	66
A დანართი: FI-ს რეფერალური ნუსხა.....	68
EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 10: ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	69

ნაწილი I: მიზანი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD ან ბანკი) მოწოდებულია EBRD-ის¹ დაფუძნების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ხელი შეუწყოს „ეკოლოგიურად უსაფრთხო და მდგრად განვითარებას“ მისი საქმიანობის სრულ ფარგლებში. ბანკი აცნობიერებს, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა არის ფუნდამენტური ასპექტი იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც შესაბამისობაშია მის გარდაქმნის მანდატთან. აქედან გამომდინარე, პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსდაცვით და სოციალურ მდგრადობას, ბანკის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტში:

- მიმოხილულია, თუ როგორ შეაფასებს და შეამოწმებს ბანკი მისი პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს და მათ ზემოქმედებას;
- განსაზღვრულია მინიმალური მოთხოვნები გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების მართვისთვის, რომლებიც გამოწვეულია EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტებით, პროექტების მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;
- განსაზღვრულია ბანკის სტრატეგიული მიზანი, რომ ხელი შეუწყოს მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მქონე პროექტების განხორციელებას; და
- განსაზღვრულია როგორც EBRD-ის, ასევე მისი კლიენტების როლები და პასუხისმგებლობები პროექტების შემუშავებასთან, განხორციელებასა და ოპერირებასთან მიმართებაში, ამ პოლიტიკის შესაბამისად.

ეს დოკუმენტი ჩაანაცვლებს EBRD-ს გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას (2014) და შესაბამის შესრულების მოთხოვნებს.

¹ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაარსების შესახებ შეთანხმების მუხლი 2.1 (vii).

ნაწილი II: დეფინიციები

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა ექნება:

„დაკავშირებული/ასოცირებული ობიექტები/შესაძლებლობები“

ობიექტები ან აქტივობები, რომლებიც არ არის დაფინანსებული EBRD-ის მიერ პროექტის ფარგლებში, მაგრამ რომლებიც EBRD-ის აზრით მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისთვის, ან პროექტის შეთანხმებული შედეგების მიღწევისთვის. ეს არის ახალი ობიექტები ან აქტივობები: (i) რომელთა გარეშეც პროექტი არ იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი, და (ii) არ იქნებოდა აშენებული, გაფართოებული, განხორციელებული, ან არ დაიგეგმებოდა მისი მშენებლობა ან განხორციელება, თუ პროექტი არ იარსებებდა.

„კარგი საერთაშორისო პრაქტიკა“, ან „GIP“

პროფესიული უნარის, შრომისმოყვარეობის, კეთილგონიერების და წინდახედულობის გამოჩენა, რაც გონივრულად იქნება მოსალოდნელი გამოცდილი და კვალიფიციური პროფესიონალებისაგან, რომლებიც ჩართული არიან იმავე ტიპის საქმიანობაში, იმავე ან მსგავს გარემოებებში, გლობალურად ან რეგიონალურად. ასეთი განხორციელების შედეგი უნდა იყოს ის, რომ პროექტი იყენებს ყველაზე შესაფერის ტექნოლოგიებს და სტანდარტებს პროექტისათვის დამახასიათებელ გარემოებებში.

„შერბილების იერარქია“

ზომები, რომლებიც მიღებულია გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების გამოწვევის ასაცილებლად, განვითარების საქმიანობის დასაწყისიდანვე, ხოლო სადაც მსგავსი აცილება შეუძლებელია, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შეამცირებს, შეარბილებს, და როგორც უკანასკნელი საშუალება, აანაზღაურებს და/ან დააკომპენსირებს ნებისმიერ პოტენციურ დარჩენილ უარყოფით ზემოქმედებას.

„პროექტი“

გარკვეული სამუშაოები, საქონელი, მომსახურება და/ან ბიზნეს საქმიანობა, რომელიც განსაზღვრულია დაფინანსების ხელშეკრულებებში და რომელზეც EBRD-ის დაფინანსების მისაღებად კლიენტისგან თხოვნის განაცხადია მიღებული, და რომელიც დამტკიცებულია EBRD-ის დირექტორთა საბჭოს მიერ, ხოლო თუ დირექტორთა საბჭომ მოახდინა დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება, ბანკის ხელმძღვანელობის მიერ.

„სოციალური“

საკითხებს, რომლებიც შეეხება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და მათ თემებს და მუშაკებს, და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან, მოწყვლადობასთან, გენდერულ იდენტობასთან, ადამიანის უფლებებთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან, შრომისა და სამუშაო პირობებთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასთან.

„მოწყვლადი ადამიანები“

ადამიანები, ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც, გენდერის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის, ასაკის (ზავშვების, ახალგაზრდების და ხანდაზმულების ჩათვლით), ფიზიკური ან ფსიქიკური უნარშეზღუდულობის, წიგნიერების, პოლიტიკური მრწამსის, ან სოციალური სტატუსის ნიშნით, შეიძლება პროექტის შედეგად უფრო მეტად უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, ვიდრე სხვები. მოწყვლადი ადამიანები და/ან ჯგუფები შეიძლება ასევე იყვნენ, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ადამიანებით, რომლებიც მოწყვლად სიტუაციაში იმყოფებიან, მაგალითად ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უმიწაწყლოებს, ოჯახებს, სადაც ერთი მარჩენალი ჰყავთ, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ თემებს, მიგრანტ მუშაკებს, დევნილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ან სხვა გადაადგილებულ პირებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცული ეროვნული კანონმდებლობით და/ან საჯარო საერთაშორისო სამართლით.

ნაწილი III: ფარგლები

1. EBRD-ის როლი და პასუხისმგებლობები

- 1.1. EBRD-ის პასუხისმგებლობები შეესაბამება მისი, როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის როლს, რომელიც უზრუნველყოფს EBRD-ის მიერ დამტკიცებული პროექტების დაფინანსებას. ნებისმიერ კონკრეტულ ინვესტიციას ან ტექნიკური თანამშრომლობის პროექტთან დაკავშირებით, EBRD-ის ჩართულობის დონე განისაზღვრება პროექტის ხასიათითა და მასშტაბით, დონორთა დაფინანსების ხელმისაწვდომობით, ისევე, როგორც კლიენტთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის სპეციფიკური გარემოებებით.
- 1.2. EBRD-მ შესაძლოა თავი შეიკავოს პროექტის დაფინანსებისაგან გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხების საფუძველზე. არსებობს რამდენიმე სახის საკმინაობა, რომელსაც EBRD არ აფინანსებს EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამონაკლისების სიის თანახმად, რომელიც მოცემულია ამ პოლიტიკის 1-ელ დანართში.
- 1.3. EBRD-ი ახორციელებს რიგი დონორი ფონდების ადმინისტრირებას. პროექტები ან საკმინაობა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაფინანსებული სპეციალური დონორი ფონდებიდან, ამ პოლიტიკასთან შესაბამისობაში განხორციელდება. დონორთა სახსრებით დაფინანსებულ პროექტებზე შესაძლებელია გავრცელდეს დონორთა დამატებითი გარემოსდაცვითი ან სოციალურ საკითხების მოთხოვნები, EBRD-სა და დონორებს შორის შეთანხმების შესაბამისად.

2. EBRD-ს ვალდებულებები

- 2.1. EBRD-ის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
- 2.2. EBRD, როგორც გარემოს დაცვის ევროპული პრინციპების ხელმძღვრელი,² უზრუნველყოფს, რომ პროექტები აკმაყოფილებდნენ ევროკავშირის გარემოსდაცვითი პრინციპების, პრაქტიკისა და არსებითი სტანდარტების მოთხოვნებს³, იქ, სადაც ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის დონეზე, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. როდესაც მასპინძელი ქვეყნის რეგულაციები განსხვავდება ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტებისაგან, პროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომელიც უფრო მკაცრია.

- 2.3. EBRD შეგნებულად არ დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას, ან ქვეყანაზე საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კონვენციებით და შეთანხმებებით დაკისრებულ ვალდებულებებს, რომლებიც გამოვლინდება პროექტის შეფასების ეტაპზე.
- 2.4. EBRD-ი ვალდებულდება იღებს უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვა მის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.⁴ EBRD-ი მოითხოვს თავისი კლიენტებისგან მათი საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა პატივისცემა, სხვა ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილება, და რეაგირება მოახდინონ ადამიანის უფლებების უარყოფით ზემოქმედებაზე და რისკებზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მათ ბიზნეს საქმიანობამ. EBRD-ი განუწყვეტლივ გააუმჯობესებს თავის მიერ დაფინანსებულ პროექტებს კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, და შეეცდება ეტაპობრივად გააძლიეროს ადამიანის უფლებების რისკების იდენტიფიცირებისა და რეაგირების პროცესები, პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის ეტაპებზე.
- 2.5. EBRD მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობა არის თანამედროვე, კარგად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ასპექტი, და იგი მოწოდებულია აღმოფხვრას გენდერული დისკრიმინაცია და ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას მისი მანდატის ფარგლებში. EBRD მოითხოვს თავისი კლიენტებისაგან, რომ მათ მოახდინონ ნებისმიერი პოტენციური გენდერულ საკითხთან დაკავშირებული და არაპროპორციული, უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეიმუშაონ შემარბილებელი ღონისძიებები მათ შესამცირებლად. EBRD მოითხოვს თავისი კლიენტებისგან რომ მათ მიიღონ ზომები, რათა ეფექტურად თავიდან აიცილონ და უპასუხოთ ნებისმიერი ფორმის ძალადობას, შევიწროებას, მათ შორის, ექსპლუატურ შევიწროებას, ექსპლუატაციას და ძალადობას, გენდერულ ძალადობას, ჩაგვრას, დამინებას და/ან ექსპლუატაციას.
- 2.6. EBRD მოითხოვს თავისი კლიენტებისგან, იდენტიფიცირება მოახდინონ მოწყვლადი ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების, რომლებიც შეიძლება პროექტების შედეგად არაპროპორციული გავლენის ქვეშ მოექცნენ და დაავალდებონ მათ შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას, რათა მოწყვლადი ადამიანები არ

² გარემოს დაცვის ევროპული პრინციპები (EPE) მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის, EBRD-ს, ევროპის საინვესტიციო ბანკის, სკანდინავიური გარემოსდაცვითი საფინანსო კორპორაციისა და ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკის მიერ. EPE არის ინიციატივა, წამოწყებული იმ გარემოსდაცვითი პრინციპების, პრაქტიკისა და სტანდარტების ჰარმონიზაციის გაუმჯობესებაზე მიმართული მისწრაფების საპასუხოდ, რომელიც დაკავშირებულია პროექტების დაფინანსებასთან. EPE-ის ვალდებულებები ასახულია PR-ში 1, 3, 4 და 10.

³ ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები შეტანილია ევროკავშირის მეორად კანონმდებლობაში, მაგალითად, რეგულაციებში, დირექტივებში და გადაწყვეტილებებში. პროცესუალური ნორმები, მიმართული წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი, ევროპული სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისპრუდენციისადმი, რომელიც ეხება წევრ ქვეყნებს, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ევროკავშირის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, გამოირიცხება ამ განსაზღვრებიდან.

⁴ ამ პოლიტიკის მიზნებისათვის EBRD-ი იხელმძღვანელებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რვა ფუნდამენტური კონვენციით..

დაექვემდებარონ არაპროპორციულ ზემოქმედებას. ეს მოიცავს იმის შეფასებას, თუ რა მოცულობით შეიძლება შეუქმნას პრობლემები პირველადი საჭიროების მომსახურებებზე დაუცველ და/ან მოწყვლად მოსახლეობის ჯგუფებს პროექტებით გამოწვეულმა ტარიფის ცვლილებებმა, და EBRD-ი დარწმუნდეს, რომ შემუშავებულია და ამოქმედებულია ეფექტური სქემები, რომლებიც შეარბილებენ ხელმისაწვდომობის გამოწვევებს.

2.7. EBRD აღიარებს კლიმატის ცვლილების გამოწვევი მიზეზებისა და უარყოფითი შედეგების მხედველობაში მიღების მნიშვნელობას მისი საქმიანობის ქვეყნებში. EBRD ჩაერთვება, როდესაც ეს შესაძლებელია, ინოვაციური ინვესტიციებისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფაში, რათა მხარი დაუჭიროს დაბალი ნახშირბადის შემცველობის/უნახშირბადო პროექტების ინვესტიციას და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის შესაძლებლობებს, და აგრეთვე, მოახდენს იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, რომლებიც თავიდან აიცილებენ, მინიმუმამდე დაიყვანენ ან შეამცირებენ სათბურის აირების ემისიას პროექტებში. EBRD-ი მოსთხოვს თავის კლიენტებს შეაფასონ პროექტებზე კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული რისკები. EBRD ასევე მხარს დაუჭირს თავის კლიენტებს კლიმატის ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავებაში და კლიმატზე მორგებულ ინვესტიციებში, ისევე როგორც კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული რისკების მართვაში.

2.8. EBRD მოსთხოვს თავის კლიენტებს სიფრთხილის ზომების გამოყენებას ცოცხალი ბუნებრივი რესურსების დაცვის, კონსერვაციის, მართვისა და მდგრადი გამოყენების მიდგომებში. კლიენტები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ შესაბამისი პროექტები ითვალისწინებდნენ ზომებს, რომლებიც მიმართულია ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების დაცვასა, და სადაც ეს შესაძლებელია, მათ გაძლიერებაზე, ბიომრავალფეროვნების წმინდა დანაკარგების აღმოფხვრის, და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

2.9. EBRD-ი ერთგულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრინციპებისა, და იგი ხელს უწყობს თავისი კლიენტების მიერ ამ პრინციპების დამკვიდრებას და განხორციელებას. EBRD მოითხოვს თავისი კლიენტებისგან დაიცვან საჯარო ინფორმაციასა და კონსულტაციებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის მოქმედი მოთხოვნები, გამოავლინონ დაინტერესებული მხარეები, რომლებიც პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ არიან და/ან დაინტერესებულნი არიან პროექტებით, და შეიმუშაონ და დანერგონ გასაჩივრების მექანიზმი. პროექტის ხასიათისა და მასშტაბის, და მისი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების პროპორციულად, EBRD მოსთხოვს თავის კლიენტებს, გაასაჯაროონ საკმარისი ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკებისა და ზემოქმედების შესახებ, ჩაერთონ

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებში აზრიანი, ეფექტური, ინკლუზიური და კულტურულად შესაბამისი გზით, და გაითვალისწინონ ამგვარი ჩართულობის შედეგად მოწოდებული უკუკავშირი.

2.10. EBRD პარტნიორობას გაუწევს კლიენტებს, რათა დაეხმაროს მათ თავიანთი საქმიანობის ღირებულების გაზრდაში, გრძელვადიანი მდგრადობის გაუმჯობესებაში, და მათი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შესაძლებლობების გაძლიერებაში. EBRD-ი ეფექტური გავლენის კოორდინირების მიზნით ითანამშრომლებს სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, ევროკავშირთან, ორმხრივ დონორებთან, გაეროს სააგენტოებთან და სხვა ორგანიზაციებთან, რათა ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით და სოციალურ მდგრადობას რეგიონულ ან სექტორულ დონეზე, იმ ქვეყნებში, სადაც იგი ოპერირებს. სხვა მულტილატერალური განვითარების ბანკებთან და ბილატერალურ განვითარების ინსტიტუტებთან ერთად პროექტების თანადაფინანსების შემთხვევაში, EBRD-ი ითანამშრომლებს მათთან, რათა შეთანხმდნენ პროექტის შეფასებასთან, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების მართვასთან, მონიტორინგთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საერთო მიდგომებზე. საერთო მიდგომა შეიძლება მისაღები იყოს EBRD-სთვის იმ პირობით, რომ ასეთი მიდგომა არსებითად შეესაბამება ამ პოლიტიკის შინაარსს და შედეგებს, მათ შორის შესრულების მოთხოვნებს. ბანკი მოსთხოვს კლიენტებს პროექტისადმი გამოიყენონ ბანკის მოთხოვნები ან საერთო მიდგომა.

2.11. EBRD-ის ქვეყნების სტრატეგიები, ისევე როგორც სექტორული სტრატეგიები და პოლიტიკა, ასახავს ინფორმაციას შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევებისა და შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია EBRD-ის მიერ გათვალისწინებულ საქმიანობასთან.

2.12. EBRD-ი, ტექნიკური თანამშრომლობისა და პოლიტიკის დიალოგის მეშვეობით, შეეცდება მოიძიოს შესაძლებლობები რათა გაზარდოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, ზემოქმედების და შესაძლებლობების გათვალისწინების და მართვის პოტენციალი, მისი მოქმედების ქვეყნებში. EBRD-ი ხელს შეუწყობს ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას თავისი კლიენტებისთვის რათა მათ მიაღწიონ ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრად შედეგებს მათ პროექტებში.

3. გარემოსდაცვით და სოციალურ შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

3.1. EBRD-მ შეიმუშავა შესრულების მოთხოვნების (PR) ყოვლისმომცველი წყება გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის ძირითად სფეროებთან დაკავშირებით, რაც პროექტებს მოეთხოვებათ რომ შეასრულონ. PR-ის მნიშვნელოვანი ნაწილია

შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება.

3.2. PR-ები შემდეგია:

- PR 1 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა
- PR 2 შრომისა და სამუშაო პირობები
- PR 3 რესურსების ეფექტურობა, დაბინძურების პრევენცია და კონტროლი
- PR 4 ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცვა
- PR 5 მიწის მოპოვება, შეზღუდვები მიწათსარგებლობაზე და იძულებითი განსახლება
- PR 6 ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- PR 7 მკვიდრი მოსახლეობა
- PR 8 კულტურული მემკვიდრეობა
- PR 9 ფინანსური შუამავლები
- PR 10 ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

PR 1-დან 8-მდე და PR 10 მოიცავს პროექტებში პირდაპირ ინვესტიციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს; PR2 და PR9, და PR4-ის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მოთხოვნები მოიცავენ ფინანსური შუამავლების (FI) პროექტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. თითოეული PR-ი მოიცავს EBRD-ის კლიენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს EBRD-ის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებთან მიმართებაში, დამოუკიდებლად იმისა, ეს პროექტები ხორციელდება უშუალოდ კლიენტის, თუ მესამე მხარეების მიერ⁵. ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა ყველა PR-ის განუყოფელი ნაწილია.

3.3. პროექტები, რომელიც მოიცავს ახალ ობიექტებს ან ბიზნეს საქმიანობას, თავიდანვე იქნება შემუშავებული ისე, რომ დააკმაყოფილოს PR-ები. თუ პროექტი გულისხმობს კლიენტის არსებული ობიექტების ან ბიზნეს საქმიანობების მოდერნიზაციას და გაუმჯობესებას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ PR-ებს პროექტის დამტკიცების პერიოდიდან, დირექტორთა საბჭოს მიერ ან ბანკის ხელმძღვანელობის მიერ, თუ დირექტორთა საბჭომ დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება მოახდინა ბანკის ხელმძღვანელობასთან, ან სადაც პროექტი თავიდანვე არ აკმაყოფილებს PR-ებს, კლიენტს მოეთხოვება, მიიღოს გარემოსდაცვითი და

სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP), რომელიც მოიცავს ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებად და ხარჯთაღმწიკტურ ზომებს, რათა მიღწეულ იქნას ამ ობიექტების და საქმიანობების შესაბამისობა PR-ებთან EBRD-თვის მისაღები ვადების ფარგლებში.

ESAP-ში, EBRD-ი და კლიენტი შეთანხმდებიან კონკრეტულ მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებზე, შემარბილებელ ღონისძიებებზე და განხორციელების ვადებზე, რომლებიც კლიენტმა უნდა განახორციელოს და მართოს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვის მიზნით PR-ების შესაბამისად. ESAP-ი დაფინანსების ხელშეკრულებების ნაწილი იქნება, და საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს კლიენტის ვალდებულებას ხელი შეუწყოს ESAP-ის განხორციელებას.

3.4. პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება მოიცავს დაკავშირებული ობიექტების [შენიშვნა: დაკავშირებული ობიექტები გულისხმობს ასოცირებულ ობიექტებს] გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შეფასებას. კლიენტებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ დაკავშირებული ობიექტებით გამოწვეული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები და ზემოქმედება იქნეს მართული და შერბილებული მოქმედი კანონმდებლობის, GIP-ისა და PR-ის მიზნების შესაბამისად. სადაც დაკავშირებული ობიექტები ვერ იქნება შემუშავებული ისე რომ უპასუხოს PR-ის მიზნებს, პროექტის შეფასების პროცესში გამოვლენილი იქნება გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები და ზემოქმედება, რაც ამგვარმა ობიექტებმა შეიძლება გამოიწვიოს პროექტის ფარგლებში.

3.5. როდესაც პოტენციურად მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები და ზემოქმედება იქნება იდენტიფიცირებული პროექტთან ახლომდებარე სხვა ობიექტებიდან ან საქმიანობიდან გამომდინარე, და კლიენტის კონტროლის მიღმა არსებული ობიექტებიდან, საშუალებებიდან ან საქმიანობიდან, რომელზეც PR არ ვრცელდება, კლიენტი განახორციელებს გონივრულ ძალისხმევას, რომ შეაფასოს და შეარბილოს პროექტზე არსებული რისკები.

4. გარემოსდაცვითი და სოციალური მოსაზრებების ინტეგრირება პროექტებში

კატეგორიზაცია

⁵ მესამე მხარე, ასევე შეიძლება იყოს სამთავრობო სააგენტო, კონტრაქტორი, მიმწოდებელი, რომელთანაც პროექტს/ კლიენტს აქვს საკონტრაქტო ურთიერთობები, ან არსებითად ჩართულია მის საქმიანობაში.

პირდაპირი ინვესტიციები⁶

- 4.1. EBRD-ი პროექტებს კატეგორიებად ანაწილებს იმისთვის, რომ განსაზღვროს მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების, ინფორმაციის საჯაროობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხასიათი და დონე. ეს პროექტის ხასიათის, ადგილმდებარეობის, სენსიტიურობისა და მასშტაბის, და მისი ახალი და დამატებითი პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების პროპორციული იქნება.
- 4.2. პროექტი A კატეგორიის პროექტად იქნება მიჩნეული, როდესაც მან შეიძლება გამოიწვიოს პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება, მათ შორის, პირდაპირი და კუმულაციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, რომელიც ახალი და დამატებითია, და რომელიც კატეგორიზაციის დროისათვის შესაძლოა ადვილად ვერ იყოს იდენტიფიცირებული და შეფასებული. A კატეგორიის პროექტები მოითხოვენ ფორმალურად და მონაწილეობით გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედების შეფასების პროცესს. A კატეგორიის პროექტების ჩამონათვალი წარმოდგენილია ამ პოლიტიკის მე-2 დანართში.
- 4.3. პროექტი B კატეგორიის პროექტად იქნება მიჩნეული, როდესაც მისი პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება არის როგორც წესი, ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელი, და/ან ადვილად იდენტიფიცირებული და გადაჭრილი ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების გზით. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლები განსაზღვრული იქნება EBRD-ის მიერ კონკრეტული პროექტის სპეციფიკის მიხედვით.
- 4.4. პროექტი C კატეგორიის პროექტად იქნება მიჩნეული, როდესაც მოსალოდნელია მინიმალური პოტენციური გარემოსდაცვითი და/ან სოციალური უარყოფითი ზემოქმედება ან საერთოდ არ ექნება ასეთი ზემოქმედება.
- 4.5. საწყისი გარემოსდაცვითი და სოციალური გამოკვლევები (IESE) ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კატეგორიზაციის დროისთვის არ იქნება საკმარისი ინფორმაცია, რათა დადგინდეს შეფასების სათანადო კატეგორია და ფარგლები.

ფინანსური შუამავლები

- 4.6. პროექტის კატეგორიზაცია ხდება, როგორც „FI“ იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების სტრუქტურა მოიცავს კაპიტალის უზრუნველყოფას ფინანსური შუამავლების (FI) მეშვეობით.

საერთო მიდგომა პროექტის შეფასების მიმართ

- 4.7. ყველა პროექტი გაივლის გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას იმისთვის, რომ დაეხმაროს EBRD-ს გადაწყვიტოს, დაფინანსდეს თუ არა პროექტი, და თუ კი, გადაწყვიტოს თუ როგორ უნდა

მოხდეს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების რისკებისა და ზემოქმედების გადაჭრა პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ოპერირების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი შეფასების ფარგლები კონკრეტული პროექტების სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება, იგი პროექტის ხასიათისა და მასშტაბის, და მისი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების დონის შესაბამისი იქნება. შეფასების პროცესში გამოვლინდება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება, და კლიენტის შესაძლებლობები და მზაობა განახორციელოს პროექტი შესაბამისი PR-ების დაცვით. როდესაც პროექტი მოიცავს არსებულ ობიექტებს ან ბიზნეს საქმიანობას, და/ან მასთან დაკავშირებულ ობიექტებს, შეფასების პროცესში განხილული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია ასეთ ობიექტებთან და საქმიანობასთან.

- 4.8. კლიენტის პასუხისმგებლობა უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რათა ბანკმა ამ პოლიტიკის შესაბამისად შეძლოს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების განხორციელება. ბანკის ფუნქციაა: (i) მიმოიხილოს კლიენტის ინფორმაცია; (ii) მიაწოდოს სახელმძღვანელო მითითებები, რათა დაეხმაროს კლიენტებს იმ სათანადო ზომების შემუშავებაში, რომლებიც შესაბამისობაში მოდის შერბილების იერარქიასთან გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გადასაჭრელად, რათა დააკმაყოფილოს შესაბამისი PR-ები; და (iii) დაეხმაროს დამატებითი გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის მომტანი შესაძლებლობების განსაზღვრაში.
- 4.9. იმ შემთხვევებში, როდესაც ბანკის ინვესტიცია არ არის მიმართული კონკრეტულ პროექტზე ან ფიზიკურ აქტივებზე, როგორცაა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება და ზოგიერთი სახის სააქციო კაპიტალის ინვესტიცია, ან გამოიწვიოს მომავალი ინვესტიციები, ასეთ პირობებში, შემოთავაზებული შემოსავლების გამოყენება და გარემოსდაცვითი და სოციალური კვალი დიდწილად განუსაზღვრელია EBRD-ის მიერ ინვესტირების გადაწყვეტილების მიღების დროს. აქედან გამომდინარე, ბანკი: (i) შეაფასებს ინვესტიციას, იმ რისკებსა და ზემოქმედებაზე დაყრდნობით, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული სექტორისათვის და ბიზნეს საქმიანობის კონტექსტისთვის, და (ii) შეაფასებს კლიენტის შესაძლებლობებს და მზაობას, განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვა შესაბამისი PR-ების შესაბამისად.
- 4.10. თუ პროექტი მოიცავს საერთო კორპორატიულ ფინანსებს, საბრუნავ კაპიტალს ან სააქციო კაპიტალით დაფინანსებას რამდენიმე ადგილას მდებარე კომპანიებისათვის, და როდესაც შემოსავლები არ არის მიმართული კონკრეტულ

⁶ EBRD-ის პროექტები იყოფა „პირდაპირ საინვესტიციო პროექტებად“ და „ფინანსურ საშუამავლო პროექტებად“. ფინანსური საშუამავლო პროექტების შემთხვევაში, კლიენტი არის ფინანსური მომსახურების მიწოდებელი, საინვესტიციო ფონდი ან სხვა მსგავსი ორგანიზაცია. ყველა სხვა პროექტი მოხსენიებულია, როგორც პირდაპირი საინვესტიციო პროექტები.

ფიზიკურ აქტივებზე, კლიენტს მოეთხოვება უზრუნველყოს მისი კორპორატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების შესაბამისობა PR-ებთან და კორპორაციის დონეზე ზომების შემუშავება მის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიზნით.

- 4.11. კაპიტალის ბაზრის გარიგებებში⁷, გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გამჟღავნება აქციების გამოწერამდე და მის შემდეგ, ექვემდებარება კაპიტალის ბაზრის მოქმედ წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც კრძალავს ბირჟაზე გამოტანილი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას არა-საჯარო ინფორმაციისა და ინვესტორებისადმი თანაბარ მოპყრობასთან დაკავშირებული პრინციპების საფუძველზე. კაპიტალის ბაზრის გარიგებების ხასიათიდან გამომდინარე, ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება დაფუძნებული იქნება რისკებზე. ბანკს შეიძლება მოუწიოს მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობა კლიენტის შესაძლებლობების და მზაობის შესაფასებლად, მართოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები (და საინვესტიციო პროექტები, რომლებიც დაფინანსდება ამგვარი კაპიტალის ბაზრის გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავლებით), შესაბამისი ეროვნული კანონების, GIP და PR-ების შესაბამისად. შეფასების შედეგად დადგინდება, არის თუ არა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკმარისი იმისთვის, რომ განისაზღვროს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება და PR-ებთან შესაბამისობა. აქციების გამოწერის შემდეგ, ბანკი მოსთხოვს კლიენტებს შეასრულონ PR-ები. მაღალი რისკის მქონე პროექტები, ან „A“ კატეგორიის პროექტები არ დაფინანსდება კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით.

- 4.12. როდესაც EBRD-ს მიმართავენ მშენებლობის ეტაპზე არსებული პროექტის დაფინანსების თხოვნით, ან თუ პროექტს მიღებული აქვს ნებართვები მასპინძელი ქვეყნისგან, მათ შორის, ადგილობრივი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების თანხმობა, ბანკის შეფასება გაითვალისწინებს პროექტის დიზაინისა და PR-ების შესრულების ხარვეზების ანალიზს, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა რაიმე დამატებითი კვლევები და/ან შემარბილებელი ღონისძიებები EBRD-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

19. EBRD-ის შეფასება მოითხოვს კლიენტებისაგან დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას, რომლებიც, პოტენციურად ხვდებიან პროექტების ზემოქმედების ქვეშ, და/ან დაინტერესებულნი არიან პროექტით, პროექტით გამოწვეული რისკებისა და ზემოქმედების შესახებ სათანადო ინფორმაციის გასაჯაროებას, და კონსტრუქციულად და კულტურულად შესაფერისი წესით დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვას. კერძოდ, EBRD მოითხოვს თავისი კლიენტებისგან,

ითანამშრომლონ პროექტის ზემოქმედების ქვეშ არსებულ ხალხთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების და დაინტერესების დონის პროპორციულად. იმ პროექტებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან ESIA-ს, და რომლებსაც აქვთ პოტენციურად მნიშვნელოვანი *[შენიშვნა: არსებითი, უარყოფითი]* გარემოსდაცვითი ზემოქმედება მოახდინონ, დაინტერესებულ მხარეთა ასეთი ჩართულობა განხორციელდება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის სულისკვეთების და პრინციპების გათვალისწინებით. იმ პროექტების შემთხვევაში, რომლებსაც საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზემოქმედების პოტენციალი გააჩნიათ, ბანკი წახალისებს UNECE კონვენციის მიდგომას გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების მიმართ ტრანსპარენტული კონტექსტში, მიუხედავად პროექტის გეოგრაფიული მდებარეობისა. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკს შეუძლია ჩაატაროს საკუთარი საჯარო კონსულტაციები დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესაფასებლად.

- 4.13. ფინანსური შუამავლის (FI) პროექტებისთვის, EBRD მოახდენს FI-ს და მისი პორტფელის სათანადო შესწავლას, რათა შეაფასოს (i) FI-ის არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები და მისი უნარი განახორციელოს ისინი, (ii) გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია FI-ის არსებულ პორტფელთან და მოსალოდნელ მომავალ პროექტებთან, და (iii) აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს FI-ის არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის გასაძლიერებლად.

გადაწყვეტილებების მიღება

- 4.14. EBRD-ის დირექტორთა საბჭოს, ან თუ იგი პროექტის დამტკიცების უფლების დელეგირებას მოახდენს, ბანკის ხელმძღვანელობისთვის პროექტის დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების აღწერას, არსებითი რისკების და ზემოქმედების აღწერას, შემარბილებელ ღონისძიებებს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შეჯამებას, და ინფორმაციას თუ როგორ პასუხობს ან უპასუხებს მომავალში კლიენტს ამ ზემოქმედებასა და რისკებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. დირექტორთა საბჭო ან ბანკის ხელმძღვანელობა, გაითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების შენიშვნებსა და მოსაზრებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში,

⁷ კაპიტალის ბაზრის გარიგებებში იგულისხმება ბირჟაზე დარეგისტრირებული ბონდებით და ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა, ან ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებები, რომლებიც არ არის საჯაროდ გასაყიდად გამოტანილი, მაგრამ მათზე მაინც ვრცელდება შეზღუდვები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან არა-საჯარო ინფორმაციის საფუძველზე.

პროექტის საერთო სარგებლისა და რისკების შეფასების ფარგლებში.

- 4.15. EBRD-ის დირექტორთა საბჭო შეიძლება შეთანხმდეს, როგორც EBRD-ის დაფინანსების წინაპირობა, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების გარკვეული ელემენტები განხორციელდეს საბჭოს მიერ დამტკიცებისა, და დაფინანსების ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ. საბჭო მხედველობაში მიიღებს შემოთავაზებული მიდგომის ზოგად ზემოქმედებას, რისკებსა და სარგებელს. თუკი პროექტი დამტკიცებული იქნება ასეთი პირობების გათვალისწინებით, პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტი ასახავს ამ მიდგომის აღწერას.

იურიდიული დოკუმენტაცია

- 4.16. EBRD-ის მიერ კლიენტებთან გაფორმებული პროექტების დაფინანსების ხელშეკრულებები, შეიცავენ კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ასახავენ EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებს. ეს მოიცავს შესაბამისობას ყველა მოქმედ PR-თან, აგრეთვე დებულებებს გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშგებასთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და მონიტორინგთან დაკავშირებით. იურიდიული დოკუმენტები საჭიროების შემთხვევაში ასევე მოიცავს, ზანკის უფლებებს და/ან გამოსწორების საშუალებებს იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან ინვესტიციის ობიექტი კომპანია ვერ განახორციელებს გარემოსდაცვით ან სოციალურ დებულებებს, დაფინანსების ხელშეკრულებების მოთხოვნების შესაბამისად.

მონიტორინგი

- 4.17. EBRD მონიტორინგს გაუწევს და შეაფასებს როგორც უშუალოდ პირდაპირ დაფინანსებულ, ისე FI პროექტებს, რომლებსაც იგი აფინანსებს, ამ პოლიტიკის მიზნებთან მიმართებაში, იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა შეესაბამება ზანკის ფინანსურ ინტერესს პროექტში. მონიტორინგის მოცულობა იმ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების პროპორციული იქნება, რომლებიც დაკავშირებულია პროექტთან. EBRD-ი მიმოიხილავს ყოველწლიურ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებს, რომელიც ასახავს პროექტის გარემოსდაცვით და სოციალური შესრულების შედეგებს, ESAP-ის განხორციელების მიმდინარეობას, და კლიენტის შესაბამისობას დაფინანსების ხელშეკრულების გარემოსდაცვით და სოციალურ დებულებებთან. თუ კლიენტი ვერ ასრულებს დაფინანსების შეთანხმებებით მასზე დაკისრებულ სოციალურ და გარემოსდაცვით ვალდებულებებს, EBRD-ი შეიძლება კლიენტთან შეთანხმდეს გამოსასწორებელი ზომების თაობაზე, რომლებიც კლიენტმა უნდა განახორციელოს, შესაბამისობის მისაღწევად. თუ კლიენტი ვერ ასრულებს შეთანხმებულ გამოსასწორებელ ზომებს, ზანკს შეუძლია განახორციელოს ისეთი ქმედება და/ან გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებები, რომლებიც გათვალისწინებულია დაფინანსების ხელშეკრულებებში, და რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს. EBRD- მ ასევე შეიძლება პერიოდულად

გადაამოწმოს კლიენტების მიერ მოზადებული მონიტორინგის ინფორმაცია ზანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტებისა და/ან დამოუკიდებელი ექსპერტების ადგილზე ვიზიტების გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტთან დავა მიმდინარეობს, ზანკის მონიტორინგის უნარი შეიძლება შეიზღუდოს.

ოპერაციული ცვლილებები

- 4.18. ცვლილებები შეიძლება იქნას შეტანილი EBRD-ის მიერ პროექტის დამტკიცებისა და დაფინანსების ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ, პროექტის ხასიათსა და ფარგლებში. მსგავსმა ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური შედეგები გამოიწვიონ. როდესაც მსგავსი არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, ზანკი ამ ცვლილებების გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას განახორციელებს, ამ პოლიტიკის შესაბამისად, და ნებისმიერ დამატებით შეფასებას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნებს, და გარემოსდაცვით და სოციალურ შემარბილებელ ღონისძიებებს შეიტანს განახლებულ/რესტრუქტურირებულ საპროექტო დოკუმენტაციაში. თუ ოპერაციული ცვლილები გამოიწვევენ საბჭოს მიერ დამტკიცებული სცენარისგან არსებითად განსხვავებულ გარემოსდაცვით და/ან სოციალურ სცენარს, ზანკის ხელმძღვანელობას უნდა ეცნობოს ამ ცვლილებების შესახებ, და საჭიროების შემთხვევაში, EBRD-ის პოლიტიკის შესაბამისად, ეს ინფორმაცია წარედგინება საბჭოს, მისი ინფორმირებისთვის, ან ცვლილებების დასამტკიცებლად.

5. EBRD-ის საჯარო ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება

- 5.1. EBRD ერთგულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და დაინტერესებულ მხარეების ჩართულობის პრინციპების. EBRD გამოაქვეყნებს ყოველწლიურ მდგრადობის ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მისი საინვესტიციო საქმიანობის გარემოსდაცვით და სოციალურ და ამ პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. EBRD გამართავს კონსტრუქციულ დიალოგს ზანკის შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, EBRD ინფორმაციის საჯაროობის შესახებ დირექტივის (DAI) შესაბამისად. ზანკი წახალისებს მსგავს კარგ პრაქტიკას თავის კლიენტებთან.
- 5.2. EBRD-ს მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება შეჯამებული იქნება EBRD-ის საანგარიშო დოკუმენტებში, ზანკის ინფორმაციის საჯაროობის შესახებ დირექტივის შესაბამისად.
- 5.3. EBRD-ს ანგარიშვალდებულების მექანიზმი, და პროექტების ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი, ფიზიკურ პირებს, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომლებიც ზანკის პროექტების განხორციელების შედეგად გარკვეულ ზიანს განიცდიან, საშუალებას აძლევს წარადგინონ საჩივრები და მიიღონ დახმარება პრობლემების

გადაჭრის მიზნით, საბანკო ოპერაციებისაგან დამოუკიდებლად. იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკური პირების ან ჯგუფების მიერ, რათა წარადგინონ საჩივარი, იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევენ, რომ ბანკმა არ შეასრულა წინამდებარე პოლიტიკა, ან პროექტის კომპონენტებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობის შესახებ დირექტივის მოთხოვნები.

6. ინსტიტუციური და განხორციელების ღონისძიებები

- 6.1. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზემოთ აღწერილი სტრატეგიული მიმართულებები საკმარისადაა გათვალისწინებული, EBRD განსახვდრავს პასუხისმგებლობებს და გამოყოფს სათანადო რესურსებს ამ პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის. ბანკი უზრუნველყოფს საკმარის პერსონალს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებზე ზედამხედველობის გასაწევად, და ეკოლოგიურად და სოციალურად სასარგებლო პროექტების წამოსაწყებად და განსახორციელებლად.
- 6.2. EBRD შეიმუშავებს და დანერგავს გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებსა და შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს და ინსტრუმენტებს, რათა ხელი შეუწყოს ამ პოლიტიკის განხორციელებას და უზრუნველყოს, რომ თანამშრომლებმა მიიღონ სათანადო ტრენინგი ამ პოლიტიკის მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- 6.3. EBRD გააგრძელებს დახმარების მიღებას მისი გარემოსდაცვითი და სოციალური მრჩეველთა საბჭოს (ESAC) მხრიდან, რომლის მოსაზრებები პოლიტიკასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე და სექტორის პოლიტიკასა და სტრატეგიებზე გათვალისწინებული იქნება მათი საბოლოო სახით შემუშავებამდე. მისი შეხედულებები შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია EBRD-ის პროექტებსა და საქმიანობასთან.

7. დანართები

ცნებები დაკავშირებული PR-ებთან 1-დან 10-მდე ნაწილი III-ის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

ნაწილი IV: დათქმები, გამონაკლისები, და ინფორმაციის გასაჯაროება

1. დათქმები

დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია პოლიტიკის მოთხოვნებიდან გადახვევის უფლება დართოს, რომელიც მკაფიოდ არ არის დაშვებული წინამდებარე პოლიტიკის პირობებით.

2. გამონაკლისები

მოცემული პოლიტიკა არ ვრცელდება საკონსულტაციო მომსახურებაზე, სათემო ინიციატივით განხორციელებულ პროექტებზე, პოლიტიკის დიალოგზე და ტექნიკურ თანამშრომლობაზე, რომელიც დაფინანსებულია და/ან ხორციელდება EBRD-ის მიერ, ან EBRD-ის მმართველობით, ადმინისტრირების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე.

3. ინფორმაციის გასაჯაროება

ეს პოლიტიკა უნდა გამოქვეყნდეს ბანკის ვებგვერდზე დირექტორთა საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

ნაწილი V: გარდამავალი დებულებები

პროექტებზე, რომლებიც მიიღებენ ბანკის მენეჯმენტის⁸ მხრიდან თავდაპირველ დამტკიცებას ამ პოლიტიკის ძალაში შესვლამდე, გავრცელდება პოლიტიკა, რომელიც ძალაში იყო პროექტის თავდაპირველად დამტკიცების დროს.

ნაწილი VI: ძალაში შესვლის თარიღი

პოლიტიკა ძალაში შევა 2020 წლის 1 იანვარს.

ნაწილი VII: გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩო

ანგარიშვალდებული

ვიცე-პრეზიდენტი რისკების და შესაბამისობის საკითხებში ანგარიშვალდებულია ამ პოლიტიკაზე.

პასუხისმგებელი

გარემოს დაცვისა და მდგრადობის დეპარტამენტის აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია ამ პოლიტიკაზე.

ნაწილი VIII: გადასინჯვა და ანგარიშგება

1. გადასინჯვა

პოლიტიკა ექვემდებარება გადასინჯვას საჯარო კონსულტაციის პროცესით, 2024 წელს.

დირექტორთა საბჭოს შეუძლია ნებისმიერ დროს დაამტკიცოს პოლიტიკის გადასინჯვა საჯარო კონსულტაციების ჩატარების საჭიროების გარეშე, როდესაც გადასინჯვა უმნიშვნელოა, ან გამოწვეულია სხვა ბანკის პოლიტიკის ცვლილებით, რომელიც გახდა საჯარო კონსულტაციების საგანი.

2. ანგარიშგება

არ მიესადაგება.

ნაწილი IX: დაკავშირებული დოკუმენტები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა (2019) და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დირექტივა (2019)

პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (2019) და პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი: სახელმძღვანელო (2019)

⁸ ამ პოლიტიკის მიღების პერიოდში, პირდაპირი და FI ინვესტიციებისთვის, ამ თავდაპირველ დამტკიცებას მოიხსენიებენ როგორც "კონცეფციის მიმოხილვას".

დანართი 1: EBRD -ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების ნუსხა

EBRD შეგნებულად არ დააფინანსებს, პირდაპირ ან ირიბად FI საშუალებით, პროექტებს, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- a. რაიმე პროდუქტის წარმოებას, საქმიანობას ან ვაჭრობას, რომელიც მიჩნეულია არალეგალურად მასპინძელი ქვეყნის (ეროვნული) კანონების ან რეგულაციების, ან საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების შესაბამისად, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს ან წარმოებიდან ეტაპობრივ მოხსნას, როგორცაა:
 - (i) პოლიქლორირებული ბიფენილების (პქბ – PCB) შემცველი პროდუქტების წარმოება ან ვაჭრობა.⁹
 - (ii) ფარმაცევტული პრეპარატების, პესტიციდების/პერბიციდების და სხვა სახიფათო ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა¹⁰.
 - (iii) ოზონის დამშლელი ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა.¹¹
 - (iv) მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების წარმოება, გამოყენება ან ვაჭრობა.¹²
 - (v) ველური ბუნებით ვაჭრობა ან ველური ბუნების იმ პროდუქტებით ვაჭრობა ან მათი წარმოება, რომლებიც რეგულირდება CITES-ით.¹³
 - (vi) საერთაშორისო სამართლით აკრძალული ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება.¹⁴

- b. იძულებით გამოსახლება.¹⁵
- c. თერმული ნახშირის მოპოვება ან ელექტროენერჯის გამომუშავება ქვანახშირის გამოყენებით.
- d. ნავთობის მოპოვება და ძებნა-ძიება.
- e. ნავთობის მოპოვების და ძებნა-ძიების პროექტები, გარდა იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც პროექტის შემოსავალი ექსკლუზიურად მიზნად ისახავს სათბურის აირების ემისიების ან არსებული საბადოებიდან გაფრქვევების შემცირებას.
- f. იხვების და ბატების იძულებით კვებასთან დაკავშირებული საქმიანობა.
- g. ცხოველების შენახვა ბეწვის წარმოების მიზნით ან ბეწვის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა.
- h. აზბესტის თავისუფალი ბოჭკოს ან აზბესტის შემცველი პროდუქტის ან შენარევების, რომლებიც შეიცავს განზრახ დამატებულ ბოჭკოებს, წარმოება, ბაზარზე გატანა და გამოყენება.¹⁶
- i. ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლის შენარევების ექსპორტი, და ვერცხლისწყლის დანამატებიანი პროდუქტის დიდი ასორტიმენტის წარმოება, ექსპორტი და იმპორტი.¹⁷
- j. საქმიანობა, რომელიც აკრძალულია მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებით, რომლებიც დაკავშირებულია

⁹ პქბ: პოლიქლორირებული ბიფენილები არის მაღალი ტოქსიკურობის ქიმიური ნივთიერებების ჯგუფი. პქბ მოსალოდნელია შეგხვდეს ზეთიან ელექტრულ ტრანსფორმატორებში, კონდენსატორებსა და გამანაწილებლებში, 1950-1985 წლებიდან.

¹⁰ საცნობარო დოკუმენტაცია - ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 4 ივლისის რეგულაცია (EU) No. 649/2012, რომელიც ეხება ზოგიერთი სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ექსპორტსა და იმპორტს, დროდადრო შესწორებით; გაერთიანებული ერების კონსოლიდირებული ჩამონათვალი იმ პროდუქტებისა, რომელთა მოხმარება და/ან გაყიდვა აკრძალულია, ამოღებულია, მკაცრად შეზღუდული ან არ არის დამტკიცებული მთავრობების მიერ; როტერდამის კონვენცია „ცალკეული სახიფათო ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი ინფორმირებული თანხმობის პროცედურის შესახებ“; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული პესტიციდების კლასიფიკაცია საფრთხის

¹¹ ოზონის დამშლელი ნივთიერებები (ODS): ქიმიური ნაერთები, რომლებიც რეაქციაში შედის და შლის სტრატოსფეროს ოზონს და შედეგად მოაქვს ფართოდ გახმარებული „ოზონის ხვრელები“. მონრეალის ოქმი „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ აქვეყნებს ოზონის დამშლელი ნივთიერებების ჩამონათვალს, მათ მიზნობრივ შემცირებასა და წარმოებიდან ამოღების ვადებს. ქიმიური ნაერთების ჩამონათვალი, რომელიც რეგულირდება მონრეალის ოქმით, რომელიც მოიცავს აეროზოლებს, სამაცივრო აგენტებს, ქაფის გენერატორებს, გამხსნელებსა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს, ხელმოწერა ქვეყნებზე დეტალური ინფორმაციითა და წარმოებიდან ამოღების ვადებთან ერთად ხელმისაწვდომია „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამიდან“.

¹² საცნობარო დოკუმენტი: სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ (POPs) შესწორებული 2009 წელს.

¹³ CITES: კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების შესახებ“. CITES-ში ჩამოთვლილი სახეობების სია ხელმისაწვდომია CITES-ის სამდივნოსგან.

¹⁴ საცნობარო დოკუმენტაცია: 2006 წლის 14 ივნისის რეგულაცია (EC) No1013/2006 ნარჩენების გადაზიდვაზე; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) საბჭოს გადაწყვეტილება C (2001)107/final, რომელიც ეხება ალდენის ოპერაციებისათვის განკუთვნილი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლის შესახებ C (92) 39/Final გადაწყვეტილების გადასინჯვას; ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“.

¹⁵ „იძულებით გამოსახლება“ იგულისხმება ქმედებები და/ან უმოქმედობები, რაც მოიცავს ადამიანების, ჯგუფების და თემების იძულებით ან მუდმივ ან დროებით არანებაყოფლობით გადაადგილებას მათი სახლებიდან და/ან მიწებიდან და საერთო საკუთრების რესურსებიდან, რომლებსაც იკავებდნენ ან რომლებზეც იყვნენ დამოკიდებული და, ამგვარად, აღმოფხვრის ან ზღუდავს ადამიანის, ჯგუფის ან თემის შესაძლებლობას, იცხოვროს ან იმუშაოს კონკრეტულ საცხოვრებელში, დასახლებაში ან ადგილზე, სამართლებრივი ან სხვა დაცვის შესაბამისი ფორმების უზრუნველყოფისა და წვდომის გარეშე.

¹⁶ კომისიის 2016 წლის 22 ივნისის რეგულაცია (EU) 2016/1005, რომლითაც ჩანაცვლებული იქნა ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 1907/2006-ის XVII დანართი, რომელიც ეხება აზბესტის ბოჭკოებთან (ქრიზოტილი) დაკავშირებული ქიმიკატების რეგისტრაციას, შეფასებას, ავტორიზაციასა და შეზღუდვას (REACH).

¹⁷ 2017 წლის 17 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2017/852 ვერცხლისწყლის შესახებ.

ბიომრავალფეროვნების რესურსების ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან.

- k. დრიფტერული ბადით საზღვაო გარემოში თევზჭერა 2.5 კმ-ზე მეტი სიგრძის ბადეების გამოყენებით
- l. ნავთობის ან სხვა სახიფათო ნივთიერებების გადაზიდვა ტანკერებით, რომლებიც არ შეესაბამება IMO მოთხოვნებს.¹⁸
- m. საქონლით ვაჭრობას ექსპორტისათვის ან იმპორტისათვის საჭირო ლიცენზიის გარეშე ან ექსპორტის, იმპორტისა და საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიტის შესაბამისი ქვეყნებიდან ტრანზიტის ავტორიზაციის სხვა მტკიცებულების გარეშე.

¹⁸ ეს მოიცავს: „სიცოცხლის უსაფრთხოება ზღვაზე შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას (SOLAS), სერტიფიკატები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის შესაბამისობა), ტანკერებს, რომლებიც ევროკავშირის მიერ შავ სიაშია შეტანილი ან აკრძალულია ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის შესახებ პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმით (პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმში) და ტანკერებს, რომლებიც MARPOL-ის 13G რეგულაციის საფუძველზე წარმოებიდან ეტაპობრივად უნდა მოიხსნას. არც ერთი კორპუსიანი ტანკერი, რომელიც 25 წელზე მეტის არის, არ უნდა იყოს გამოყენებული.

დანართი 2: A კატეგორიის პროექტები

ეს ჩამონათვალი ეხება „ახალი პროექტებს“ (greenfield) ან მასშტაბური გაფართოების ან ტრანსფორმაცია-გარდაქმნის პროექტებს ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში. ქვემოთ ჩამოთვლილი ტიპის პროექტები, წარმოადგენს იმ პროექტების მაგალითს, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიონ პოტენციურად მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება, რომელიც არის დამატებითი და ახალი და, რაც შესაბამისად მოითხოვს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებას. თითოეული პროექტის კატეგორიზაცია დამოკიდებული იქნება ნებისმიერი ფაქტობრივი ან პოტენციური გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების ხასიათსა და მნიშვნელობაზე, რომელიც ახალი და დამატებითია, რაც განპირობებულია პროექტის ხასიათით, მდებარეობით, სენსიტიურობით და მასშტაბით.

1. ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები (გარდა საწარმოებისა, რომლებიც ნედლი ნავთობისაგან მხოლოდ საპოხ მასალებს აწარმოებენ) და დანადგარები დღეში 500 ტონა ან მეტი ნახშირის ან ბიტუმოვანი ფიქალის გაზიფიცირებისა და გათხევადებისათვის.
2. 300 მგვტ ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურები და წვის სხვა დანადგარები,¹⁹ ბირთვული ელექტროსადგურები და სხვა ბირთვული რეაქტორები, მათ შორის ასეთი სადგურების ან რეაქტორების დემონტაჟი და ექსპლუატაციიდან გამოყვანა (გარდა დაყოფადი და რეპროდუქციული მასალის გარდაქმნისა და წარმოებისათვის განკუთვნილი კვლევითი დანადგარებისა, რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1 კილოვატთან უწყვეტ სითბურ დატვირთვას).
3. (ა) დანადგარები დასხივებული ბირთვული საწვავის გადამამუშავებისათვის; და (ბ) დანადგარები შექმნილი: (i) ბირთვული საწვავის წარმოებისა და გამდიდრებისთვის; (ii) დასხივებული ბირთვული საწვავის, ან რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებისთვის; (iii) დასხივებული ბირთვული საწვავის საბოლოო უტილიზაციისთვის; (iv) მხოლოდ რადიოაქტიური ნარჩენების საბოლოო უტილიზაციისთვის; და (v) დასხივებული ბირთვული საწვავის ან რადიოაქტიური ნარჩენების მხოლოდ შესანახად (10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში) სხვა ადგილას, ვიდრე წარმოების ადგილია.
4. სრული ციკლის დანადგარები თუჯისა და ფოლადის თავდაპირველი დნობისთვის; დანადგარები ფერადი ნედლი ლითონების წარმოებისათვის მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორადი ნედლეულიდან მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროლიტური პროცესებით.
5. სრული ციკლის ქიმიური დანადგარები: ქიმიური გარდაქმნის პროცესების გამოყენებით ნივთიერებათა სამრეწველო მასშტაბით წარმოებისათვის განკუთვნილი ის დანადგარები, რომელშიც რამდენიმე ერთეული მომიჯნავეა და ფუნქციურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და რომლებიც განკუთვნილია: ძირითადი ორგანული ქიმიური ნივთიერებების; ძირითადი არაორგანული ქიმიური ნივთიერებების; ფოსფორის, აზოტისა და კალიუმის შემცველი სასუქების (მარტივი და რთული სასუქები); ძირითადი მცენარეული პროდუქტებისა და ბიოციდების; ძირითადი ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების გამოყენებით; ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოებისათვის.
6. საქალაქთაშორისო სარკინიგზო ხაზების მშენებლობა; აეროპორტები, 2,100 მეტრი ან მეტი სიგრძის ძირითადი ასაფრენი ბილიკით; ოთხი ან მეტი რიგის მქონე მაგისტრალები, ჩქაროსნული გზები და ახალი გზები, ან არსებული გზების გარდაქმნა და/ან გაფართოება, რათა უზრუნველყოს ოთხი ან მეტი რიგის არსებობა, სადაც ასეთი ახალი გზები, ან გარდაქმნილი და/ან გაფართოებული გზის მონაკვეთები იქნება 10კმ ან მეტი საერთო სიგრძის.
7. მილსადენები 800 მმ-ზე მეტი დიამეტრით და 40 კმ-ზე მეტი სიგრძით, ტერმინალები და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა გაზის, ნავთობისა და ქიმიკატების ფართომასშტაბიანი ტრანსპორტირებისათვის, ან ნახშირორჟანგის (CO₂) ნაკადების ტრანსპორტირების მიზნით გეოლოგიური დასაწყობებისთვის, მათ შორის, დაკავშირებული სათავო საქაჩი სადგურები.
8. ნახშირორჟანგის გეოლოგიური შენახვის ადგილები.
9. დანადგარები CO₂-ის ნაკადების დაჭერისთვის გეოლოგიური შენახვის მიზნებისათვის, სადაც დაჭერილი CO₂- ის საერთო წლიური მოცულობა 1.5 მეგატონას ან მეტს შეადგენს.
10. ფართომასშტაბიანი საზღვაო პორტები, აგრეთვე შიდა სამდინარო გზები და პორტები შიდა საწყლოსნო მოძრაობისათვის; სავაჭრო პორტები, ნავმისადგომები დატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის, რომლებიც უკავშირდება ხმელეთს ან გარე პორტებს (გარდა საბორნე ნავმისადგომებისა).
11. ნარჩენების გადამამუშავებისა და განადგურების დანადგარები სახიფათო, ტოქსიური და საშიში ნარჩენების დასაწვავად, ქიმიური დამამუშავებისა ან ნაგავსაყრელზე განსათავსებლად.
12. ფართომასშტაბიანი ნარჩენების განადგურების დანადგარები არასახიფათო ნარჩენების დასაწვავად ან ქიმიური დამამუშავებისათვის, 100 ტონა დღიური წარმადობით.

¹⁹ ორთქლისა და ერთი ციკლის გაზის ტურბინის ელექტროსადგურებისათვის 140 მგვტ მთლიანი ელექტროლი სიმძლავრის ეკვივალენტური. გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

13. დიდი კაშხლები²⁰ და სხვა წყალსაცავები, განკუთვნილი წყლის შეკავებისთვის, ან მუდმივი შენახვისათვის, სადაც ახალი ან დამატებითი წყლის შეკავების ან შენახვის შესაძლებლობა აღემატება 10 მილიონ კუბურ მეტრს.
14. მიწისქვეშა წყლების მოპოვების საქმიანობა ან მიწისქვეშა წყლების ხელოვნური შევსების სქემები, იმ შემთხვევებში, სადაც წლიური მოცულობა იმ წყლისა, რომლის მოპოვება ან ხელახლა ჩაშვება უნდა განხორციელდეს, უტოლდება 10 მლნ კუბურ მეტრს ან მეტს.
15. წყლის რესურსების გადატანა მდინარეთა აუზებს შორის, როდესაც წყლის ასეთი გადასროლა მიზნად ისახავს წყლის შესაძლო დეფიციტის თავიდან აცილებას, და როდესაც გადატანილი წყლის რაოდენობა აღემატება 100 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში, ან წყლის რესურსების მდინარეთა აუზებს შორის გადატანის სამუშაოები, როდესაც წყალაღების აუზის მრავალწლიანი საშუალო ხარჯი აღემატება 2,000 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში, და სადაც გადატანილი წყლის რაოდენობა აღემატება ამ ნაკადის 5 პროცენტს (ორივე შემთხვევაში გამორიცხულია მილსადენიანი სასმელი წყლის გადატანა.)
16. სამრეწველო ქარხნები: (ა) ხე-ტყისაგან რბილობი მასის ან მსგავსი ბოჭკოვანი მასალების საწარმოებლად; ან (ბ) ქაღალდისა და მუყაოს წარმოებისთვის, რომლის დღიური წარმოების მოცულობა აღემატება 200 ჰაერზე გამომშრალ მეტრულ ტონას.
17. კარიერები და ღია სამთო მოპოვება, სადაც უზნის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს, ან ტორფის მოპოვება, სადაც უზნის ზედაპირი აღემატება 150 ჰექტარს.
18. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება კომერციული მიზნებისათვის, სადაც მოპოვებული რაოდენობა აღემატება 500 ტონას/დღეში ნავთობის შემთხვევაში და 500,000 კუბურ მეტრს/დღეში აირის შემთხვევაში.
19. ნავთობის, ნავთობქიმიური ან ქიმიური პროდუქტების შესანახი დანადგარები 200,000 ტონის ან მეტი მოცულობით.
20. ხე-ტყის ფართომასშტაბიანი ხასიათის ჭრა ან დიდი ფართობის გაჩეხვა.
21. მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, 150,000-ზე მეტი მოსახლის მომსახურების ექვივალენტური მოცულობით.
22. მუნიციპალური მყარი ნარჩენების დამუშავებისა და განადგურების ფართომასშტაბიანი ობიექტები.
23. ფართომასშტაბიანი ტურისტული და სავალო ვაჭრობის განვითარება.
24. მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.
25. ფართომასშტაბიანი ქარის ელექტროდანადგარები ენერჯის წარმოებისთვის (ქარის ფერმები).
26. მიწის ფართომასშტაბიანი მელიორაცია და ზღვის გრუნტის ამოღების ოპერაციები.
27. ფართომასშტაბიანი პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ან ტყის გაშენება, რაც მოიცავს ინტენსიფიკაციას, მიწათსარგებლობის ცვლილებას ან ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლებისა და/ან კრიტიკული ჰაბიტატების გარდაქმნას.
28. ტყავების სათრიმლავი ქარხნები, სადაც წარმოების მოცულობა აღემატება 12 ტონა მზა პროდუქციას დღეში.
29. ფრინველის ან ღორის ინტენსიური მოშენების დანადგარები: (i) ბროილერისათვის 85,000-ზე მეტი ადგილით და ქათმისათვის 60,000-ზე მეტი ადგილით; (ii) 3,000-ზე მეტი ადგილით გოჭებისათვის (30კგ-ს ზემოთ); ან (iii) 900-ზე მეტი ადგილით ღორებისათვის.
30. განსახორციელებლად დაგეგმილი პროექტები²¹ რომლებიც სავარაუდოდ, საგრძნობ ზემოქმედებას მოახდენენ, მათ შორის კუმულაციურს, კომბინაციაში სხვა წარსულ, მიმდინარე, ან სამომავლო განვითარების პროექტებთან, საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის სენსიტიურ ადგილებზე, მაშინაც კი, თუ პროექტის კატეგორია არ არის მოხსენიებული ჩამონათვალში. ასეთი სენსიტიური ადგილები, მათ შორის, მოიცავს დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც კანონით არის დაცული და /ან საერთაშორისოდ აღიარებული, ან ეროვნული მთავრობის მიერ არის შემოთავაზებული, როგორც ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიად განსაზღვრად; კრიტიკულ ჰაბიტატს ან სხვა ეკოსისტემებს, სადაც პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებია წარმოდგენილი, არქეოლოგიური და კულტურული მნიშვნელობის ტერიტორიებსა და მკვიდრი მოსახლეობისათვის ან სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს.
31. პროექტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური ზემოქმედება ხალხზე ან ხალხთა ჯგუფებზე, რომელიც ხვდება ან შესაძლოა მოხვდეს, პირდაპირ ან ირიბად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ.
32. პროექტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ნიშანდობლივ იძულებით განსახლებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას.

²⁰ დიდი კაშხლების საერთაშორისო კომისია (ICOLD) დიდ კაშხლად განსაზღვრავს საპირკველიდან 15 მეტრის ან მეტი სიმაღლის მქონე კაშხალს. კაშხლები, რომელთა სიმაღლე 5-დან 15-მდე მეტრისაა და აქვს 3 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის წყალსაცავი, ასევე კლასიფიცირდება როგორც დიდი კაშხლები.

²¹ მათ შორის, თუმცა არ შემოიფარგლება ამით, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მქონე პროექტები (როგორცაა ჰიდროელექტროსადგურები და სხვა განახლებადი ენერჯის პროექტები).

EBRD შესრულების მოთხოვნა 1: გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შეფასება და მართვა

შესავალი

1. მოცემული შესრულების მოთხოვნა (PR) აღიარებს ინტეგრირებული შეფასების მნიშვნელობას, პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების იდენტიფიცირებისთვის, და კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მართვას პროექტის არსებობის მანძილზე. წარმატებული და ეფექტური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) ხელს უწყობს გრძელვადიან და მდგრად გარემოსდაცვით და სოციალურ შესრულებას, რამაც შეიძლება გააუმჯობესოს ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები. ეს არის დინამიური, უწყვეტი პროცესი, წამოწყებული და მხარდაჭერილი მენეჯმენტის მიერ, რომელიც მოიცავს კონსტრუქციულ კომუნიკაციას კლიენტებს, მის თანამშრომლებსა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილობრივ თემებს შორის, და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
2. მოცემული PR-ი ხაზს უსვამს პროექტთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შეფასების პროცესში კლიენტის პასუხისმგებლობას, და ამ ზემოქმედებისა და რისკების მონიტორინგისა და მართვისათვის საჭირო პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებას.

ამოცანები

3. ამ PR-ის ამოცანებია:
 - პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების იდენტიფიცირება და შეფასება;
 - შერბილების იერარქიის მიდგომის გამოყენება რათა დასაქმებულებზე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე, და გარემოზე პროექტით გამოწვეული უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და რისკები გადაიჭრას.
 - პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შესაბამისი ESMS-ის შემუშავება, შესაბამისი PR-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.
 - კლიენტების გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობა მართვის სისტემების ეფექტური გამოყენების გზით.

გამოყენების სფერო

4. ეს PR ვრცელდება ყველა პროექტზე, რომელსაც EBRD აფინანსებს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად. კლიენტი, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესების ფარგლებში, განახორციელებს ამ PR-ის შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირებას და იმის განსაზღვრას, თუ როგორ განხორციელდება ამ მოთხოვნების ასახვა და მართვა პროექტის დიზაინის, მშენებლობის, ოპერირების და ექსპლუატაციიდან გამოსვლის ან დახურვისა და აღდგენის ფარგლებში.
5. პროექტები, რომლებიც მოიცავს ახალ ობიექტებს ან ბიზნეს საქმიანობას, ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ თავიდანვე დააკმაყოფილოს PR-ში. თუ პროექტი გულისხმობს კლიენტის არსებული ობიექტების ან ბიზნეს საქმიანობის მოდერნიზაციას ან გაუმჯობესებას რომელიც EBRD-ის დირექტორთა საბჭოს, ან ბანკის ხელმძღვანელობის მიერ, თუ დირექტორთა საბჭომ დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება მოახდინა, არ აკმაყოფილებს PR-ებს პროექტის დამტკიცებისას ან თუ პროექტი თავიდანვე არ აკმაყოფილებს PR-ებს, კლიენტს მოეთხოვება, მიიღოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP), რომელიც მოიცავს ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებად და ხარჯთეფექტურ ზომებს, რათა მიღწეული იქნას ამ ობიექტების და საქმიანობების შესაბამისობა PR-ებთან EBRD-თვის მისაღები ვადების ფარგლებში. ESAP-ში, EBRD-ი და კლიენტი შეთანხმდებიან კონკრეტულ მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებზე, შემარბილებელ ღონისძიებებზე და განხორციელების ვადებზე, რომლებიც კლიენტმა უნდა განხორციელოს და დაიცვას პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვის მიზნით PR-ების შესაბამისად. ESAP-ი და ფინანსების ხელშეკრულებების ნაწილი იქნება, და საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს კლიენტის ვალდებულებას ხელი შეუწყოს ESAP-ის განხორციელებას.
6. დაკავშირებული ობიექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება იქნება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ნაწილი. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ დაკავშირებული ობიექტებით გამოწვეული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები და ზემოქმედება მართული და შერბილებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის, GIP-ისა და PR-ის მიზნების შესაბამისად.
7. როდესაც იდენტიფიცირებული იქნება პოტენციურად მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები და ზემოქმედებ პროექტთან ახლომდებარე სხვა ობიექტებიდან ან საქმიანობიდან გამომდინარე, და კლიენტის კონტროლის მიღმა არსებული ობიექტებიდან, საშუალებებიდან ან საქმიანობიდან, რომელზეც PR არ ვრცელდება, კლიენტი ვალდებულია გონივრული ძალისხმევა წარმართოს პროექტის რისკების შესაფასებლად და შესარბილებლად.

8. პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია PR 10-ში.

მოთხოვნები

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება

9. კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება გაითვალისწინებს პროექტთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს და ზემოქმედებას. როდესაც პროექტი არსებულ ობიექტებს ან ბიზნეს საქმიანობას და/ან დაკავშირებულ ობიექტებს მოიცავს, კლიენტის გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაში გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ამგვარ ობიექტებთან და საქმიანობასთან. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი დაეფუძნება მიმდინარე და/ან ბოლოდროინდელ ინფორმაციას და გარემოსდაცვითი და სოციალურ საბაზისო მონაცემებს, მათ შორის გენდერულად დაყოფილ საბაზისო მონაცემებს, შესაბამისი დეტალიზაციის დონით. შეფასების პროცესმა ასევე უნდა განსაზღვროს: (i) შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები და იურისდიქციის მარეგულირებელი მოთხოვნები, რომელშიც მოქმედებს პროექტი, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებების განმახორციელებელი კანონები; და (ii) PR-ებით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები. ამ მიდგომის მნიშვნელოვანი ნაწილია შერბილების იერარქიისა და GIP-ის გამოყენება.
10. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში, ასევე უნდა მოხდეს, პროექტის კუმულაციური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება და დახასიათება, კომბინაციაში სხვა წარსულ, მიმდინარე, ან სამომავლო განვითარების პროექტებთან დაკავშირებულ რისკებსა და ზემოქმედებასთან, ასევე დაუგეგმავ, მაგრამ პროგნოზირებად აქტივობებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, რომლებიც პროექტის მიერ არის ხელშეწყობილი, და რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოგვიანებით, ან სხვა ადგილას.
11. იმ პროექტების შემთხვევაში, რომლებსაც შეიძლება ახასიათებდეთ უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება, კლიენტი, როგორც შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილი, გამოავლენს პროექტის დაინტერესებულ მხარეებს და შეიმუშავებს დაინტერესებული მხარეების ეფექტურად ჩართვის გეგმას მათი მოსაზრებების და საზრუნავის იდენტიფიცირებისთვის და PR10- ის შესაბამისად პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ექსპლუატაციისას გათვალისწინებისთვის. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების პროცესში გამოვლენილი უნდა იყოს ყველა ადამიანი, რომლებზეც პროექტმა შეიძლება არაპროპორციული ზემოქმედება მოახდინოს. შემუშავდება და განხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებები ისე, რომ მოწყვლადი ადამიანები არ აღმოჩნდნენ არაპროპორციული ზემოქმედების ქვეშ.

12. შეფასების პროცესი იქნება პროექტის პოტენციური ზემოქმედებისა და რისკების შესაბამისი და პროპორციული და მოიცავს, ინტეგრირებული გზით, პროექტის ყველა შესაბამის პირდაპირ და ირიბ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასა და რისკებს, და პროექტის ციკლის შესაბამის ეტაპებს. შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტისთვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკები და გენდერული ასპექტები. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, რომ კლიენტმა მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება შეავსოს შემდგომი კვლევებით, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იქნება კონკრეტულ რისკებსა და ზემოქმედებაზე, როგორცაა ადამიანის უფლებები. შეფასებისას ასევე იდენტიფიცირებული და შეფასებული უნდა იყოს გაუმჯობესების პოტენციური შესაძლებლობები.
13. რთული ან სადავო პროექტების, ან ისეთი პროექტების შემთხვევაში, რომლებიც მოიცავენ პოტენციურად მნიშვნელოვან მრავალგანზომილებიან გარემოსდაცვით ან სოციალურ რისკებს ან ზემოქმედებას, კლიენტს შეიძლება მოეთხოვოს ჩართოს ერთი ან მეტი საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი ექსპერტი. ასეთი ექსპერტები, პროექტის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება საკონსულტაციო ჯგუფის ნაწილი იყვნენ, ან სხვაგვარად იყვნენ დაქირავებული კლიენტის მიერ, და დამოუკიდებელი რჩევები მიაწოდონ მას და ზედამხედველობა გაუწიონ პროექტს.
14. პროექტი A კატეგორიის პროექტად იქნება მიჩნეული, როდესაც მან შეიძლება გამოიწვიოს პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება, მათ შორის, პირდაპირი და კუმულაციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, რომელიც ახალი და დამატებითია, და რომელიც კატეგორიზაციის დროისთვის შესაძლოა ადვილად ვერ იყოს იდენტიფიცირებული ან შეფასებული. A კატეგორიის პროექტები მოითხოვენ ფორმალურად და მონაწილეობით გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესს. ESIA უნდა შეიცავდეს გონივრული ალტერნატივების ანალიზს, პროექტის ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის, ზომის, მასშტაბის და დიზაინის, შემარბილებელი ღონისძიებების ვარიანტებისა და „პროექტის გარეშე“ სცენარის თვალსაზრისით. A კატეგორიის პროექტების ჩამონათვალი წარმოდგენილია ამ პოლიტიკის მე-2 დანართში.
15. პროექტი B კატეგორიის პროექტად იქნება მიჩნეული, როდესაც მისი პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება არის როგორც წესი, ადგილმდებარეობასთვის დამახასიათებელი, და/ან ადვილად იდენტიფიცირებადი, და ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების გზით გადაჭრადი. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მოთხოვნების ფარგლებში EBRD-ის მიერ კონკრეტული პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით იქნება განსაზღვრული.

16. პროექტი C კატეგორიის პროექტად იქნება მიჩნეული, როდესაც მოხალდნელია მინიმალური პოტენციური გარემოსდაცვითი და/ან სოციალური უარყოფითი ზემოქმედება, ან საერთოდ არ ექნება ასეთი ზემოქმედება.
17. იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტები, რომლებიც რამდენიმე ადგილას აწარმოებენ ოპერაციებს, ითხოვენ ზოგადი კორპორაციული ფინანსების, საბრუნავი კაპიტალის ან სააქციო კაპიტალის დაფინანსებას, 9-15 პარაგრაფში მითითებული შეფასება შესაძლოა არ იყოს სათანადო. ასეთ შემთხვევებში, კლიენტის მიმდინარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა და წარსული და მიმდინარე შესრულების შედეგების შეფასება მოხდება შესაბამის PR-ებთან მიმართებაში და შემუშავდება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP), რათა მოხდეს გარემოსდაცვისა და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების მართვა და კორპორაციულ დონეზე განხორციელება. გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული ადგილმდებარეობის შესაბამისი ქმედებების განხორციელების მიზანშეწონილობა.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები

18. კლიენტები ვალდებული არიან GIP-ის მოთხოვნების შესაბამისად დანერგონ და განახორციელონ პროექტის ხასიათისა და მასშტაბის შესაფერისი, და გარემოსდაცვისა და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების დონის პროპორციული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვის სისტემა (ESMS). ასეთი მართვის სისტემის მიზანია გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების განხორციელების ინტეგრირება სტრუქტურირებულ და კოორდინირებულ პროცესში და მისი ჩართვა კლიენტის ძირითად საოპერაციო საქმიანობაში.

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

19. კლიენტი, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს, ყოვლისმომცველ პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს გარემოსდაცვით და სოციალურ ამოცანებსა და პრინციპებს, რომლებიც საშუალებას აძლევს პროექტს უზრუნველყოს ეფექტური გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულება. პოლიტიკა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჩარჩოს და PR-ების პრინციპებთან შესაბამის მართვის პროცესს.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

20. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის, და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შედეგების გათვალისწინებით, კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს სამოქმედო პროგრამას, სადაც ასახავს იდენტიფიცირებული პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებისა და რისკების გადაჭრის გზებს, და შესრულების გაუმჯობესებაზე მიმართულ სხვა ღონისძიებებს, რათა დააკმაყოფილოს PR-ები. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა შეიძლება შედგებოდეს დოკუმენტირებული სამოქმედო პოლიტიკის, მართვის სისტემების, პროცედურების, გეგმების, პრაქტიკისა და კაპიტალდაზღვევების ერთობლიობისგან, რაც კოლექტიურად ცნობილია როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები (ESMP).

21. ESMP ასახავს შერბილების იერარქიას, და იქ, სადაც ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებადია, უპირატესობას მიანიჭებს ზემოქმედების თავიდან აცილებას და პრევენციას, ვიდრე მინიმუმზიანობას, შერბილებას ან კომპენსაციას, და უზრუნველყოფს, რომ პროექტის ყველა შესაბამისი ეტაპი შედგენილი იყოს ისე, რომ აკმაყოფილებდეს შესაბამისი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებს და PR-ებს.
22. იმ შემთხვევებში, როდესაც შეფასების პროცესში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანები, ან ადამიანთა ჯგუფები განისაზღვრებიან, როგორც დაუცველი და მოწყვლადი, ESMP გაითვალისწინებს განსხვავებულ ზომებს, იმისათვის, რომ უარყოფითი ზემოქმედება და რისკები მათ არაპროპორციულად არ შეეხოთ და შეძლონ პროექტისაგან სარგებლის მიღება.
23. ESMP-ის დეტალიზაციისა და სირთულის დონე პროექტის ზემოქმედებისა და რისკების, და პროექტის ნებისმიერი შესაძლო გაუმჯობესების შესაბამისი იქნება. ESMP განსაზღვრავს გაუმჯობესებულ შედეგებს, და შესაძლებლობის ფარგლებში, სამიზნე მაჩვენებლებს და შესრულების ინდიკატორებს, რომლებზეც დაკვირვება შესაძლებელია განსაზღვრული პერიოდულობით. პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის დინამიური ხასიათის გათვალისწინებით, ESMP-ი პროექტის გარემოებების ცვლილებების, გაუთვალისწინებელი მოვლენების, მარეგულირებელი ჩარჩოს ცვლილებების, და მონიტორინგისა და მიმოხილვის შედეგების გათვალისწინებით, პერიოდულად გადასინჯვას დაექვემდებარება.

ორგანიზაციული შესაძლებლობები და დაკისრებული ვალდებულებების შესრულება

24. კლიენტი ჩამოაყალიბებს, განახორციელებს და გააძლიერებს, საჭიროებისამებრ, ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს ფუნქციებს, პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს ESMS-ის განხორციელებასთან მიმართებაში, შესაბამის ეროვნულ კანონებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან და PR-ებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კლიენტი დანიშნავს სპეციალურ პერსონალს, მათ შორის, ხელმძღვანელობის წარმომადგენელს, და მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს ESMS-ის დანერგვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. განისაზღვრება ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები, და ამის შესახებ ეცნობება შესაბამის პერსონალს. კლიენტი უზრუნველყოფს უწყვეტ შესაბამის მხარდაჭერას და ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს ეფექტური და განგრძობადი გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების მისაღწევად.
25. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლები, რომელთაც აკისრიათ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის განხორციელების პირდაპირი პასუხისმგებლობა, სათანადოდ იყვნენ კვალიფიცირებულნი და დატრენინგებულნი.

მესამე მხარეებთან დაკავშირებული რისკები

26. ESMS-ი, მათ შორის, მასში განსაზღვრული ნებისმიერი სპეციფიკური მოთხოვნები და ქმედებები, გავრცელდება პროექტზე მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა პროექტი უშუალოდ კლიენტის, თუ მესამე მხარეთა მიერ.
27. კლიენტის პასუხისმგებლობაშია უზრუნველყოფა, რომ პროექტის უბანზე მომუშავე კონტრაქტორები აკმაყოფილებდნენ ESMS-ის მოთხოვნებს კონტრაქტორების მართვის სათანადო სისტემის მიღებისა და განხორციელების მეშვეობით. კონტრაქტორების ეფექტური მართვა მოიცავს:
- საკონტრაქტო სამუშაოებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებას და სატენდერო დოკუმენტებში შესაბამისი ESMP-ის პირობების გათვალისწინებას, და კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ამ სტანდარტების გამოყენების მოთხოვნას და შეუსაბამობის შემთხვევაში შერბილებაზე ან გამოსწორებაზე მიმართული ზომების განხორციელებას;
 - ზედამხედველობას, რომ კონტრაქტორებს აქვთ ცოდნა და უნარები, რომ შეასრულონ მათი საპროექტო ამოცანები ხელშეკრულების გარემოსდაცვისა და სოციალური პირობების შესაბამისად;
 - კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის გარემოსდაცვისა და სოციალურ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მონიტორინგს; და
 - ქვეკონტრაქტორების შემთხვევაში, კონტრაქტორებისაგან მათ ქვეკონტრაქტორებთან მსგავსი გარემოსდაცვითი და სოციალური შეთანხმების მიღწევის მოთხოვნას.

28. კლიენტს მოეთხოვება გააკეთოს გონივრული ძალისხმევა ძირითად მომწოდებლებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისთვის²². სათანადო შემოწმების ეტაპზე გამოვლენილი ნებისმიერი ღონისძიება და/ან შემარბილებელი ღონისძიება სადაც მიზანშეწონილია, ESMP-ში უნდა იყოს ასახული. როდესაც კლიენტს შეუძლია გონივრულად განახორციელოს კონტროლი მის ძირითად მომწოდებლებზე, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი ასევე გაითვალისწინებს დაკავშირებულია თუ არა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება ძირითად მომწოდებლებთან. თუ ეს ასეა, კლიენტი შეიმუშავებს და დანერგავს მიწოდების ჯაჭვისა და პროექტის ხასიათისა და მასშტაბის, და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შესაბამისი მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემას. მართვის სისტემა მოიცავს მიწოდების ჯაჭვის შეფასების ან მიმდინარე მონიტორინგის დროს გამოვლენილ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებზე და ზემოქმედებაზე რეაგირების პროცესებს, შემდეგის გათვალისწინებით: (ა) გამოიწვია, ან ხელი შეუწყო თუ არა კლიენტმა ამ რისკების და ზემოქმედების წარმოშობას; (ბ) კლიენტის მიწოდებლებზე ზემოქმედების ბერკეტები; (გ) რამდენად გადაწყვეტია კლიენტისათვის მიწოდებელთან ურთიერთობა; (დ) რისკების და ზემოქმედების სიმძიმე; და (ე) მიწოდებელთან ურთიერთობის შეწყვეტა გამოიწვევს თუ არა უარყოფით შედეგებს. მიწოდების ჯაჭვში შრომითი სტანდარტების მოთხოვნები მოცემულია PR 2-ში; მიწოდების ჯაჭვის მოთხოვნები ცოხცალ ბუნებრივ რესურსებზე განსაზღვრულია PR 6-ში.

პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

29. კლიენტი მონიტორინგს გაუწევს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესრულებას. ეს მონიტორინგი მიზნად ისახავს: (i) დაადგინოს ხორციელდება თუ არა პროექტი PR-ების შესაბამისად; და (ii) გამოცდილების მიღებას, რესურსების განაწილებას და უწყვეტი გაუმჯობესებისათვის საჭირო შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.
30. მონიტორინგის მოთხოვნები პროექტის ხასიათისა და მისი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების და რისკების პროპორციული იქნება. მონიტორინგის დროს გათვალისწინებული იქნება:
- გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის დროს გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და რისკები;
 - PR-ების შესაბამისი ნაწილები, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნება პროექტის შეფასების პროცესის და შემდგომი მონიტორინგის დროს;

²² ძირითადი მომწოდებლები არიან ის მომწოდებლები, რომლებიც უწყვეტად აწვდიან საქონელს ან მასალებს, რომლებიც აუცილებელია პროექტის ძირითადი საოპერაციო ფუნქციების შესასრულებლად. პროექტის ძირითადი საოპერაციო ფუნქციებია ის წარმოების და/ან მომსახურების პროცესები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული პროექტის საქმიანობისათვის და რომელთა გარეშე პროექტი ვერ განაგრძობს არსებობას.

- ESMP-ში ან ESAP-ში გათვალისწინებული ქმედებები;
 - თანამშრომლებისა და გარე დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული საჩივრები, და ის, თუ როგორ მოხდა მათი გადაწყვეტა;
 - ნებისმიერი მარეგულირებელი მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნები
 - სხვა მხარეების (მაგალითად, შემსყიდველები, ფინანსისტები ან სერტიფიცირების ორგანოები) მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი მონიტორინგი/ანგარიშგება.
31. კლიენტი უზრუნველყოფს მონიტორინგის განსახორციელებლად შესაბამისი სისტემების, რესურსებისა და პერსონალის არსებობას. კლიენტმა უნდა განიხილოს მონიტორინგის შედეგები და, საჭიროებისამებრ, დაიწყოს მაკორექტირებელი ქმედებები. დამატებით, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს მესამე მხარეები, როგორცაა დამოუკიდებელი ექსპერტები, ადგილობრივი თემები, ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რათა შეავსოს ან დაადასტუროს მის მიერ მონიტორინგის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია. სადაც შესაბამის ორგანოებს ან სხვა მესამე მხარეებს აქვთ სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების, და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მართვის პასუხისმგებლობა, კლიენტი ითანამშრომლებს შესაბამის ორგანოებთან ან სხვა მესამე მხარეებთან, რათა ამგვარი შემარბილებელი ღონისძიებები დანერგოს და კონტროლი გაუწიოს მათ განხორციელებას.
32. კლიენტი EBRD-ს რეგულარულად წარუდგენს ანგარიშებს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკმინაობის შესახებ, რაც მოიცავს ინფორმაციას PR-ებთან შესაბამისობის, ESMS-ის, ESMP-ის, ESAP-ისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ, სადაც ეს მიზანშეწონილია. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, კლიენტი განსაზღვრავს და ასახავს ნებისმიერ საჭირო მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებს შესწორებულ ESMP-ში ან ESAP-ში, EBRD-თან შეთანხმებისამებრ. კლიენტი განახორციელებს შეთანხმებულ მაკორექტირებელ და პრევენციულ ქმედებებს, და თვალყურს მიადევნებს რომ ამ ქმედებებმა გააუმჯობესოს შესრულება.
33. კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს EBRD-ს კლიენტთან ან პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოსდაცვითი ან სოციალური ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ, რომელსაც აქვს ან, სავარაუდოდ ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა.
34. კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს EBRD-ს პროექტის ფარგლებთან, დიზაინსა ან ოპერირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ რომელიც მოსალოდნელია, რომ არსებითად შეცვლის მის გარემოსდაცვით და/ან სოციალურ ზემოქმედებასა და რისკებს. კლიენტი განახორციელებს ნებისმიერ დამატებით შეფასებას და უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას PR-ების შესაბამისად და შესაბამის შესწორებებს შეიტანს ESMP-ში ან ESAP-ში, EBRD-თან შეთანხმებისამებრ.
35. იმ პროექტებისათვის, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და რისკები, კლიენტს შესაძლოა მოსთხოვონ შესაბამისი გარე ექსპერტების ჩართვა, რათა მათ პროექტის პერიოდული დამოუკიდებელი შეფასება ჩაატარონ, ან განახორციელონ სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მონიტორინგი. ამ სამუშაოს ფარგლები და შემდგომი ქმედებები განსაზღვრული იქნება კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 2: შრომისა და სამუშაო პირობები

შესავალი

1. მოცემული შესრულების მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ კლიენტებისა და მათი ბიზნეს საქმიანობისთვის სამუშაო ძალა მნიშვნელოვანი აქტივია და რომ საკადრო რესურსების კარგი მართვა და თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა შორის ჯანსაღი ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების პატივისცემას, არის ბიზნეს საქმიანობის მდგრადობის მთავარი შემადგენელი.

ამოცანები

2. ამ PR-ის ამოცანებია:
 - თანამშრომელთა ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების დაცვა და პატივისცემა;²³
 - სამართლიანი მოპყრობის, არა-დისკრიმინაციული გარემოსა და თანაბარი შესაძლებლობების, და ღირსეული შრომის განრიგის უზრუნველყოფა²⁴;
 - თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა შორის ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება, შენარჩუნება და გაუმჯობესება;
 - შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომისა და დასაქმების მარეგულირებელ ეროვნულ კანონებთან, და ნებისმიერ კოლექტიურ შეთანხმებებთან, რომელთა მხარე არის კლიენტი;
 - სამუშაო ადგილას ქალების და მამაკაცების დაცვა, მათ შორის, მოწყვლადი მუშაკების, როგორცაა ახალგაზრდა მუშაკები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიგრანტი მუშაკები და ლტოლვილები, მესამე პირების მიერ დასაქმებული მუშაკები და კლიენტების მიწოდების ჯაჭვის მუშაკები;
 - იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის გამოყენების აღკვეთა (როგორც ეს განსაზღვრულია ILO-ის მიერ);
 - დასაქმებულებისთვის პრობლემების შესახებ საკითხის წამოსაწევად და მოსაგვარებლად

ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალებების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილზე.

გამოყენების სფერო

3. ეს PR ვრცელდება EBRD- ის მიერ დაფინანსებულ ყველა პროექტზე, რაც განსაზღვრულია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით. ამ PR-ის გამოყენების ფარგლები დადგინდება გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში და დამოკიდებულია კლიენტსა და პროექტის მუშაკებს შორის სახელმწიფოებზე ურთიერთობების ტიპზე.
4. ეს PR ადგენს მოთხოვნებს კლიენტებისთვის პროექტის ყველა თანამშრომელთან მიმართებაში, მათ შორის, სრულ განაკვეთზე, ნახევარ განაკვეთზე, დროებით, განსაზღვრული ვადით დასაქმებულ მუშაკებთან და სეზონურ და მიგრანტ მუშაკებთან დაკავშირებით, იქნებიან ისინი დაქირავებული უშუალოდ კლიენტის, თუ მესამე მხარის მიერ, და იგი განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებს ძირითადი მომწოდებლებისთვის. პროექტის მუშაკები არიან ის მუშაკები, რომლებიც მუშაობენ პროექტის ოპერირების უბანზე, ან ასრულებენ სამუშაოს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროექტის ძირითად ფუნქციებთან.
5. მოცემული PR-ის მოთხოვნები ვრცელდება შტატგარეშე დასაქმებულებზე²⁵ და მოცემულია ამ PR-ის 22-24 პარაგრაფებში. მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული შრომითი მოთხოვნები გათვალისწინებულია ამ PR-ის 25-27 პარაგრაფებში.
6. შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და დაცვის მოთხოვნები გათვალისწინებულია PR 4 -ის შესაბამისად.

მოთხოვნები

ზოგადი

²³ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები:

C087 გაერთიანების თავისუფლების და შეკრების უფლების დაცვის შესახებ (1948) C098 კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების შესახებ C029 იძულებითი შრომის შესახებ (1930) და მისი დამატებითი ოქმი P029 (2014) C105 (იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ (1957) C100 თანაბარი ანაზღაურების შესახებ (1951) C111 დისკრიმინაციის შესახებ (დასაქმება და შრომითი საქმიანობა) (1958) C138 მინიმალური ასაკის შესახებ (1973) C182 ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ (1999)

²⁴ ღირსეული შრომა შესატყვისება ადამიანთა მისწრაფებებს მათ სამუშაო ცხოვრებაში. ეს მოიცავს: შესაძლებლობებს მუშაობისათვის, რომელიც არის ნაყოფიერი და მოაქვს სამართლიანი შემოსავალი, სამუშაო ადგილის უსაფრთხოებას და სოციალურ დაცვას ოჯახებისთვის, პიროვნული განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის უკეთეს პერსპექტივებს, ადამიანების თავისუფლებას გამოხატონ საკუთარი წიხილი, ორგანიზება გაუწიონ და მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე და ყველა მამაკაცისა და ქალისათვის შესაძლებლობებისა და მოპყრობის თანასწორობას.

²⁵ შტატგარეშე დასაქმებულები არიან პროექტის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დასაქმებულები კლიენტის მიერ, არამედ დაქირავებული არიან მესამე მხარის მეშვეობით, როგორცაა კონტრაქტორები, აგენტები, ბროკერები ან სხვა შუამავლები.

- პროექტებს მოეთხოვება, როგორც მინიმუმი, უზრუნველყონ შესაბამისობა (i) ეროვნულ შრომის, დასაქმებისა და სოციალური უსაფრთხოების კანონებთან, და (ii) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში გაცხადებულ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებთან, და (iii) მოცემულ PR-თან.

თანამშრომლებთან ურთიერთობების მართვა

საკადრო პოლიტიკა

- კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს მისი ზომისა და სამუშაო ძალის შესაბამის საკადრო პოლიტიკას და მართვის სისტემებს ან პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრავს მის მიდგომას სამუშაო ძალის მართვისადმი ამ PR-ის მოთხოვნებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ეს პოლიტიკა და პროცედურები იქნება გასაგები და ხელმისაწვდომი თანამშრომლებისათვის და შესრულებული იქნება ძირითად ენაზე(ებზე), რომელზეც საუბრობენ თანამშრომლები.

შრომითი ურთიერთობები

- კლიენტი მუშაკებს მიაწვდის წერილობით კონტრაქტებს სამუშაო ურთიერთობის დასაწყისშივე, და როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება დასაქმების პირობებში, რომლებიც შეეხება კლიენტთან შრომით ურთიერთობებს. კონტრაქტში ასახული იქნება ეროვნული შრომითი და დასაქმების კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი უფლებები და ნებისმიერი შესაბამისი კოლექტიური ხელშეკრულებები, სამუშაო და დასაქმების პირობები (მათ შორის, მათი უფლება ხელფასებზე, სამუშაო და დასვენების საათები, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები და ანაზღაურება), და ასევე სხვა ნებისმიერი შედეგადად (მაგალითად, შვებულების, ავადმყოფობის მიზეზით სამსახურის გაცდენის, დეკრეტული შვებულების ან დღესასწაულის შემთხვევაში). ნებისმიერი არსებითი ცვლილება სათანადოდ იქნება დოკუმენტირებული და შეტყობინებული თანამშრომლებისათვის. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ძირითად ენაზე(ებზე), რომელზეც საუბრობენ თანამშრომლები. ადამიანური რესურსების მართვის სისტემები უზრუნველყოფენ თანამშრომელთა უფლებების კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვას.
- კომუნიკაციის მართვა მოხდება იმ განზრახვით, რომ თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ: (i) შესაბამისი ინფორმაციით, კერძოდ, ინფორმაციით მოსალოდნელ ცვლილებებზე, რომლებსაც გავლენა ექნება მათზე, კერძოდ კი, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ; და (ii) შესაძლებლობით, მიაწოდონ შენიშვნები უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარადგინონ საჩივრები, რაც დეტალურადაა აღწერილი ამ PR-ის მე-20 პარაგრაფში.

ბავშვთა შრომა

- კლიენტი დაიცავს ყველა შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას ან შრომის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა დასაქმებას, და იხელმძღვანელებს იმ სტანდარტით, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვის უფრო მაღალ ხარისხს არასრულწლოვანთა დასაქმების თვალსაზრისით.
- კლიენტი არ დასაქმებს ბავშვებს ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატაციურ, ან, შესაძლოა, საზიანო, განათლებასთან შეუთავსებელ ან ბავშვის ჯანმრთელობისთვის მავნე ან ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური ან სოციალური განვითარების შემაფერხებელ სამუშაოზე. კლიენტი გამოავლენს 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს და არ დასაქმებს მათ სახიფათო სამუშაოების შესასრულებლად. 18 წლამდე ასაკის ადამიანთა ყველა სამუშაო დაექვემდებარება სამუშაოების დაწყებამდე სათანადო რისკის შეფასებას და ჯანმრთელობის, სამუშაო პირობებისა და სამუშაო საათების რეგულარულ მონიტორინგს.

იძულებითი შრომა

- კლიენტი არ გამოიყენებს იძულებითი შრომის ფორმებს, რომელიც გულისხმობს ფიზიკური პირის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე მისგან შრომის ან მომსახურების შესრულებას, ძალის ან ჯარიმის მუქარის გამოყენებით. ეს მოიცავს იძულებით ან სავალდებულო შრომას, ისეთს, როგორცაა მუშაობა შეგირდობის ხელშეკრულების საფუძველზე, არანებაყოფლობითი ციხეში შრომა, ვალდებულების დასაფარად სამუშაო ან მსგავსი შრომითი ხელშეკრულები, ან ადამიანების ტრეფიკინგი.²⁶

დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანაბარი შესაძლებლობები

- პროექტები შესაბამისობაში იქნება დასაქმებაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ მოთხოვნებთან. კერძოდ, პროექტთან დაკავშირებით, კლიენტი განახორციელებს შემდეგს:
 - არ მიიღებს დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებებს ისეთი პიროვნული მახასიათებლების საფუძველზე, რაც არ უკავშირდება სამუშაოსთვის აუცილებელ მოთხოვნებს, როგორცაა სქესი, რასა, ეროვნება, პოლიტიკური შეხედულებები, ჯგუფისადმი კუთვნილება, ეთნიკური, სოციალური და ადგილობრივი წარმომავლობა, რელიგია ან რწმენა, ქორწინების ან ოჯახური სტატუსი, უნარშეზღუდულობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა.
 - დაამყარებს შრომით ურთიერთობებს თანაბარი შესაძლებლობებისა და სამართლიანი მოპყრობის პრინციპებზე და არ მოახდენს დისკრიმინაციას შრომითი ურთიერთობის არც ერთ ასპექტში, რაც მოიცავს, თანამშრომელთა აყვანას და დაქირავებას, სამუშაოს დავალებას, ანაზღაურებას (მათ შორის ხელფასებსა და სარგოს), სამუშაო და

²⁶ ადამიანებით ტრეფიკინგი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა დასაქმება, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა, მიღება მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა ფორმის გამოყენებით, იძულება, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ან მოწყვლადი მდგომარეობით სარგებლობა, ან საზღაურის ან სარგებლის გაცემა ან მიღება თანხმობის მიღწევის მიზნით იმ პირისაგან, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე, ექსპლუატაციის მიზნით. ქალები და ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ტრეფიკინგის მიმართ.

დასაქმების პირობებს, მათ შორის, უნარშეზღუდულთათვის გონივრულად ადაპტირებულ სამუშაო ადგილს, ტრენინგებისადმი ხელმისაწვდომობას, დაწინაურებას, მუშაობის შეწყვეტას ან პენსიაზე გასვლას და დისციპლინურ ზომებს.

- მიიღებს ზომებს, რათა აღკვეთოს და რეაგირება მოახდინოს ნებისმიერი ფორმის ძალადობაზე და შევიწროებაზე, ჩაგვრაზე, დაშინებაზე და/ან ექსპლუატაციაზე, ნებისმიერი გენდერული ნიშნით ძალადობის ჩათვლით (GBV)²⁷.

დისკრიმინაცია არ ჩაითვლება შემდეგი ზომები: წარსულში დისკრიმინაციული გამოვლინების გამოსასწორებლად განხორციელებული სპეციალური დაცვისა და დახმარების ზომები; ადგილობრივი კადრების დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა; სამუშაო პროფილის საფუძველზე შერჩევა, რაც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას.

მუშაკთა ორგანიზაციები

15. კლიენტი აცნობებს დასაქმებულებს, რომ მათ აქვთ უფლება აირჩიონ მუშათა წარმომადგენლები, შექმნან ან შეუერთდნენ მუშათა ორგანიზაციებს მათი არჩევანის მიხედვით, და აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკებები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტი არ მოახდენს დისკრიმინაციას და არ მიიღებს საპასუხო ზომებს იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ როგორც წარმომადგენლები, მონაწილეობენ ან ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მსგავს გაერთიანებებში ან კოლექტიურ მოლაპარაკებებში. კლიენტი, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ითანამშრომლებს ასეთ მუშაკთა წარმომადგენლებთან ან გაერთიანებებთან და დროულად უზრუნველყოფს მათ მნიშვნელოვანი ინფორმაციით მოლაპარაკებების შინაარსიანად ჩასატარებლად. სადაც ეროვნული კანონმდებლობა არსებითად ზღუდავს მშრომელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ან ფუნქციონირებას, კლიენტი არ შეზღუდავს მუშაკებს ალტერნატიული მექანიზმების შემუშავებაში, რათა წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები და დაიცვან თავიანთი უფლებები სამუშაო და დასაქმების პირობებთან დაკავშირებით, მისი ზომისა და სამუშაო ძალის შესაბამისად. კლიენტი არც შეეცდება ამ მექანიზმებზე ზემოქმედებას ან კონტროლს. იქ, სადაც ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავს შესაბამის დებულებებს, კლიენტი არ შეუშლის ხელს მუშაკებს თავიანთი წარმომადგენლების არჩევაში, ან მათი არჩევანის მიხედვით მუშაკთა ორგანიზაციებთან მიერთებაში, ან კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებაში, და არ მოახდენს დისკრიმინაციას და არ მიიღებს საპასუხო ზომებს იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობენ ან ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მსგავს გაერთიანებებში ან კოლექტიურ მოლაპარაკებებში. კლიენტი ითანამშრომლებს ასეთ მუშაკთა წარმომადგენლებთან ან გაერთიანებებთან და დროულად უზრუნველყოფს მათ მნიშვნელოვანი ინფორმაციით მოლაპარაკებების შინაარსიანად ჩასატარებლად.

ხელფასები, სარგებელი და სამუშაო პირობები

16. შეთავაზებული ხელფასი, სარგებელი და სამუშაო პირობები (მათ შორის, სამუშაო საათები), საერთო ჯამში, უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის ქვეყანაში/რეგიონში ამ სექტორში ეკვივალენტურ დამსაქმებელთა მიერ შეთავაზებულს. ზეგანაკვეთური სამუშაო იქნება ნებაყოფლობითი და შესრულდება და ანაზღაურდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

²⁷ "ძალადობა და შევიწროება" უნდა იქნას გაგებული, როგორც მიუღებელი ქცევისა და პრაქტიკის უწყვეტობა, ან ამ ქმედებების განხორციელების მუქარა, იქნება ეს ერთჯერადი თუ განმეორებითი, რომლის მიზანია გამოიწვიოს ფიზიკური, ფსიქო-სოციალური ან ეკონომიკური ზიანი, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობა. GBV არის ქოლგა ტერმინი ნებისმიერი მავნე ქმედებისთვის ჩადენილი პირის ნების საწინააღმდეგოდ და რომელიც ემყარება სოციალურად მიკუთვნებულ გენდერულ განსხვავებებს. გენდერული ნიშნით ძალადობა (GBV) მოიცავს ქმედებებს, რომლებიც იწვევს ფიზიკურ, გონებრივ ან ექსპლუატაციურ ზიანს ან ტანჯვას, ამგვარი ქმედებების მუქარას, იძულებას და თავისუფლების სხვაგვარად აღკვეთას.

17. როდესაც კლიენტი არის კოლექტიური შეთანხმების მხარე ან სხვაგვარად არის დავალდებულებული კოლექტიური შეთანხმებით, ასეთი შეთანხმება გათვალისწინებული იქნება. როდესაც მსგავსი შეთანხმება არ არსებობს, ან არ პასუხობს სამუშაო და დასაქმების პირობებს, კლიენტი უზრუნველყოფს გონივრულ სამუშაო და დასაქმების პირობებს, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
18. კლიენტი განახორციელებს მიგრანტ თანამშრომელთა იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს, რომ ისინი იმყოფებოდნენ არსებითად თანაბარ პირობებში არა-მიგრანტ თანამშრომლებთან, რომლებიც იმავე სამუშაოს ასრულებენ.

თანამშრომელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა

19. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი უზრუნველყოფს თანამშრომლებს საცხოვრებლით, კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც არეგულირებს საცხოვრებლის ხარისხს, მის მართვას და მომსახურების გაწევას. საცხოვრებლის სერვისები უზრუნველყოფილი იქნება GIP- ის შესაბამისად და დისკრიმინაციისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოფს სექსუალური შევიწროებისა და სექსუალური და გენდერული ძალადობის სხვა ფორმებისგან დაცვის გარანტიებს. თანამშრომელთა თავისუფალი გადაადგილების უფლება დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილიდან და უკან, არ უნდა იყოს უმიზეზოდ შეზღუდული.

კოლექტიური გათავისუფლება

20. პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი კოლექტიური დათხოვნის²⁸ აღსრულებამდე, კლიენტი განახორციელებს შტატების შემცირების ალტერნატივების ანალიზს. იმ შემთხვევაში, თუ ანალიზი ვერ მოახდენს შემცირების ეფექტიანი ალტერნატივების იდენტიფიცირებას, კლიენტმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კოლექტიური დათხოვნის გეგმა რათა შეაფასოს, შეამციროს და შეარბილოს მშრომელთა შემცირებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება, ეროვნული კანონმდებლობისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის (GIP) შესაბამისად და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებზე და კონსულტაციებზე დაყრდნობით. შერჩევის პროცესი იქნება გამჭვირვალე, დამყარებული სამართლიან, ობიექტურ და თანმიმდევრულად გამოყენებულ კრიტერიუმებზე და დაექვემდებარება საჩივრების განხილვის ეფექტურ მექანიზმს. კლიენტი შეასრულებს ყველა კანონიერ და კოლექტიურად შეთანხმებულ მოთხოვნას, რომელიც ეხება კოლექტიურ დათხოვნას, მათ შორის საჯარო ხელისუფლების ორგანოების შეტყობინების და ინფორმაციის მიწოდების, და მუშაკებთან და მათ ორგანიზაციებთან კონსულტაციების მოთხოვნებს. მუშაკებთან და მათ ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგი ასახული იქნება კოლექტიური დათხოვნის საბოლოო გეგმაში. ყველა გადაუხდელი სახელფასო დავალიანება, სოციალური დაცვის შეღავათები, საპენსიო შენატანები და შემწეობა იქნება გადახდილი: (i) დასაქმებულებისთვის, მათთან სამუშაო ურთიერთობების შეწყვეტის დროს ან შეწყვეტამდე; (ii) საჭიროების შემთხვევაში, მშრომელთა სასარგებლოდ; ან (iii) კოლექტიური შეთანხმებით დადგენილ ვადებში. იმ შემთხვევებში, სადაც გადახდა დასაქმებულთა სასარგებლოდ მოხდება, მათ მიეწოდებათ ასეთი გადახდების მტკიცებულება. კლიენტი წინასწარ შეატყობინებს EBRD- ს სამუშაო ძალის შემცირების შესახებ და, EBRD- ის მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგენს კოლექტიური დათხოვნის შეთავაზებული გეგმის ასლს.

გასაჩივრების მექანიზმი

²⁸ კოლექტიური გათავისუფლება მოიცავს ყველა გათავისუფლებას, რომლებიც ეკონომიკური, ტექნიკური ან ორგანიზაციული, ან სხვა მიზეზებითაა განპირობებული, რომლებიც არ არის დაკავშირებული შესრულებასთან ან სხვა პირად მიზეზებთან.

21. კლიენტი თანამშრომლებისთვის (და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათი გაერთიანებებისთვის) უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის ეფექტურ მექანიზმს, რათა მათ შეძლონ თავიანთ სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების წამოყენება. კლიენტი შეატყობინებს თანამშრომლებს საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ მათი სამსახურში აყვანის დროს, და უზრუნველყოფს ამ მექანიზმის ადვილად ხელმისაწვდომობას. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს მართვის სათანადო დონეს და უზრუნველყოფდეს პრობლემების დროულად გადაჭრას გასაგები და გამჭვირვალე პროცესის გამოყენებით, რაც ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული პირებისთვის დროულ უკუკავშირს, ყოველგვარი ანგარიშსწორების გარეშე. საჩივრების მექანიზმი ასევე უნდა იძლეოდეს საჩივრების კონფიდენციალურად წარდგენის საშუალებას, და დაცვის სპეციალურ ზომებს იმ პირებისთვის, ვისაც ეს ესაჭიროება, როგორცაა გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული შეტყობინებები. ამ მექანიზმმა ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას, რაც შეიძლება კანონით იყოს გათვალისწინებული, ან არსებული არბიტრაჟის ან მედიაციის პროცედურების ფორმით იყოს ხელმისაწვდომი, და გარდა ამისა, მან არ უნდა ჩაანაცვლოს პროფკავშირებისა და კოლექტიური შეთანხმებებით უზრუნველყოფილი საჩივრების განხილვის მექანიზმი.

შტატგარეშე თანამშრომლები

22. კონტრაქტორებისა ან სხვა შუამავლების საშუალებით კლიენტის მიერ დაქირავებული შტატგარეშე თანამშრომლების შემთხვევაში კლიენტი გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა: (i) შეაფასოს ამ კონტრაქტორების ან შუამავლების წარსული საქმიანობა დასაქმებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კუთხით, რათა დაადგინოს მათი მიმდინარე შესაძლებლობები ამ PR-ის და PR 4-ის მოთხოვნების შესრულების თვალსაზრისით; და (ii) მოითხოვოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ამ PR-ის 7-19 და 21-ე პარაგრაფებით დადგენილ მოთხოვნებს, და PR 4-ის 11-15 პარაგრაფების მოთხოვნებს.

23. კლიენტი განსაზღვრავს მესამე მხარის მიერ პროექტის მუშაკების დაქირავებასთან, ჩართვას და დემობილიზაციასთან დაკავშირებულ რისკებს, და შეიმუშავებს მესამე მხარის დამქირავებლების საქმიანობის მართვისა და მონიტორინგისათვის საჭირო პოლიტიკასა და პროცედურებს პროექტის და ამ PR-ის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, კლიენტი გონივრულ ძალისხმევას წარმართავს, რათა გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები სახელშეკრულებო შეთანხმებებში ასეთი მესამე მხარის დამსაქმებლებთან, და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს და განახორციელებს კონტრაქტორთა მართვის გეგმას. ქვეკონტრაქტირების შემთხვევაში, კლიენტი გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს მესამე მხარეების მიერ ექვივალენტური მოთხოვნების გათვალისწინება ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

24. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ შტატგარეშე თანამშრომლებს გააჩნდეთ წვდომა გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმზე, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული PR-ის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე ვერ უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის მექანიზმს, კლიენტი უზრუნველყოფს საჩივრების ეფექტურ მექანიზმს მესამე მხარის მიერ დაქირავებული თანამშრომლებისთვის.

მიწოდების ჯაჭვი

25. PR 1-ში ასახული მიწოდების ჯაჭვის შეფასების პროცესის ფარგლებში კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს ბავშვთა შრომის და იძულებითი შრომის გამოყენების²⁹ რისკებს პროექტის ძირითადი მიმწოდებლების მიერ თავიანთი ოპერაციების განხორციელებისას³⁰.

26. თუ რისკის შეფასების შედეგად ძირითადი მიმწოდებლების ოპერაციებში გამოვლინდება ბავშვთა შრომის ან იძულებითი შრომის ფაქტები ან მნიშვნელოვანი რისკები, ILO-ს სტანდარტების დარღვევით, ან იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვთა შრომის ან იძულებითი შრომის მნიშვნელოვანი რისკების შესახებ იქნება შეტყობინებული იმ საქონლისა და მასალების მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე, რომლებიც აუცილებელია პროექტის ძირითადი საოპერაციო ფუნქციების შესასრულებლად, კლიენტი მიიღებს შესაბამის ზომებს ამის გამოსასწორებლად, შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

(i) ბავშვთა შრომის გამოვლენის შემთხვევაში, კლიენტი კეთილსინდისიერ ძალისხმევას წარმართავს პრობლემის გამოსასწორებლად ან შესარბილებლად. კლიენტი მიმწოდებლისაგან ასეთი საქონლისა და მასალების შესყიდვას განაგრძობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს დამაკმაყოფილებელ გარანტიას ან მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ მიმწოდებელი ვალდებულია კისრულობს განახორციელოს პროგრამა GIP-ის შესაბამისად, რათა აღმოფხვრას ზემოთხსენებული პრაქტიკა

²⁹ როგორც განსაზღვრულია ILO-ს 138-ე, 182-ე, 29-ე და 105-ე კონვენციებში.

³⁰ იხილეთ PR 1, პარაგრაფი 28 პროექტის ძირითადი მიმწოდებლებისა და პროექტის ძირითადი ოპერატიული ფუნქციების განმარტებებისთვის.

გონივრული ვადების ფარგლებში. კლიენტი რეგულარულად წარადგენს ანგარიშს ასეთი პროგრამის განხორციელების შესახებ;

(ii) იძულებით შრომასთან მიმართებაში, კლიენტმა მიმწოდებლისაგან ასეთი საქონლისა და მასალების შეძენა უნდა გააგრძელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს დამაკმაყოფილებელ გარანტიას ან მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მიმწოდებელმა მიიღო შესაბამისი ზომები იძულებითი შრომის პირობების აღმოსაფხვრელად; და

(iii) იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ბავშვთა და/ან იძულებითი შრომის რისკი, კლიენტი მონიტორინგს გაუწევს მიწოდების ძირითად მომწოდებელს უწყვეტად იმისათვის, რათა გამოავლინოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება მიწოდების ქსელში, და ბავშვთა და/ან იძულებითი შრომის ახალი რისკები ან შემთხვევები. გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, თუ ძირითადი მიმწოდებლების თანამშრომლების ზიანის რისკი გამოვლინდება, კლიენტი შესაბამის ძირითად მომწოდებელს მოსთხოვს პროცედურებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დანერგვას დასაქმებულების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ზიანის რისკების აღმოსაფხვრელად. კლიენტი პერიოდულად შეაფასებს ასეთ პროცედურებს და კონტროლის ღონისძიებებს მათი ეფექტურობის დასადგენად.

27. კლიენტის უნარი, სრულად უპასუხოს ამ რისკებს, დამოკიდებული იქნება კლიენტის მიერ მის ძირითად მიმწოდებლებზე კონტროლის ან გავლენის მართვის დონეზე. იმ შემთხვევებში, როდესაც მდგომარეობის გამოსწორება არ არის შესაძლებელი, კლიენტი შესაბამისი მომწოდებლების ჩანაცვლებას უზრუნველყოფს EBRD-თან შეთანხმებულ დროის გონივრულ პერიოდში იმ მიმწოდებლებით, რომლებსაც შეუძლიათ ამ PR- თან შესაბამისობის დემონსტრირება.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი

შესავალი

1. შესრულების მოცემული მოთხოვნა (PR) ასახავს პროექტის დონეზე არსებულ კლიმატზე ზემოქმედებისა და სათბურის აირების ემისიების, რესურსების მართვისა და დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მიმართულებით მიდგომას.³¹ მოცემული მიდგომა დამყარებულია შერბილების იერარქიაზე, პრინციპზე, რომ გარემოსთვის ზიანის მიყენება, როგორც პრიორიტეტი, უნდა იყოს გამოსწორებული მისი წარმოშობის ადგილზევე და პრინციპზე „დამბინძურებელი იხდის“. პროექტთან დაკავშირებული რისკები და ზემოქმედება და რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და ნარჩენების და ემისიების წარმოქმნა უნდა შეფასდეს პროექტის ადგილმდებარეობის და ადგილობრივი გარემო პირობების კონტექსტში. მიღებული უნდა იქნას შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ტექნოლოგიები და პრაქტიკა რესურსების ეფექტური და ეფექტიანი გამოყენების, დაბინძურების პრევენციის, კონტროლისა და თავიდან აცილების, სათბურის აირების (GHG) ემისიების მინიმიზაციისა და შემცირების მიზნით.
2. ეს PR ასევე აღიარებს ცირკულარული ეკონომიკის ახალ კონცეფციას და პრაქტიკას³² და რესურსების აღდგენას, როდესაც სასარგებლო და ღირებული პროდუქტები შეიძლება შეიქმნას ან წარმოებული იქნას იქიდან, რაც ადრე ნარჩენებად იყო მიჩნეული³³.
3. ეს PR აცნობიერებს საუკეთესო მეთოდებისა და GIP-ის გამოყენების მნიშვნელობას რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციისათვის და დაბინძურების ეფექტიანი პრევენციისა და კონტროლისათვის.

ამოცანები

4. ამ PR-ის ამოცანებია:
 - შერბილების იერარქიის მიდგომის დანერგვა, რათა რეაგირება მოხდეს პროექტის რესურსების გამოყენებისა და დაბინძურების გამოფრქვევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისა და

გარემოსთვის მიყენებულ ზარალით ზემოქმედებაზე

- ხელი შეუწყოს პროექტთან დაკავშირებული სათბურის აირების ემისიის თავიდან აცილებას, მინიმიზაციას და მართვას
- თავიდან აიცილოს, მინიმუმამდე დაიყვანოს და მართოს სახიფათო ნივთიერებებთან და მასალებთან, მათ შორის პესტიციდებთან დაკავშირებული რისკები და ზემოქმედება
- გამოავლინოს, სადაც ეს შესაძლებელია, პროექტთან დაკავშირებული რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.

გამოყენების სფერო

5. ეს PR-ი ვრცელდება EBRD-ის მიერ პირდაპირ დაფინანსებულ ყველა პროექტზე, როგორც ეს დადგენილია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით. კლიენტი, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში, განსაზღვრავს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს და იმას, თუ როგორ მოხდება მათი გადაჭრა და მართვა პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ამ PR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ქმედებების განხორციელების მართვა მოხდება კლიენტის ზოგადი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP) თანახმად.

მოთხოვნები

რესურსების ეფექტიანობა

6. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი პროექტთან დაკავშირებული რესურსების ეფექტიანობის შესაძლებლობებსა და ალტერნატივებს განსაზღვრავს, GIP-ის შესაბამისად. ამით, კლიენტი გაატარებს ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებად³⁴ და ეკონომიკურად ხარჯთაღმწეებელ ზომებს³⁵ ენერჯის, წყლის და სხვა რესურსების და გამოსაყენებელი მასალების მოხმარების

³¹ ტერმინი „დაბინძურება“ მოიცავს როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ქიმიურ დამბინძურებლებს მყარ, თხევად ან აირისებრ ფაზაში და მოიცავს სხვა კომპონენტებს, როგორცაა წყალში თერმული ჩაშვება, ხანმოკლე და გრძელვადიანი კლიმატის დამბინძურებლების გაფრქვევა, გარემოს დაბინძურებას (წიდაგის, ჰაერისა და წყლის ჩათვლით), უსიამოვნო სუნს, ხმაურს, ვიბრაციას, რადიაციას, ელექტრომაგნიტურ ენერჯის და პოტენციური ვიზუალური ზემოქმედების გამომწვევებს, სინათლის ჩათვლით.

³² როგორც ეს მითითებულია ევროკომისიის ცირკულარული ეკონომიკის პაკეტში.

³³ როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივით 2008/98/EC ნარჩენების და გარკვეული დირექტივების გაუქმების შესახებ (ევროკავშირის ნარჩენების მართვის ჩარჩო დირექტივა).

³⁴ ტექნიკური განხორციელებადობა დამყარებულია შემოთავაზებული ზომებისა და ქმედებების განხორციელების შესაძლებლობაზე კომერციულად ხელმისაწვდომი უნარებით, აღჭურვილობითა და მასალებით, ისეთი ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა კლიმატი, გეოგრაფია, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება, მართვა, შესაძლებლობების და საექსპლუატაციო საიმედოობა. ფინანსური განხორციელებადობა ეფუძნება კომერციულ მოსაზრებებს, მათ შორის ასეთი ზომების და ქმედებების მიღების დამატებითი ღირებულების სიდიდეს პროექტის საინვესტიციო, საექსპლუატაციო და შეკეთების ხარჯებთან შედარებით.

³⁵ ხარჯთაღმწეებლობა განისაზღვრება კაპიტალური და საექსპლუატაციო ხარჯების და ღონისძიების ფინანსური სარგებლის მიხედვით პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შემცირებისთვის და ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის, ისევე როგორც ნარჩენი მასალების აღდგენისთვის, ხელახალი უტილიზაციისა და დანიშნულების ცვლილებისთვის, პროექტის განხორციელების დროს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება საქმიანობაზე, რომელიც ითვლება პროექტის ძირითად ფუნქციად, მაგრამ ასევე გათვალისწინებული იქნება მსგავსი შესაძლებლობები კლიენტის სხვა ბიზნეს საქმიანობაში, რომელიც არ წარმოადგენს პროექტის ნაწილს. იქ სადაც ხელმისაწვდომია საორიენტაციო მაჩვენებლები, კლიენტის შეფასების ეტაპზე შედარებული იქნება მისი ოპერაციები GIP-თან შესაბამისობაში, ეფექტიანობის დონის დასადგენად.

7. კლიენტი რესურსების ეფექტიანობის ზომებსა და სუფთა წარმოების პრინციპებს პროდუქტის დიზაინის შემუშავების და წარმოების პროცესებში გაითვალისწინებს ნედლეულის, ენერჯისა და წყლის კონსერვაციის, და ნარჩენების გენერირების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით.

წყალი

8. წყლის მოხმარების მინიმიზაციისთვის და აღდგენისთვის საჭირო ყველა ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებადი და ხარჯთაღმწიკური შესაძლებლობები იქნება გამოვლენილი GIP-ის შესაბამისად და პროექტის დიზაინის ნაწილად იქნება მიჩნეული. როდესაც პროექტისთვის სპეციფიკური წყალმომარაგების სისტემის შემუშავება იქნება საჭირო, კლიენტი შეეცდება შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენოს სასამართლოდ უპირატესი წყალი ტექნიკური მიზნებისათვის.
9. იმ პროექტებისთვის, რომლებსაც აქვთ წყლის მაღალი მოთხოვნა (დღეში 5,000 მ³-ზე მეტი), შემდეგი მოთხოვნები გავრცელდება:
 - შეფასების პროცესში უნდა შემუშავდეს წყლის დეტალური ბალანსი, რომელიც უნდა იწარმოოს და ყოველწლიურად წარედგინოს EBRD-ს ანგარიშის სახით;
 - უნდა შეფასდეს წყლის კონკრეტული მიზნით გამოყენება (იზომება ერთეულის წარმოებისთვის გამოყენებული წყლის მოცულობის სახით);
 - ოპერაციები უნდა დაიგეგმოს წყლის გამოყენების ეფექტიანობის ხელმისაწვდომი სექტორული სტანდარტების და GIP-ს გათვალისწინებით; და
 - უნდა განისაზღვროს უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობები წყლის გამოყენების ეფექტიანობის და აღდგენის თვალსაზრისით
10. კლიენტს მოეთხოვება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესში გაითვალისწინოს წყალდების პროცესის პოტენციური კუმულაციური ზემოქმედება მესამე მხარის მომხმარებლებსა და ადგილობრივ ეკოსისტემებზე. ამ შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება კლიმატის ცვლილებაზე. უარყოფითი ზემოქმედების და რისკების იდენტიფიცირების შემთხვევაში, კლიენტი

განსაზღვრავს და განახორციელებს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ასეთი რისკებისა და ზემოქმედების შერბილებას, შერბილების იერარქიის მიდგომისა და GIP-ის შესაბამისად.

ნარჩენები³⁶

11. კლიენტი თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს ნარჩენების წარმოქმნას და, შეძლებისდაგვარად, შეამციროს ამ ნარჩენებით გამოწვეულ შესაძლო ზიანს. სადაც ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ მინიმუმამდე დაიყვანოს, კლიენტი ხელახლა გამოიყენებს, გადაამუშავებს ან აღადგენს ნარჩენებს ან გამოიყენებს მათ როგორც ენერჯის წყაროს, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის უსაფრთხო გზით. სადაც ნარჩენების გადამუშავება ან ხელახალი მოხმარება შეუძლებელია, კლიენტი სათანადო წესით დაამუშავებს და გაიტანს მათ გარემოში ეკოლოგიურად უსაფრთხო გზით, ეს მოიცავს ემისიებისა და ნარჩენების შესაბამის კონტროლს, რომლებიც წარმოიქმნება ნარჩენების დამუშავებისა და გადამუშავების შედეგად, და საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად.
12. თუ წარმოქმნილი ნარჩენები ეროვნული და ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად ითვლება სახიფათო ნარჩენებად, კლიენტი გაითვალისწინებს შეზღუდვებს, რომლებიც ვრცელდება ნარჩენების ტრანსპორტზე და გადამამუშავებელზე, და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებს.
13. როდესაც ნარჩენების გატანა ხდება პროექტის ტერიტორიის გარეთ, და/ან ხორციელდება მესამე მხარეების მიერ, კლიენტი შეაგროვებს შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც ასახავს მიწოდების ჯაჭვს მის დანიშნულების ადგილამდე, და გამოიყენებს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ლიცენზირებულ კონტრაქტორებს. კლიენტი უზრუნველყოფს ნარჩენების სათანადო მართვას.

დაბინძურების პრევენცია და კონტროლი

14. კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი განსაზღვრავს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის სათანადო მეთოდებს, ტექნოლოგიებსა და პრაქტიკას („მეთოდებს“), რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული პროექტის მიმართ. შეფასება მხედველობაში მიიღებს იმ საშუალებების/ობიექტების და ოპერაციების მახასიათებლებს, რომლებიც პროექტის ნაწილს წარმოადგენენ, და ასევე, პროექტის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და ადგილობრივ გარემო პირობებს. შეფასების პროცესი განსაზღვრავს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებად და ხარჯთაღმწიკურ მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მეტადაა მორგებული ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანისთვის. პროექტის

³⁶ამ PR-ის მიზნებისათვის, ნარჩენები განისაზღვრება, როგორც აირისებრი, თხევადი და/ან მყარი ნივთიერებების/მასალების არაერთგვაროვანი ნარევი, რომელიც უნდა იყოს დამუშავებული ადეკვატური ფიზიკური, ქიმიური და/ან ბიოლოგიური პროცესების გამოყენებით გარემოში უსაფრთხოდ გატანამდე.

მიმართ გამოყენებული რისკებისა და ზემოქმედების პრევენციის ან თავიდან აცილების მეთოდებს მიენიჭება უპირატესობა ვიდრე მათი მინიმუმაცია და შემცირება, შერბილების იერარქიის მიდგომისა და GIP-ის შესაბამისად, და ისინი პროექტის უარყოფითი ზემოქმედებისა და რისკების შესაბამისი ხასიათის და მასშტაბის თანაზომიერი იქნება.

15. კლიენტები შეიმუშავებენ პროექტებს ისე, რომ დააკმაყოფილონ ევროკავშირის შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები, იქ, სადაც ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის დონეზე³⁷. გარკვეულ პროექტებზე, მათი ხასიათისა და მასშტაბიდან გამომდინარე, და მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად, გავრცელდება ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ,³⁸ მათ უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის „საუკეთესო ხელმისაწვდომი მეთოდების“ (BAT) პრინციპები და მათთან დაკავშირებული ემისიების გაფრქვევების დასაშვები ზღვრები, როგორც ეს განსაზღვრულია EU BAT დასკვნებში.
16. როდესაც პროექტის დონეზე არ არსებობს ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები, კლიენტი, EBRD-თან შეთანხმებით, განსაზღვრავს სხვა შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებს GIP-ის შესაბამისად. გარდა ამისა, პროექტები შეიშავებული იქნება ისე, რომ შეესაბამებოდნენ მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობას, და მათი მართვა და განხორციელება მოხდება ეროვნული კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. როდესაც მასპინძელი ქვეყნის რეგულაციები განსხვავდება ევროკავშირის არსებით გარემოსდაცვით სტანდარტებში წარმოდგენილი დონეებისა და ლიმიტებისგან, ან სხვა შესაბამისი ეკოლოგიური სტანდარტებისგან, პროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს ის სტანდარტები, რომლებიც უფრო მკაცრია.
17. პროექტებმა თავიდანვე უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები ან სხვა შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტები და ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნები. როდესაც პროექტები მოიცავენ არსებულ საწარმოებს და/ან ოპერაციებს, ამ საწარმოებმა და ოპერაციებმა გონივრულ პერიოდში უნდა დააკმაყოფილონ მე-15 და/ან მე-16 პარაგრაფების მოთხოვნები, რომელიც განისაზღვრება მათი საქმიანობის ოფიციალური შეფასების საფუძველზე შესაბამის სტანდარტებთან მიმართებაში.
18. რაც შეეხება პროექტებს, რომლებიც მდებარეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ევროკავშირთან მიერთების პროცესში მყოფ ქვეყნებში, ან კანდიდატ და პოტენციურ კანდიდატ ქვეყნებში, რომლებიც მოიცავენ არსებული ობიექტების რეაბილიტაციას და/ან ოპერაციებს, და სადაც განსაზღვრულია ევროკავშირის შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტები, ამ სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად განსაზღვრული ვადები უნდა ითვალისწინებდეს

ეროვნულ დონეზე შეთანხმებულ ნებისმიერ ვადებს. ყველა სხვა ქვეყანაში არსებული პროექტებისთვის, ევროკავშირის არსებით გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად განსაზღვრული ვადა უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ პირობებს და სტანდარტების განხორციელების ღირებულებას, და თავსებადი უნდა იყოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან და ნებისმიერ ორმხრივ შეთანხმებულთან, ან ევროკავშირისა და შესაბამის მასპინძელ ქვეყანას შორის შეთანხმებულ სამოქმედო გეგმასთან.

19. პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, კლიენტი გამოიყენებს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება შერბილების იერარქიის მიდგომას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, და იმავდროულად, შეინარჩუნებენ ტექნიკურ და ფინანსურ რენტაბელურობას და ხარჯთეფექტურობას. ეს ეხება რუტინული, არა-რუტინული და შემთხვევითი გარემოებების შედეგად გამოწვეული დამაბინძურებლების ემისიას/გაშვებას.

სათბურის აირები

20. კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი გაითვალისწინებს ალტერნატივებს და განახორციელებს ტექნიკურად და ფინანსურად მისაღებ და ხარჯთეფექტურ ვარიანტებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი პროექტთან დაკავშირებული სათბურის აირების (GHG) ემისია პროექტის შემუშავებისა და ოპერირების პერიოდში. ეს ვარიანტები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, პროექტის ალტერნატიული ადგილმდებარეობით, მეთოდებით ან პროცესებით, განახლებადი ან ნახშირბადის დაბალი შემცველობის ენერჯის წყაროების გამოყენებით, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეცხოველეობის მდგრადი მართვის პრაქტიკით, უკონტროლო ემისიებისა და გაზის დაწვის შემცირებით.
21. იმ პროექტებისთვის, რომლებიც (1) ამჟამად აწარმოებენ, ან მოსალოდნელია რომ იწვევსტირების შემდეგ აწარმოონ ყოველწლიურად 100,000 ტონა CO₂-ის ექვივალენტი, ან (2) მოსალოდნელია, რომ ემისიების საერთო რაოდენობა შეიცვლება, დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით, 25,000 ტონაზე მეტი CO₂-ის ექვივალენტური ოდენობით ყოველწლიურად იწვევსტიციის შემდგომ, კლიენტი რაოდენობრივ მაჩვენებლებში განსაზღვრავს ამ ემისიების რაოდენობას EBRD-ის სათბურის აირების ემისიების შეფასების ოქმის თანახმად. სათბურის აირების შეფასების ფარგლები უნდა მოიცავდეს ყველა პირდაპირ ემისიას ობიექტებიდან, საქმიანობიდან და ოპერაციებიდან, რომლებიც პროექტის ნაწილს წარმოადგენენ, ისევე როგორც არაპირდაპირ ემისიებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის მიერ

³⁷ ამ PR-ის მიზნებისათვის, ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის დონეზე იქ, სადაც ევროკავშირის მეორადი საკანონმდებლო დოკუმენტი თავისთავად შეიცავს მკაფიო რაოდენობრივ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება პროექტის დონეზე (მაგალითად, ატმოსფერულ დონესთან შედარებით).

³⁸ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის დირექტივა 2010/75/EU სამრეწველო ემისიების შესახებ (დამბინძურების ინტეგრირებული პრევენცია და კონტროლი).

გამოყენებული ენერჯის წარმოებასთან. კლიენტი GHG ემისიების რაოდენობის განსაზღვრას აწარმოებს ყოველწლიურად და ამ მონაცემებს აცნობებს EBRD-ს.

სახიფათო ნივთიერებების და მასალების უსაფრთხო გამოყენება და მართვა

22. ყველა საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროექტთან, კლიენტი თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს სახიფათო ნივთიერებებისა და მასალების გამოყენებას და უზრუნველყოფს ასეთი ნივთიერებებისა და მასალების ნაკლებად სახიფათო შემცველობის გამოყენებას, რათა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო მათი შესაძლო მავნე ზემოქმედებისაგან. სადაც ზემოქმედების თავიდან აცილება, ან მასალის/ნივთიერებების ჩანაცვლება არ არის შესაძლებელი, კლიენტი გამოიყენებს რისკების მართვის სათანადო ზომებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ან კონტროლი გაუწიოს ასეთი ნივთიერებების/მასალების გამოთავისუფლებას ჰაერში, წყალში და/ან ნიადაგში, რაც გამოწვეულია მათი წარმოებიდან, ტრანსპორტირებიდან, მართვიდან, შენახვიდან, გამოყენებისა და განადგურებიდან პროექტის საქმიანობის ფარგლებში.
23. კლიენტი თავიდან აიცილებს მავნე ნივთიერებებისა და მასალების წარმოებას, ვაჭრობასა და გამოყენებას, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებსა და წარმოებიდან მოხსნას მათი ცოცხალი ორგანიზმების მიმართ მაღალი ტოქსიკურობის, გარემოში მდგრადობის, ბიოაკუმულაციის პოტენციალის, ან ოზონის შრის განლევის შესაძლებლობის გამო.

მავნე მავნელების მართვა

24. კლიენტები, რომლებიც ახორციელებენ პესტიციდების გამოყენებას ან მართვას, ჩამოაყალიბებენ და განახორციელებენ მავნელების ინტეგრირებული მართვის (IPM) და/ან ვექტორების ინტეგრირებული მართვის (IVM) მიდგომებს. კლიენტის IPM და IVM პროგრამები ითვალისწინებენ მავნელების და გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის კოორდინირებულ გამოყენებას მავნელების კონტროლის ხელმისაწვდომ მეთოდებთან ერთად, მათ შორის კულტურულ პრაქტიკას, ბიოლოგიურ, გენეტიკურ და, ქიმიურ საშუალებებს, მავნელების მიერ მიყენებული ზიანის მიუღებელი დონეების თავიდან ასაცილებლად. როდესაც მავნელების მართვის საქმიანობა მოიცავს პესტიციდების გამოყენებას, კლიენტი ეცდება შეამციროს პესტიციდების ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, და ფართო გარემოზე, და, უფრო ზოგადად კი, მიაღწიოს პესტიციდების უფრო მდგრად გამოყენებას, ასევე, რისკების მნიშვნელოვან საერთო შემცირებას და პესტიციდების გამოყენებას, რომელიც შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო კულტურების აუცილებელ დაცვას.
25. პესტიციდების მდგრადი გამოყენება გულისხმობს:
 - ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და ფართო გარემოზე პესტიციდების ზემოქმედების თავიდან აცილებას ან, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე დაყვანას;

- მავნე აქტიური ნივთიერებების დონის შემცირებას ყველაზე სახიფათო ნივთიერებების შედარებით უსაფრთხო (მათ შორის არა ქიმიური) ნივთიერებებით ჩანაცვლების საშუალებით;
 - ისეთი პესტიციდების შერჩევას, რომლებიც ნაკლებად ტოქსიკურია, რომლებიც ცნობილია სამიზნე სახეობების მიმართ ეფექტური ზემოქმედებით და გააჩნიათ მინიმალური გავლენა არა-სამიზნე სახეობებზე, მაგალითად, როგორცაა დამმტვერავი მწერები, და გარემოზე;
 - პესტიციდების მცირე რაოდენობის მოხმარების, ან პესტიციდებისაგან თავისუფალი მიწათმოქმედების ხელშეწყობას, IPM და IVM სტრატეგიების გამოყენებით; და
 - სამიზნე მავნელების ბუნებრივი მტრების დაზიანების მინიმუმამდე დაყვანას და მავნელებში რეზისტენტობის განვითარების თავიდან აცილებას.
26. კლიენტი, GIP-ის შესაბამისად, განკარგავს, შეინახავს, გამოიყენებს და განადგურებს პესტიციდებს.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 4: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცვა

შესავალი

1. შესრულების ეს მოთხოვნა (PR) აღიარებს თანამშრომლების, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისა და მომხმარებლების, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და დაცვის მართვის რისკების მნიშვნელობას რომლებიც დაკავშირებულია პროექტის საქმიანობასთან, რისკების კონტროლის იერარქიის შესაბამისად³⁹. მუშაკებისთვის უსაფრთხო, ჯანსაღ და დაცულ სამუშაო პირობების უზრუნველყოფის გზით, კლიენტებმა შეიძლება შექმნან ხელშესახები სარგებელი, როგორცაა მათი საქმიანობის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდა.
2. საპროექტო საქმიანობამ, ტექნიკამ და ინფრასტრუქტურამ შეიძლება გაზარდოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და დაცვის რისკების ზემოქმედება თანამშრომლებზე და თემებზე, მათ შორის, იმ რისკების, რომლებიც დაკავშირებულია მობილიზაციასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციაში გაშვებასთან, ოპერირებასთან, შეკეთებასთან, ექსპლუატაციიდან ამოღებასთან ან დახურვასთან, პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენასთან და საქონლის ტრანსპორტირებასთან და მომსახურებასთან.
3. კლიენტებს ეკისრებათ ძირითადი ვალდებულება უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები მათი თანამშრომლებისათვის და განხორციელონ მათი ინფორმირება, მომზადება, ზედამხედველობა და კონსულტაციების გაწევა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა აქტიურად ითანამშრომლონ მათ დამსაქმებელთან და იზრუნონ საკუთარი და სხვების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.
4. იმისდა მიუხედავად რომ კლიენტი აცნობიერებს შესაბამისი ორგანოების როლს საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასა და ხელშეწყობაში, მას ეკისრება ვალდებულება, თავად მართოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და დაცვასთან დაკავშირებული რისკები.

ამოცანები

5. ამ PR-ის ამოცანებია:
 - თანამშრომელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და დაცვის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა უსაფრთხო, ჯანსაღი და დაცული სამუშაო პირობების უზრუნველყოფით და მართვის სისტემის განხორციელებით, რომელიც

პროექტთან დაკავშირებული რისკების თანაზომიერია.

- პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში მასთან დაკავშირებული რუტინული და არარუტინული გარემოებებით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და დაცვის რისკების აღმოჩენა, შეფასება და მართვა.

გამოყენების სფერო

6. ეს PR-ი ვრცელდება EBRD-ის მიერ დაფინანსებულ ყველა პროექტზე, როგორც ეს დადგენილია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით. კლიენტი, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში განსაზღვრავს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს, და იმას, თუ როგორ მოხდება მათი დაკმაყოფილება და მართვა პროექტის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. თანამშრომლებსა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე შესაძლო რისკები შეიძლება განსხვავდებოდეს პროექტის ეტაპის მიხედვით, მათ შორის, მობილიზაციის, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანის, ოპერირების, შეკეთების და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ან პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის, და დახურვის ეტაპების მიხედვით. ამ PR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ქმედებების განხორციელების მართვა კლიენტის ზოგადი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემისა (ESMS) და/ან პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) განუყოფელი ნაწილის სახით ხდება, როგორც ეს გათვალისწინებულია PR 1-ში.
7. დაბინძურების გაფრქვევის შედეგად რისკები ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე ზემოქმედების პრევენციის და კონტროლის დეტალური მოთხოვნები აღწერილია PR 3-ში;

მოთხოვნები

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის ზოგადი მოთხოვნები

³⁹ რისკების კონტროლის იერარქია მოიცავს: (i) რისკის აღმოფხვრას; (ii) რისკის შემცირებას სახიფათო მდგომარეობის ან ნივთიერების არასახიფათო ან ნაკლებად საშიში ნივთიერებით ჩანაცვლებით; (iii) რისკის იზოლაცია მისი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად; (iv) საინჟინრო კონტროლის ზომების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც სამუშაო მაღის, ასევე საზოგადოების დაცვას ერთობლივად; და (v) ინფორმაციის, ინსტრუქციების და ტრენინგების მიწოდება მუშაკებისთვის და თემებისთვის, საჭიროებისამებრ, რისკების, უსაფრთხო მუშაობის სისტემების, საგანგებო სიტუაციების გეგმების, ანგარიშების მოთხოვნებისა და სავალდებულო ზედამხედველობის შესახებ.

8. კლიენტი მიიღებს ზომებს, რათა გამოავლინოს და თავიდან აიცილოს თანამშრომელთა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში უბედური შემთხვევები, სხეულის დაზიანება და დაავადებები, რაც წარმოიქმნება, ან დაკავშირებულია, ან ადგილი აქვს საპროექტო საქმიანობის მიმდინარეობისას. კლიენტი მოამზადებს და განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს და გეგმებს, რათა მართოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, რისკების კონტროლის იერარქიის მიდგომისა და GIP-ის შესაბამისად.
9. კლიენტი უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებს შესაბამისი ინფორმაციით, ინსტრუქტაჟითა და ტრენინგებით ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული საფრთხეების, რისკების, დამცავი და პრევენციული ზომებისა და საგანგებო ღონისძიებების ჩატარების შესახებ, რომლებიც აუცილებელია პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
10. როდესაც რაიმე უბედური შემთხვევა, სხეულის დაზიანებას და დაავადებას ექნება ადგილი პროექტთან დაკავშირებული სამუშაოების მიმდინარეობის დროს, ან არსებობს ასეთი შემთხვევის შესაძლებლობა, კლიენტი გამოიძიებს, დოკუმენტურად ასახავს და გაანალიზებს აღმოჩენებს და მიიღებს ზომებს, რათა აღკვეთოს შემთხვევის განმეორება, და იმ შემთხვევაში, თუ კანონი ამას მოითხოვს, აცნობებს ამის შესახებ და ითანამშრომლებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან. კლიენტი უზრუნველყოფს შესაბამის ფინანსურ კომპენსაციას ნებისმიერი პირისთვის, რომელიც დაზარდება, ან მის ჯანმრთელობას ზიანი მიაღებდა პროექტის აქტივობების შედეგად.

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

11. კლიენტი უზრუნველყოფს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო ადგილით, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მისი კონკრეტული სექტორისათვის დამახასიათებელი რისკებისა და კონკრეტული კატეგორიის საფრთხეების გათვალისწინებით. კლიენტი პროექტის ეტაპის, ზომისა და ხასიათის შესაბამისად განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს და დაცვის ღონისძიებებს ევროკავშირის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების (OSH)⁴⁰ და GIP-ის შესაბამისად. კლიენტი შეიმუშავებს პროექტთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ინტეგრირებული იქნება ESMS-ში. გეგმა პერიოდულად გადაიხინჯება, რათა შეფასდეს მისი ეფექტურობა აღნიშნული რისკების გადასაჭრელად.

12. კლიენტი დაგეგმავს და განახორციელებს OSH-ის ღონისძიებებს იმ პირის დახმარებით, რომელიც პასუხისმგებელია OSH-ზე, რისკის კონტროლის იერარქიის შესაბამისად, და უფასოდ უზრუნველყოფს პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას მუშაკებისთვის. კლიენტი მოითხოვს თავისი შტატგარეშე მუშაკებისგან, კონტრაქტორების და სხვა მესამე პირებისგან, რომლებიც მუშაობენ პროექტის ობიექტებზე, ან ასრულებენ სამუშაოს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პროექტის ძირითად ფუნქციებთან, რომ შეასრულონ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გეგმის მოთხოვნები.
13. ნებისმიერი სამუშაო საქმიანობის მიმდინარეობისას, კლიენტი დარწმუნდება, რომ ყველა მუშაკი უზრუნველყოფილია უწყვეტი და სათანადო ზედამხედველობით, რათა უზრუნველყოს სამუშაო არჭურვილობის უსაფრთხო მოხმარება და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების და წესების ადეკვატური განხორციელება და აღსრულება.
14. კლიენტი განახორციელებს მისი თანამშრომლების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მონიტორინგს; ასევე, კონსულტაციას გაივლის თანამშრომლებთან OSH საკითხებზე, და წახალისებს მუშაკებს, რომ შეწყვიტონ მუშაობა გარდაუვალი საფრთხის სიტუაციებში და შეატყობინონ სამუშაო ადგილზე ნებისმიერი სახიფათო მოქმედებებისა და პირობების შესახებ. ეს მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, უბედური შემთხვევების გამოძიებით, რისკის შეფასებით, უსაფრთხო მუშაობის სისტემების შემუშავებით, და სამუშაო აღჭურვილობის შერჩევით.
15. თუ არსებობს გარკვეულ სამუშაო საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიონ ისეთი მახასიათებლების მქონე თანამშრომლების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე, როგორცაა ასაკი, სქესი, უნარშეზღუდულობა, ან მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ჯანმრთელობის პრობლემები, კლიენტი განახორციელებს დეტალურ რისკის შეფასებას და მოახდენს ცვლილებებს სხეულის დაზიანებისა და ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად.

თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

16. კლიენტი უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებული რისკების და პოტენციურად პროექტის ზემოქმედების ქვეშ არსებულ თემებზე უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს დაცვის, თავიდან აცილებისა და შემარბილებელ ღონისძიებებს პროექტისთვის დამახასიათებელი რისკების და ზემოქმედების გათვალისწინებით, რაც პროექტის ეტაპის, ზომისა და ხასიათის შესაბამისი იქნება. კლიენტი კომუნიკაციაში იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, საჭიროებისამებრ, შემარბილებელი ღონისძიებებისა და გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით. ეს ზომები შესაბამისობაში იქნება რისკების კონტროლის იერარქიასა და GIP-სთან.

⁴⁰ ევროკავშირის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტები გულისხმობს ევროკავშირის არსებით საკანონმდებლო მოთხოვნებს სამუშაოზე ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა დაცვის მიზნით ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს.

17. თემის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პროექტის ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების ღონისძიებები, შესაძლოა, იყოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა. ამ გარემოებებში, კლიენტი გაარკვევს მის როლსა და პასუხისმგებლობას შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობისა და მათთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

გენდერულ საფუძველზე ძალადობა

18. კლიენტი შეაფასებს პროექტთან დაკავშირებულ გენდერული ძალადობის, სექსუალური შევიწროების, სექსუალური ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფის რისკებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და თემებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი მიიღებს კონკრეტულ ზომებს ამ რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, მათ შორის, უზრუნველყოფს ინციდენტების შესახებ შეტყობინებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის კონფიდენციალურ არხებს.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები

ინფრასტრუქტურის, შენობებისა და აღჭურვილობის დაპროექტება და უსაფრთხოება

19. კლიენტი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს შეიტანს პროექტის სტრუქტურული ელემენტების ან კომპონენტების დაპროექტებაში, მშენებლობაში, ექსპლუატაციაში შესვლაში, ოპერირებაში, შეკეთებაში და ექსპლუატაციიდან ამოღებაში, GIP-ის შესაბამისად, მესამე მხარისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით. სტრუქტურული ელემენტები დაპროექტებული და აგებული იქნება კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების მიერ. მესამე მხარის სიცოცხლის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომების შემოწმება უნდა განხორციელდეს ყველა ახალი შენობებისათვის და მათი კაპიტალური რემონტის შემთხვევაში, მათ ექსპლუატაციაში შეყვანამდე ან გამოყენებამდე.

20. კომუნალური მიწებისათვის გამოყენებული შენობების აგება და კაპიტალური რემონტი უნდა დაპროექტდეს საყოველთაო წვდომის პრინციპის შესაბამისად⁴¹.

21. როდესაც ისეთი სტრუქტურული ელემენტები ან კომპონენტები, როგორცაა კაშხლები, საბინა-გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენების (სახიფათო) საცავები ან ნაცარშემკრებები მდებარეობენ მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე და მათ მწყობრიდან გამოსვლამ ან ფუნქციონირების დარღვევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანამშრომლებისა და თემების უსაფრთხოებას, კლიენტი ჩართავს ერთ ან მეტ კვალიფიციურ ექსპერტს, რომლებსაც გააჩნიათ მსგავს პროექტებში მონაწილეობის სათანადო და აღიარებული გამოცდილება, დამოუკიდებელს ამ პროექტის დაპროექტებასა და მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. ისინი პროექტის შემუშავებისას რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, და ასევე, მისი დაპროექტების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ეტაპებზე, გადასინჯავენ პროექტის ასეთი სტრუქტურული ელემენტების ან კომპონენტების უსაფრთხოებას და სტრუქტურულ მთლიანობას.

სახიფათო მასალების უსაფრთხოება

22. კლიენტი აღკვეთს ან მინიმუმამდე დაიყვანს თანამშრომლებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემის სახიფათო მასალების⁴² ზემოქმედების ქვეშ მოქცევის შესაძლებლობას, რომელთა ემისია შეიძლება მოხდეს პროექტის ფარგლებში, რისკების კონტროლის იერარქიის მეშვეობით. იქ, სადაც არსებობს თანამშრომლებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემისათვის სახიფათო მასალების ზემოქმედების ქვეშ მოქცევის ალბათობა, კლიენტი სათანადო ძალისხმევას წარმართავს ზემოქმედების მართვაზე, საფრთხის გამომწვევი მდგომარეობის ან ნივთიერებების აღმოფხვრის, იზოლირების ან ჩანაცვლების გზით.

23. თუ სახიფათო მასალები პროექტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ან ოპერაციების ნაწილია, კლიენტი სათანადო ზომებს გაატარებს პროექტის ექსპლუატაციაში გაშვებასა, შეკეთებასთან და ექსპლუატაციიდან გამოყვანასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებისას, რათა აღკვეთოს თანამშრომლების და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების ამ მასალებთან კონტაქტი. იქ, სადაც ასეთი მასალების გამოყენების არიდება შეუძლებელია, კლიენტი მიიღებს საჭირო ზომებს მათი სათანადო განკარგვის, შენახვის, ტრანსპორტირებისა და განადგურების მიზნით GIP-ის შესაბამისად.

24. კლიენტი იხმარს გონივრულ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს სახიფათო მასალის, მათ შორის ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირება, და განახორციელებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების ზემოხსენებულ მასალებთან კონტაქტის ასაცილებლად ან შესამცირებლად საჭირო ღონისძიებებს

პროექტის უსაფრთხოება

⁴¹ საყოველთაო წვდომა გულისხმობს უსაფრთხო და ინკლუზიურ წვდომას ყველა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა ვითარებაში.

⁴² სახიფათო მასალებში იგულისხმება ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ ერთი ან მეტი თანდაყოლილი სახიფათო თვისება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე ან ადამიანის ჯანმრთელობაზე.

25. იქ, სადაც პროექტი ითვალისწინებს სამომხმარებლო პროდუქტების წარმოებას და/ან ამ პროდუქტებით ვაჭრობას, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს პროდუქტის უსაფრთხოება სათანადო დაპროექტებისა და წარმოების მეთოდების გამოყენებით, ასევე ამ პროდუქტის დისტრიბუციის მიზნებისთვის, პროდუქტების სათანადო შენახვა, განკარგვა და ტრანსპორტირება. დაცული უნდა იყოს მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის, შესაბამის ბიზნეს სექტორში ან ქვეყანაში არსებული ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნები და უსაფრთხოების ინსტრუქციები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებთან და ნორმებთან.

26. კლიენტი პროექტის შეფასების პროცესის ფარგლებში პროექტის მთელი სიცოცხლის ციკლის მანძილზე განსაზღვრავს და შეაფასებს მისი პროდუქციის პოტენციურ რისკებსა და ზემოქმედებას მომხმარებელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. პროდუქტების უსაფრთხოების მიმართ მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს რისკების კონტროლის იერარქიას და უზრუნველყოს მომხმარებლების ინფორმირება პროდუქციის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტმა, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას, კლიენტი უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოებიდან ამოღებას და პროდუქტის წამოღებიდან ამოღების პოლიტიკისა და პროცედურების არსებობას.

სათემო მომსახურებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები

27. როდესაც პროექტი მოიცავს თემებისთვის მომსახურების გაწევას, კლიენტმა სათანადო ხარისხის მართვის სისტემების საშუალებით უნდა უზრუნველყოს ასეთი მომსახურების უსაფრთხოება და ხარისხი, რათა ასეთმა მომსახურებამ თანამშრომელთა ან თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას არ შეუქმნას რისკები.

28. იქ, სადაც პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი მომსახურების გაწევას, კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს საყოველთაო წვდომის პრინციპი, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

29. სადაც პროექტი ითვალისწინებს ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას და/ან ანტიბიოტიკების გამოყენებას, კლიენტი გაითვალისწინებს ანტიმიკრობული რეზისტენტობის აღმოფხვრაზე მიმართულ მეთვალყურეობას⁴³.

ტრანსპორტისა და საგზაო უსაფრთხოება

30. კლიენტი გამოავლენს, შეაფასებს და მონიტორინგს გაუწევს ტრანსპორტისა და საგზაო უსაფრთხოების პოტენციურ რისკებს თანამშრომლებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების მიმართ პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ღონისძიებებსა და გეგმებს მათ საპასუხოდ. იმ პროექტებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივ გზებზე ამუშავებს მოძრავ ტექნიკას და სხვა სახის ინფრასტრუქტურას, კლიენტი შეეცდება ასეთი ტექნიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საზოგადოების წევრების მიმართ ინციდენტებისა და სხეულის დაზიანების თავიდან აცილებას.

31. კლიენტი გაითვალისწინებს ევროკავშირის გზებისა და ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მართვის შესაბამის სტანდარტებს⁴⁴, განსაზღვრავს საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს მრავიანი და არა-მრავიანი ტრანსპორტის მომხმარებლებისთვის და პროექტის დიზაინში გაითვალისწინებს ტექნიკურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილ და ხარჯთეფექტურ საგზაო უსაფრთხოების კომპონენტებს, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ თემებზე საგზაო უსაფრთხოების პოტენციური ზემოქმედების შემცირების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი პროექტის თითოეული ეტაპისთვის ჩაატარებს საგზაო უსაფრთხოების აუდიტს, და რეგულარულად განახორციელებს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების ანგარიშების მონიტორინგს პრობლემების ან უსაფრთხოების უარყოფითი ტენდენციების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისათვის. სატრანსპორტო საშუალებების ან სატრანსპორტო საშუალებების ავტოპარკის მქონე (მფლობელობაში არსებული ან იჯარით აღებული) კლიენტებს თანამშრომლებს გააცნობენ GIP-ის განკარგულებებს გზის და ტრანსპორტის რისკების მართვის მიზნით და უზრუნველყოფენ მუშაკებს სათანადო ტრენინგით მძღოლისა და სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების შესახებ⁴⁵. კლიენტი უზრუნველყოფს პროექტში არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალების პერიოდულ შეკეთებას.

ბუნებრივი კატასტროფები

32. კლიენტი გამოავლენს და შეაფასებს პროექტთან დაკავშირებული ისეთი ბუნებრივი კატასტროფების მიერ გამოწვეულ პოტენციურ ზემოქმედებასა და რისკებს, როგორცაა მიწისძვრა, გვალვა, მეწყერი ან წყალდიდობა. ამასთან დაკავშირებით კლიენტს შეიძლება მოეთხოვოს პროექტის მოწყვლადობის შეფასების განხორციელება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ, და უზრუნველყოს კლიმატისადმი გამძლეობის და ადაპტაციის ზომების იდენტიფიცირება, რომლებიც ინტეგრირებული უნდა იყოს პროექტის დიზაინში.

⁴³ ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარების აღმოფხვრაზე მიმართული მეთვალყურეობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისად, არის კოორდინირებული პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ანტიმიკრობული საშუალებების (ანტიბიოტიკების ჩათვლით) სათანადო გამოყენებას, აუმჯობესებს პაციენტის მკურნალობის გამოსავალს, ამცირებს მიკრობულ რეზისტენტობას და მულტირეზისტენტული ორგანიზმებით გამოწვეული ინფექციების გავრცელებას.

⁴⁴ 2008 წლის 19 ნოემბრის 2008/96/EC საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მართვის შესახებ დირექტივის მიზნების შესაბამისად.

⁴⁵ კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, როგორცაა ISO 39001 საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მართვა.

33. კლიენტი თავიდან აიცილებს და/ან მინიმუმამდე შემცირებს ზუნებრივი კატასტროფებით ან მიწათსარგებლობის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს, რომლებშიც შეიძლება საპროექტო საქმიანობამ შეიტანოს წვლილი.

დაავადების საფრთხე

34. იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს თანამშრომელთა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების დაავადების საფრთხე, დაუცველი ჯგუფების მაღალი მოწყვლადობისა და დაავადებებისადმი განსხვავებული საფრთხის დონის გათვალისწინებით, კლიენტი შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავებს შერბილების შესაბამის ღონისძიებებს. კლიენტი მიიღებს ზომებს, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გადამდები დაავადებების გადაცემა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტის დროებითი და/ან მუდმივი თანამშრომლების შემოღინებასთან.

35. როდესაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის კონკრეტული დაავადებები არის ენდემური, კლიენტმა უნდა მოახდინოს შესაძლებლობების იდენტიფიცირება მთელი პროექტის საციცოცხლო ციკლის განმავლობაში, რათა გააუმჯობესოს პირობები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ დაავადებების სიხშირის შემცირებას, როგორც თანამშრომლებში, ასევე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებში. კლიენტი მიიღებს ზომებს, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გადამდები დაავადებების გადაცემა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროექტის დროებითი და/ან მუდმივი სამუშაო ძალის შემოღინებასთან.

საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა და რეაგირება

36. კლიენტი მზად იქნება თავიდან აიცილოს და რეაგირება მოახდინოს ინციდენტებზე, უბედურ შემთხვევებსა და საგანგებო სიტუაციებზე პროექტთან დაკავშირებული საოპერაციო რისკებისათვის შესაფერისი ფორმით, და მათი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის ან მინიმუმამდე შემცირებისთვის, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების და GIP-ის შესაბამისად⁴⁶.

37. კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს მსხვილი უბედური შემთხვევის საფრთხეს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა თავიდან აიცილოს მსხვილი უბედური შემთხვევები ან შეზღუდოს მათი რისკები თანამშრომლებზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებზე და უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადამიანისა და გარემოს დაცვის მაღალი დონე თანმიმდევრული და ეფექტური გზით. ასეთი ზომები განსაზღვრული იქნება მსხვილი უბედური შემთხვევების პრევენციის/საგანგებო მდგომარეობებისთვის მზადყოფნის პოლიტიკაში და შესაბამის მართვის გეგმაში, რომელიც ინტეგრირებულია კლიენტის ზოგად ESMS-თან. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ სტრუქტურებს, პასუხისმგებლობას, პროცედურებს, კომუნიკაციას, ტრენინგს, რესურსებსა და სხვა ასპექტებს, რომლებიც საჭიროა ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ კლიენტს სათანადო შესაძლებლობები გააჩნია პროექტის საფრთხეებთან დაკავშირებულ საგანგებო შემთხვევებზე ეფექტური რეაგირებისთვის GIP-ის შესაბამისად.

38. იმ პროექტებისთვის, სადაც არსებობს მსხვილი უბედური შემთხვევების რისკი, კლიენტი დახმარებას გაუწევს და ითანამშრომლებს შესაბამის ორგანოებთან და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემთან, რათა გააუმჯობესოს მათი საგანგებო სიტუაციებზე ეფექტური რეაგირების მზაობა. თუ ადგილობრივ ორგანოებს ან რეაგირების ჯგუფებს საერთოდ არ გააჩნიათ, ან არასაკმარისი უნარი გააჩნიათ იმისთვის, რომ მოახდინონ ეფექტური რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე, კლიენტი აქტიურ როლს შეასრულებს პროექტთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციებისთვის მომზადებაში და მათზე რეაგირებაში, და წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებებს, რათა აჩვენოს თავისი მზაობა რეაგირება მოახდინოს გონივრულად განჭვრეტად ინციდენტებზე, პირდაპირ, ან ირიბად.

დაცვა

39. კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს პროექტის დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს მუშაკებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისთვის. რისკების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დაცვის მართვის ადევნატური ღონისძიებები განხორციელდება GIP-ის შესაბამისად ამ რისკების მართვის მიზნით.

⁴⁶ როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 4 ივლისის დირექტივით 2012/18/EU სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული სერიოზული უბედური შემთხვევების შესახებ, რომლითაც შესწორებები იქნა შეტანილი, და შემდგომ გაუქმებული იქნა საბჭოს დირექტივა 96/82/EC (EU SEVESO III).

40. როდესაც კლიენტი იყენებს თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი პერსონალისა და საკუთრების დაცვა, ის შეაფასებს დაცვის ასეთი სისტემის შედეგად პროექტის უზანზღე და მის ფარგლებს გარეთ მყოფი ადამიანებისთვის წარმოქმნილ რისკებს. უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით, კლიენტი იხელმძღვანელებს პროპორციულობის პრინციპით და კარგი საერთაშორისო პრაქტიკით, და შესაბამისი კანონმდებლობით ასეთი პერსონალის დაქირავების, ქცევის წესების, ტრენინგების, აღჭურვისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. კლიენტი არ გასცემს ნებართვას რაიმე ძალის გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძალა გამოიყენება პრევენციული და თავდაცვითი მიზნებისთვის საფრთხის ხასიათისა და მასშტაბის პროპორციულად.
41. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის სერვისებს სახელმწიფო ორგანო უზრუნველყოფს, კლიენტი ითანამშრომლებს, რამდენადაც ეს დასაშვებია, პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოსთან ამ PR-ის შესაბამისი შედეგების მისაღებად. კლიენტი გამოავლენს და შეაფასებს პოტენციურ რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება ამ პრაქტიკის გამოყენების შედეგად, და აცნობებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს საკუთარ განზრახვას, რომ დაცვის სამსახურის პერსონალი მოქმედებდეს ზემოთხსენებული 40-ე პარაგრაფის შესაბამისად, და ხელს შეუწყობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს გააცნონ საზოგადოებას კლიენტის ობიექტების დაცვის ზომები, დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით.
42. კლიენტი (i) გონივრულ ზომებს გაატარებს იმის დასადგენად, რომ დასაქმებულები, ან კლიენტის მიერ დაქირავებული პერსონალი, რომელიც დაცვის უზრუნველყოფის ფუნქციას ასრულებენ, არ არიან შემჩნეულნი წარსულში არამართლზომიერ ქმედებებში; (ii) სათანადოდ მოამზადებს მათ ძალის გამოყენების ტექნიკებში (ან დარწმუნდება, რომ ისინი სათანადოდ ფლობენ ძალის გამოყენების ტექნიკას, და საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ტექნიკას), და თანამშრომლებთან და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან შესაფერის მოპყრობაში; (iii) კლიენტი მოსთხოვს მათ იმოქმედონ შესაბამისი კანონისა და PR 2-ში განსაზღვრული ნებისმიერი მოთხოვნის ფარგლებში, ან კლიენტის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა PR-ში ასახული მოთხოვნების შესაბამისად.
43. კლიენტი შექმნის საჩივრების წარდგენის ეფექტურ მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემსა და თანამშრომლებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები დაცვის ზომებისა და დაცვის სამსახურის პერსონალის ქმედებების მიმართ, და აცნობებს თემებსა და თანამშრომლებს საჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ ამ PR-ისა და 10-ე PR-ის შესაბამისად.
44. კლიენტი გამოიძიებს ნებისმიერ ბრალდებას დაცვის სამსახურის პერსონალის უკანონო ან შეურაცხმყოფელი ქმედებების თაობაზე, მიიღებს ზომებს (ან მოუწოდებს შესაბამის მხარეებს, მიიღონ ზომები), რათა აღიკვეთოს ფაქტის განმეორება, და საჭიროების შემთხვევაში, მოახსენებს ხელისუფლების ორგანოებს და EBRD-ს უკანონო და შეურაცხმყოფელი ქმედებების შესახებ.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 5: მიწის შეძენა, შეზღუდვები მიწათსარგებლობაზე და იძულებითი განსახლება

შესავალი

1. წინამდებარე შესრულების მოთხოვნა (PR) შეეხება პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვის ზემოქმედებას⁴⁷, მათ შორის, მიწათსარგებლობის შეზღუდვებს⁴⁸ და აქტივების ან ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ადგილმონაცვლეობა (ადგილმდებარეობის შეცვლა, მიწის ან თავშესაფრის დაკარგვა), და/ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (მიწის ან აქტივების დაკარგვა, მიწათსარგებლობის, და/ან აქტივების და ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვა, რაც იწვევს შემოსავლის ან სხვა საარსებო წყაროების დაკარგვას⁴⁹). ტერმინი „არანებაყოფლობითი განსახლება“ ეხება როგორც ამ ორივე ტიპის ზემოქმედებას, ასევე ამ ზემოქმედების შერბილებისა და კომპენსაციის პროცესებს. განსახლება განიხილება არანებაყოფლობითად, როდესაც ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს ან ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს არა აქვთ უფლება უარი თქვან მიწის შესყიდვაზე ან მიწათსარგებლობის, სხვა აქტივებით და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შეზღუდვაზე, მაშინაც კი, თუ იძულებითი შეძენა გამოყენებული იქნება მხოლოდ როგორც უკანასკნელი საშუალება მოლაპარაკების პროცესის შემდეგ.
2. შესრულების ეს მოთხოვნა (PR) შესაბამისობაშია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვასთან⁵⁰, კონკრეტულად კი, კერძო საკუთრებით სარგებლობის და სათანადო საცხოვრისის უფლებასთან⁵¹, და საცხოვრებელი პირობების უწყვეტი გაუმჯობესების უფლებასთან.

⁴⁷ „მიწის შეძენა“ ნაკვეთის შეძენა მოიცავს პროექტის მიზნებისთვის მიწის მოპოვების ყველა მეთოდს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირდაპირ შეძენას, მიწისა და აქტივების ექსპროპრიაციას, და დროებითი ან მუდმივი დაშვების უფლების შეძენას, როგორცაა სერვიტუტი, განსხვავების ზოლი, დაცულ და სხვა ტერიტორიებზე წვდომის შეზღუდვების დაწესება. მიწის შესყიდვა ასევე შეიძლება მოიცავდეს: (ა) დაუსახლებელი ან გამოუყენებელი მიწის შეძენას, მიუხედავად იმისა, მიწის მფლობელი დამოკიდებულია თუ არა ასეთ მიწაზე შემოსავლის ან საარსებო წყაროს თვალსაზრისით; (ბ) კერძო პირების ან შინამეურნეობების მიერ გამოყენებული ან დაკავებული სახელმწიფო მიწის საკუთრებაში დაბრუნება; და (გ) პროექტის ზემოქმედება, რომელიც იწვევს მიწის დატბორვას, ან იგი სხვაგვარად გამოუსადეგარი ან მიუწვდომელი გახდება. „მიწა“ მოიცავს ყველაფერს, რაც იზრდება ან მუდმივად არის მიმაგრებული მიწაზე, როგორცაა ნათესები, შენობები და სხვა გაუმჯობესებები და დამხმარე წყლის ობიექტები.

⁴⁸ „მიწით სარგებლობის შეზღუდვები“ გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი, კომერციული ან სხვა მიწების გამოყენების შეზღუდვებს ან აკრძალვებს, რომლებიც უშუალოდ არის შემოღებული და ამოქმედდება პროექტის ფარგლებში. ეს შეიძლება მოიცავდეს კანონიერად გამოყოფილ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის შეზღუდვებს, სხვა საერთო საკუთრების რესურსებზე წვდომის შეზღუდვებს და მიწის გამოყენების შეზღუდვებს კომუნალურ სერვიტუტებში ან უსაფრთხოების ზონებში.

⁴⁹ „საარსებო წყარო“ გულისხმობს საშუალების სრულ სპექტრს, რომლებსაც პირები, ოჯახები და თემები იყენებენ საარსებო წყაროს მოსაპოვებლად, როგორცაა ხელფასი დასაქმებიდან; საწარმოს ან პროდუქციის, საქონლის, ხელნაკეთი ნივთების ან მომსახურების გაყიდვით მიღებული ფულადი შემოსავალი; იჯარის შემოსავალი მიწის ან შენობის გაქირავებიდან; შემოსავალი მოსავლისგან ან მეცხოველეობისგან, წილი მოსავლიდან (როგორცაა მოსავლის საზიარო მოყვანის შეთანხმება), ან მეცხოველეობის წარმოებიდან; საკუთარი პროდუქცია ან პროდუქტი, რომელიც გამოიყენება გაცვლის ან ბარტერის მიზნით; საქონელი ან პროდუქტი საკუთარი მოხმარებისთვის; საკვები, მასალები, საწვავი და საქონელი პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის ან ვაჭრობისთვის, რომელიც მიღებულია ბუნებრივი ან საერთო რესურსებიდან; პენსიები და სხვადასხვა სახის სახელმწიფო დანამატები.

⁵⁰ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

⁵¹ „სათანადო საცხოვრისი“ გულისხმობს ადეკვატურ პირად სივრცეს, ფართს, ფიზიკური ხელმისაწვდომობას; დაცვას; საკუთრებით მუდმივი სარგებლობის უფლებას; სტრუქტურულ მედეგობას და გამძლეობას; განათებას, გათბობას და ვენტილაციას; ძირითად ინფრასტრუქტურას, როგორცაა წყალმომარაგება, სანიტარული და ნარჩენების მართვის საშუალებები; გარემოს შესაფერისი ხარისხი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები; ადეკვატური და ხელმისაწვდომი მდებარეობა სამუშაოსა და ძირითადი საშუალებების თვალსაზრისით.

3. თუ სწორად არ მოხდა პროცესის მართვა, იძულებითმა განსახლებამ შეიძლება გამოიწვიოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და თემების ხანგრძლივი გაჭირვება და სიღარიბე⁵², ისევე, როგორც ეკოლოგიური ზიანი და უარყოფითი სოციო-ეკონომიკური ზემოქმედება იმ ადგილებში, სადაც მათი გადაადგილება ხდება. კლიენტმა უნდა განიხილოს განხორციელებადი ალტერნატიული პროექტის დიზაინის და ადგილის ვარიანტები, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს მიწის შესყიდვა ან მიწათსარგებლობის, სხვა აქტივებითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შეზღუდვა, და იმავდროულად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი, სოციალური და ფინანსური ხარჯებისა და სარგებლის დაბალანსება, და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გენდერულ და მოწყვლად პირებზე ზემოქმედებას. როდესაც ამის თავიდან აცილება შეუძლებელია დიზაინში ცვლილებების შეტანის გზით, ადგილმონაცვლეობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და სათანადო ზომები უნდა დაიგეგმოს და გატარდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებსა და მასპინძელ თემებზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად.

იმის უზრუნველყოფა, რომ მიწის შესყიდვასთან, მიწათსარგებლობის შეზღუდვასთან, და სხვა აქტივებით და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შეზღუდვასთან, და იძულებითი განსახლების ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული აქტივობები განხორციელდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისთვის ინფორმაციის სათანადო გამჟღავნებით, კონსულტაციებით და მათი ინფორმირებული მონაწილეობით PR 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.

- გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროების ან ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება, ან როგორც მინიმუმ, გადაადგილებამდე არსებულ დონემდე აღდგენა.
- ფიზიკურად გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ადეკვატური საცხოვრებლის უზრუნველყოფის მეშვეობით (არსებით სერვისების და კომუნალური მომსახურებების ჩათვლით) და განსახლების ადგილებში საცხოვრებლის გარანტირებული უფლებით⁵⁵.

ამოცანები

4. ამ PR-ის ამოცანებია:

- იძულებითი განსახლების თავიდან აცილება, ხოლო, როდესაც ეს გარდაუვალია, მისი მინიმუმამდე დაყვანა, პროექტის დიზაინის და ადგილმდებარეობის განხორციელებადი ალტერნატივების შესწავლის მეშვეობით.
- იძულებითი გამოსახლების თავიდან აცილება⁵³;
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის არანებაყოფლობითი განსახლებით გამოწვეული გარდაუვალი უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების შერბილება შემდეგი გზით: (i) აქტივების დაკარგვისთვის კომპენსაციის დროულად უზრუნველყოფა ჩანაცვლების სრული ღირებულებით⁵⁴; და (ii)

გამოყენების სფერო

5. ამ PR-ის გავრცელება დგინდება PR 1-ში აღწერილი ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში.
6. ეს PR-ი ვრცელდება ფიზიკურ ან ეკონომიკურ გადაადგილებაზე, რომელიც შეიძლება იყოს სრული, ნაწილობრივი, მუდმივი ან დროებითი, და გამომდინარეობდეს შემდეგი სახის ოპერაციებიდან:

⁵² „ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი“ გულისხმობს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც განიცდის ფიზიკურ ან ეკონომიკურ გადაადგილებას პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვის, და მიწათსარგებლობაზე, ან სხვა აქტივებით ან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად.

⁵³ „იძულებითი გამოსახლება“ გულისხმობს ქმედებებს და/ან უმოქმედობას, რომლებიც გულისხმობს ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების და თემების იძულებით, მუდმივ ან დროებით იძულებით გადაადგილებას სახლებიდან და/ან მიწებიდან და საერთო საკუთრების რესურსებიდან, რომლებიც ისინი სარგებლობენ, ან რომლებზეც დამოკიდებული არიან, რაც გამოიწვევს ან ზღუდავს ადამიანის, ადამიანების ჯგუფის ან საზოგადოების შესაძლებლობას იცხოვროს ან იმუშაოს კონკრეტულ საცხოვრებელში, ან ადგილას, ამ PR-ით გათვალისწინებული სამართლებრივი ან სხვა დაცვის შესაბამისი საშუალებების უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის გარეშე.

⁵⁴ „ჩანაცვლების ღირებულება“ როგორც წესი, ეს გამოითვლება, როგორც აქტივების საბაზრო ღირებულება პლუს ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი აქტივების აღდგენასთან. იქ, სადაც ფუნქციონირებადი ბაზარი არსებობს, ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრება როგორც საბაზრო ღირებულება, რომელიც დადგენილია უძრავი ქონების დამოუკიდებელი და კომპეტენტური შეფასების გზით, პლუს ტრანზაქციის ხარჯები. იქ, სადაც ფუნქციონირებადი ბაზარი არ არსებობს, ჩანაცვლების ღირებულება შეიძლება განისაზღვროს ალტერნატიული გზით, როგორცაა მიწის ან პროდუქტიული აქტივების გამომავალი ღირებულების გაანგარიშება, ან ჩანაცვლებელი მასალისა და შრომის არამორტიზირებული ღირებულება, რომელიც გამოიყენება შენობების ან სხვა ძირითადი საშუალებების მშენებლობისთვის, პლუს ტრანზაქციის ხარჯები. ყველა შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური გადაადგილება იწვევს თავშესაფრის დაკარგვას, ჩანაცვლების ღირებულება უნდა იყოს მინიმუმ საკმარისი იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საცხოვრებლის შექმნა ან აშენება, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხისა და უსაფრთხოების მისაღებ მინიმალურ სტანდარტებს.

⁵⁵ „საცხოვრებლის ფლობის უფლების გარანტია“ გულისხმობს, რომ განსახლებული პირები ან თემები განსახლება მოხდება იმ ადგილას, სადაც მათ შეუძლიათ კანონიერად დაიკავონ ადგილი, სადაც ისინი დაცული არიან გამოსახლების რისკისგან და სადაც მათთვის მინიჭებული საკუთრების უფლება სოციალურად და კულტურულად შესაბამისია.

- მიწის უფლება⁵⁶ და/ან ექსპროპრიაციის ან სხვა იძულებითი პროცედურებით შექმნილი აქტივები;
- მიწაზე და/ან აქტივებზე უფლებები, რომლებიც შექმნილია მოლაპარაკებების გზით, მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში კი ექსპროპრიაციის ან სხვა იძულებითი პროცესის წამოწყება შესაძლებელი.
- შეზღუდვები, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანების მიერ მიწაზე, აქტივებზე, ბუნებრივ რესურსებზე ან საარსებო წყაროებზე წვდომის დაკარგვიდან, განურჩევლად იმისა, შეზღუდვის ასეთი უფლებები მიღებულია მოლაპარაკებების, ექსპროპრიაციის, იძულებითი შესყიდვის გზით თუ სამთავრობო რეგულაციის მეშვეობით.
- იმ ადამიანების ადგილმონაცვლეობა, რომლებსაც არ აქვთ ფორმალური, ტრადიციული ან ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული სარგებლობის უფლება, რომლებიც იკავებენ ან სარგებლობენ მიწის ნაკვეთით ამ უფლებაზე შეზღუდვის ამოქმედების თარიღამდე; და
- ადამიანების ადგილმონაცვლეობა პროექტის ზემოქმედების შედეგად, რაც მათ მიწას ან აქტივებს გამოუსადეგარს ან მიუწვდომელს ხდის.

7. ეს PR ასევე ეხება ნებისმიერ ფიზიკურ გადაადგილებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას, რომელიც განხორციელდა კლიენტის ან მთავრობის მიერ პროექტთან დაკავშირებული მიზნებისთვის EBRD-ის ჩართვამდე. თუ ბანკის ჩართვამდე უკვე მოხდა გადაადგილება, უნდა ჩატარდეს აუდიტი, რათა დადგინდეს: (i) წარსული საქმიანობის ხარვეზები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ამ PR-ის მოთხოვნებთან; და (ii) მაკორექტირებელი ქმედებების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ PR-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მაკორექტირებელ სამოქმედო გეგმაში აღწერილი უნდა იყოს ყველა აქტივობა, რომელიც უნდა გატარდეს ამ PR-თან შესაბამისობის მისაღწევად, რომელიც ვადებში გაწერილი გეგმის სახით იქნება შემუშავებული, სადაც ასევე გაწერილი იქნება ბიუჯეტი, განხორციელების ღონისძიებები, როლებსა და პასუხისმგებლობების განაწილება და განხორციელების გრაფიკი.

8. ეს PR არ ვრცელდება:

- განსახლებაზე, რომელიც წარმოადგენს მიწასთან დაკავშირებით წარმოებული ნებაყოფლობითი გარიგებების შედეგს (საბაზრო ოპერაციები, რომლებშიც გამყიდველი არ არის ვალდებული, იძულებული, დაშინებული ან მოსყიდული

გაყიდოს და მყიდველს არ შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციას ან სხვა სავალდებულო პროცედურებს, თუ მოლაპარაკებები ვერ შედგება), და სადაც ასეთი გარიგება გავლენას ახდენს მხოლოდ მათზე, ვისაც იურიდიულად აღიარებული უფლებები აქვს. თუმცა, ეს PR გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მიწის ამგვარმა ნებაყოფლობითმა ტრანზაქციებმა შეიძლება გამოიწვიონ გამყიდველის გარდა სხვა ადამიანების გადაადგილება, რომლებიც იკავებენ, იყენებენ ან აცხადებენ უფლებებს მოცემულ მიწაზე, როგორცაა არაფორმალური მოიჯარეები ან მიწის სხვა მოსარგებლეები, რომლებსაც არ აქვთ ეროვნული კანონით აღიარებული უფლება; და

- ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სტიქიური უბედურებების, კონფლიქტების, დანაშაულის ან ძალადობის მსხვერპლთა დასახლებებზე.⁵⁷

⁵⁶ „მიწის უფლებები“ მოიცავს ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ სრულ და მუდმივ საკუთრების უფლებებს, იქნება ეს რეგისტრირებული თუ ჩვეულებითი უფლება; მუდმივი ან დროებითი უზუფრუქტის (გამოყენების) უფლებები, რომლებიც გამომდინარეობს ფორმალური ან არაფორმალური შეთანხმებიდან ან ჩვეულებიდან, მათ შორის გრძელვადიანი ან მოკლევადიანი იჯარიდან, ან მიწით სარგებლობის სანაცვლოდ მოსავლის წილის გაზიარების ხელშეკრულებიდან, ისევე როგორც საერთო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების ფორმალური ან არაფორმალური გამოყენება, როგორცაა ტყე, საძოვრები და წყლის რესურსები; კანონით ან ჩვეულებით დადგენილი გზის უფლება; და კანონით ან ჩვეულებით დადგენილი გამოყენების ან წვდომის შეზღუდვები.

⁵⁷ იმ შემთხვევებში, როდესაც მოხდა იძულებით გადაადგილება კონფლიქტის შედეგად, პროექტის მიერ გამოწვეული გადაადგილებამდე, არანებაყოფლობითი განსახლების პროცესი დარეგულირდება შიდა გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი).

მოთხოვნები

ზოგადი

9. PR 1-ში ასახული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ადრეულ ეტაპზე, კლიენტმა უნდა დაადგინოს, გამოიწვევს თუ არა პროექტი რაიმე ფიზიკურ და/ან ეკონომიკურ გადაადგილებას, და უნდა შეაფასოს პროექტის მიზნებისთვის მომავალში დამატებითი მიწისა და რესურსების საჭიროების ალბათობა.
10. სადაც მოსალოდნელია გადაადგილებით გამოწვეული ზემოქმედება, შეფასების პროცესში უნდა მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საბაზისო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებების დახასიათება და მათზე პროექტის პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების განსაზღვრა. შეფასების მოცულობა საკმარისი უნდა იყოს ზემოქმედების პოტენციური ხარისხის, ალბათობისა და სიმძიმის დასახასიათებლად და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხედულებების გასათვალისწინებლად.
11. როდესაც შეფასება დაადგენს, რომ პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს არსებითი ადამიანების და/ან თემების ფიზიკურ და ეკონომიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებული რისკები და ზემოქმედებები, კლიენტი ჩართავს განსახლების ექსპერტ(ებ)ს, რათა მათ დახმარება გაუწიონ განსახლების გეგმის დოკუმენტის მომზადებაში, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ ადამიანებზე ზემოქმედების მოგვარებაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას, შერბილების იერარქიის შესაბამისად. კლიენტის მიერ მოსამზადებელი განსახლების გეგმის დოკუმენტის ხასიათს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში განსაზღვრავს ზანკი. განსახლების გეგმის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს პროექტის ალტერნატიული დიზაინის და ადგილმდებარეობის ანალიზის იმის დემონსტრირებისთვის, თუ როგორ იქნა თავიდან აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი ფიზიკური და ეკონომიკური გადაადგილება. გეგმის მოცულობა და დეტალიზაციის დონე პროექტის ხასიათისა და მასშტაბის, და პროექტით გამოწვეული პოტენციური გადაადგილების ზემოქმედებისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესის დონის პროპორციული იქნება.

გადაადგილების საჭიროების თავიდან აცილება ან მინიმუმაცია

12. კლიენტი მხედველობაში მიიღებს განხორციელებად ალტერნატიულ პროექტის დიზაინსა და ადგილმდებარეობას, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადაადგილება. თავიდან აცილების მიდგომას უპირატესობა ენიჭება PR 1-ში შემარბილებელი იერარქიის შესაბამისად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლადი პირების ფიზიკური ან ეკონომიკური გადაადგილების თავიდან აცილება. თუმცა, გადაადგილების თავიდან აცილება შეიძლება არ იყოს უპირატესი მიდგომა იმ სიტუაციებში, როდესაც ამის შედეგად საზოგადოების ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე უარყოფით ზემოქმედებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ასევე შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც განსახლებამ შეიძლება უზრუნველყოს პირდაპირი განვითარების შესაძლებლობები ოჯახებისა ან თემებისთვის, მათ შორის, გაუმჯობესებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პირობები, გაძლიერებული უძრავი ქონების უფლებამოსილების დაცვა ან სხვა სახის ადგილობრივი ცხოვრების პირობების და დონის გაუმჯობესება.

იძულებითი გამოსახლების თავიდან აცილება

13. კლიენტმა არ უნდა მიმართოს იძულებით გამოსახლებას. კლიენტის მიერ კერძო საკუთრების იძულებით გასხვისების უფლებით სარგებლობა, ექსპროპრიაციის, იძულებითი შეძენის ან მსგავსი უფლებამოსილების განხორციელება არ ითვლება იძულებით გამოსახლებად იმ პირობით, თუ იგი შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და ამ PR-ის დებულებებს, და ხორციელდება სათანადო პრინციპების შესაბამისად (მათ შორის, სათანადო წინასწარი შეტყობინების მიწოდება, საჩივრების წარდგენის და გასაჩივრების რეალური შესაძლებლობის არსებობა, და არასაჭირო, არაპროპორციული ან გადაჭარბებული ძალის გამოყენების თავიდან აცილება).

მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევა

14. კლიენტი ეცდება, რომ მოლაპარაკებების გზით მოიპოვოს უფლებები მიწაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას გამყიდველის თანხმობის გარეშე აქვთ სამართლებრივი საშუალებებით მიღებული წვდომა მიწაზე. მოლაპარაკებების გზით შეთანხმების მიღწევა ხელს უწყობს ექსპროპრიაციას, და ადმინისტრაციულ ან სამართლებრივ დაყოვნებას, რაც დაკავშირებულია ფორმალურ ექსპროპრიაციასთან, და ეს ასევე ამცირებს ასეთი ექსპროპრიაციით გამოწვეულ ზემოქმედებას ადამიანებზე, რომელსაც იგი შეეხო. შეთანხმება მოლაპარაკებების გზით, როგორც წესი, მიიღწევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ან თემებისთვის სამართლიანი და სათანადო კომპენსაციის უზრუნველყოფით.

მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება

15. კლიენტმა უნდა გამოავლინოს, შეაფასოს და გაითვალისწინოს ზემოქმედება მოწყვლად ჯგუფებზე PR 1-ის შესაბამისად, კერძოდ კი, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი:
 - (i) ჩაატაროს ანალიზი, სოციო-ეკონომიკური კვლევების დროს, პროექტის ტერიტორიის

კონტექსტში შესაბამისი მოწყვლადობის ფაქტორების დასადგენად, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გზით, მათ შორის, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან;

- (ii) ამ მოწყვლადობის ანალიზის შედეგების საფუძველზე გამოავლინოს მოწყვლადი ჯგუფები;
- (iii) ჩაატაროს ცალკეული კონსულტაციები მოწყვლად ჯგუფებთან;
- (iv) დაგეგმოს მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა საჭიროებებზე მორგებული დახმარების ღონისძიებები, აღწეროს ეს ზომები განსახლების გეგმის დოკუმენტში და უზრუნველყოს მათი განხორციელება და დაფინანსება, როგორც მიწის შესყიდვისა და განსახლების მთლიანი ბიუჯეტის ნაწილი.

გენდერული ასპექტების გათვალისწინება

16. ფიზიკური გადაადგილების ან ეკონომიკური გადაადგილების პროცესს გააჩნია სპეციფიკური გენდერული განზომილებები, რომლებიც გასათვალისწინებელია საბაზისო კვლევების, ზემოქმედების შეფასების, შერბილების ზომების შემუშავების და მონიტორინგის პროცესში. მიღებული იქნება ზომები ქალებისა და მამაკაცების ქმედითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად განსახლების შესახებ ნებისმიერ კონსულტაციაში, მათ შორის, შეხვედრებისთვის შერჩეული იქნება შესაბამისი დრო, უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტი, ბავშვზე ზრუნვა, და საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება შეხვედრები მხოლოდ ქალების მონაწილეობით. პროექტები შეეცდებიან გაიგონ მამაკაცებსა და ქალებზე მიწის შესყიდვით, მიწათსარგებლობის შეზღუდვებით და იძულებითი განსახლებით გამოწვეული დიფერენციალური ზემოქმედება. ზემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე, ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- (i) შიდა ოჯახობრივი ანალიზი, რათა განისაზღვროს განსხვავებები მამაკაცებისა და ქალების საარსებო წყაროებში, მათ შორის არაფორმალურ წყაროებში;
- (ii) ქალთა მიწის ფლობის და მიწათსარგებლობის უფლებების ანალიზი, მათ შორის, თანამფლობელობის და საერთო სარგებლობის მიწებით და სხვა აქტივებით სარგებლობის უფლებების ანალიზი;
- (iii) განსახლების გავლენის ანალიზი ქალების მუშაობის უნარზე.

17. კომპენსაციის უფლების დადგენისას და მისი გადახდისას გათვალისწინებული იქნება გენდერული საკითხები, მათ შორის (i) ქალთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო საქმიანობა, (ii) ფულადი კომპენსაციის გადახდის სამართლიან მეთოდები, და (iii) განსახლებას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული საკუთრების არსებული წილები. კლიენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს კომპენსაციის ალტერნატიული მეთოდების და/ან პირობების შეთავაზება, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში და რეგიონებში, სადაც ნაკლებად სავარაუდოა ქალების მიერ ფორმალურ ფინანსურ ინსტიტუტებზე წვდომა და/ან საბანკო ანგარიშების ფლობა. ისეთ გარემოებებში, სადაც ეროვნული კანონმდებლობა და მფლობელობის სისტემები არ აღიარებს ქალთა უფლებებს ფლობდნენ ან გაცვალონ ქონება, გათვალისწინებული უნდა იყოს დებულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემდგომში დაგვარად, ქალებს უძრავი ქონების უსაფრთხოდ ფლობის საშუალება ექნებათ.

18. კონსულტაციების პროცესი უზრუნველყოფს ქალების მოსაზრებების და მათი ინტერესების გათვალისწინებას განსახლების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ასპექტთან მიმართებაში. შესწავლილი და დოკუმენტირებული იქნება ქალებისა და მამაკაცების პრეფერენციები კომპენსაციის მექანიზმების, მიწის ჩანაცვლების ან აქტივებისა და ბუნებრივ რესურსებზე ალტერნატიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ნაცვლად მხოლოდ ნაღდი ფულით კომპენსაციისა.

19. დახმარება, რომელიც მიმართულია საარსებო საშუალებების გაუმჯობესებაზე ან აღდგენაზე⁵⁸, მაგალითად, როგორცაა არსებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესება, კრედიტებზე წვდომა, უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგები, სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა, ან სამუშაო ადგილები, თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქალებისა და მამაკაცებისთვის, და მორგებული მათ საჭიროებებზე.

სოციო-ეკონომიკური კვლევები

20. კლიენტი განახორციელებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების სოციო-ეკონომიკურ საბაზისო შეფასებას, როდესაც პროექტი ითვალისწინებს ფიზიკურ გადაადგილებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას. ასეთი კვლევების ფარგლებში გამოყენებული იქნება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების კომბინაცია და შემუშავებული იქნება ზემოქმედებას დაქვემდებარებული პირების გარემოებების შემდგომი სოციალური და ეკონომიკური მონიტორინგის გასაადვილებლად. სოციო-ეკონომიკური საბაზისო კვლევების შედეგად უნდა განისაზღვროს შემდეგი:

- ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისა და ადამიანების სოციალური და ეკონომიკური პროფილის დადგენა სქესის და ასაკის მიხედვით მონაცემების დაყოფით;
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის საარსებო წყაროების და მათი მნიშვნელობის

⁵⁸ „საარსებო წყაროს გაუმჯობესება ან აღდგენა“ გულისხმობს კონკრეტულ შეღავათებს ან აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მხარდაჭერას მათი საარსებო წყაროების გაუმჯობესებაში, ან როგორც მინიმუმ, გადაადგილებამდე არსებული დონის აღდგენაში.

იდენტიფიცირება მათი საერთო საარსებო წყაროსთვის;

- ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ზონაში მიწის საკუთრების რეჟიმების იდენტიფიცირება;
- ნებისმიერი გენდერული საკითხების იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიწის შესყიდვისა და განსახლების პროცესზე; და
- მოწყვლადობის შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება და მოწყვლადი ჯგუფების ჩამონათვალის შედგენა.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების აღწერა, ინვენტარიზაცია და შეწყვეტის თარიღი

21. კლიენტი განახორციელებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის დეტალურ აღწერას რათა: (i) მოახდინოს ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც პროექტის ზემოქმედებას დაექვემდებარებიან; (ii) და განსაზღვროს, თუ ვის ეკუთვნის კომპენსაცია და დახმარება; აღწერა ასევე გაითვალისწინებს სეზონური რესურსების მოხმარებლებს, რომლებიც შესაძლოა არ იმყოფებოდნენ საპროექტო ტერიტორიაზე აღწერის დროს.
22. კლიენტი განახორციელებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების ინვენტარიზაციას⁵⁹, მიწის, შენობების, მოსავლის, კომუნალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების ჩათვლით, ამ აქტივების შემდგომი შეფასების ხელშესაწყობად.
23. კლიენტი დაადგენს უფლებამოსილების შეწყვეტის ვადას⁶⁰ შემდეგი გზით: (i) იმის მიხედვით, თუ როგორ ითვალისწინებს ამას მოქმედი კანონმდებლობა; ან (ii) აღწერის ან ინვენტარიზაციის დასრულების თარიღი (იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჩატარდა უფრო გვიან). კლიენტი შეატყობინებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შეწყვეტის ვადის შესახებ. ამ ვადის შესახებ ინფორმაცია იქნება სრულად დოკუმენტირებული და რეგულარულად გავრცელდება საპროექტო ზონაში წერილობით და არაწერილობით ფორმაში (საჭიროების შესაბამისად) ადგილობრივ ენებზე. ეს ასევე გულისხმობს თვალსაჩინო ადგილას ინფორმაციის გამოქვეყნებას იმის შესახებ, რომ შეწყვეტის ვადის დადგომის შემდეგ ადამიანები, რომლებიც პროექტის ტერიტორიაზე დასახლდებიან, დაექვემდებარებიან გაყვანას. კლიენტი არ არის ვალდებული შეწყვეტის ვადის შემდეგ კომპენსაცია ან სხვა სახის დახმარება გადაუხადოს იმ პირებს, ვინც პროექტის ტერიტორიას თვითნებურად დაიკავებენ.

24. უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღი მოქმედებს ან: (i) ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდისთვის; ან (ii) აღწერის ან ინვენტარიზაციის თარიღიდან გონივრული ვადის განმავლობაში. როდესაც უფრო ხანგრძლივი პერიოდი ვადის შეწყვეტის თარიღსა და კლიენტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის კომპენსაციას შორის, აღწერა, ინვენტარიზაცია და შედეგად მიღებული შეფასება განახლდება.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის და აქტივების შეფასება

25. ღირებულების შეფასება სრული ჩანაცვლების ღირებულებით მოხდება და უნდა განხორციელდეს კვალიფიციური შემფასებლების მიერ. ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრის მიზნით შეფასების მეთოდოლოგია უნდა იყოს დოკუმენტირებული და ჩართული განსახლების დაგეგმვის შესაბამის დოკუმენტებში. ჩანაცვლების ღირებულებით კომპენსაციის უზრუნველსაყოფად, შეიძლება საჭირო გახდეს დაგეგმილი კომპენსაციის განაკვეთების განახლება საპროექტო ზონებში, სადაც ინფლაცია მაღალია, ან დროის მონაკვეთი, რომელიც გასულია კომპენსაციის განაკვეთების გამოთვლასა და კომპენსაციის გადახდას შორის ხანგრძლივია.

კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირები

26. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კლასიფიკაცია შემდეგნაირად მოხდება:
 - (i) პირები, ვისაც აქვთ ფორმალური იურიდიული უფლებები მიწაზე (მათ შორის ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებები, რომლებიც აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად) ან აქტივები;
 - (ii) პირები, ვისაც არ აქვთ ფორმალური იურიდიული უფლებები მიწაზე ან აქტივებზე აღწერის დროისთვის, მაგრამ აქვთ პრეტენზია მიწაზე ან აქტივებზე, რომელიც აღიარებული ან აღიარებადია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; ან
 - (iii) პირები, ვისაც არა აქვთ რაიმე სახით აღიარებადი იურიდიული უფლება ან პრეტენზია მიწაზე, რომელიც დაკავებული აქვთ, ან რომლითაც სარგებლობენ.

⁵⁹ „ინვენტარიზაცია“ გულისხმობს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების უფლებების სრული სპექტრის დეტალურ აღწერას, რომელიც მოზადებულია კონსულტაციების, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე პროცესის მეშვეობით, მათ შორის, ჩვეულებზე ან პრაქტიკაზე დაფუძნებული უფლებების, და მეორადი უფლებების აღწერას, როგორცაა საარსებო წყაროს მიხედვით წვდომის ან გამოყენების უფლება, და საერთო უფლებები.

⁶⁰ მოიცავს გადაადგილებულ პირთა განმარტებას და კრიტერიუმებს კომპენსაციისა და განსახლებასთან დაკავშირებული სხვა დახმარების მიღებისთვის მათი უფლებამოსილების დასადგენად, ამგვარ კომპენსაციაზე უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღების ჩათვლით.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კომპენსაცია და შეღავათები

27. იქ, სადაც მიწის შესყიდვის ან მიწათსარგებლობის, და სხვა აქტივებითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შეზღუდვების თავიდან აცილება შეუძლებელია (მუდმივი თუ დროებითი), კლიენტი შესთავაზებს კომპენსაციას⁶¹ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აქტივების დაკარგვისთვის ჩანაცვლების სრული ღირებულებით, და სხვა დახმარებას, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს გადაადგილებულ პირთა ცხოვრების სტანდარტების და/ან საარსებო წყაროების გასაუმჯობესებლად, ან როგორც მინიმუმ, გადაადგილებამდე არსებულ დონემდე აღსადგენად, ამ PR-ის დებულებების შესაბამისად.
28. კლიენტი გაუწევს განსახლების დახმარებას⁶² ყველა ფიზიკურად იძულებით გადაადგილებულ პირებს და საარსებო წყაროს გაუმჯობესებაზე ან აღდგენაზე მიმართულ დახმარებას ეკონომიკურად იძულებით გადაადგილებულ პირებს, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მიწაზე/აქტივებზე უფლების კატეგორიებისა. გარდა ამისა, კლიენტს კომპენსაციასთან დაკავშირებით შემდეგი ვალდებულებები ეკისრება, 26-ე პარაგრაფში აღწერილი სამი კატეგორიიდან თითოეულთან მიმართებაში:

კატეგორია (i)	კომპენსაციის უზრუნველყოფა (ნატურით ან ნაღდი ფულით) მათი კანონიერი ქონებისა და სხვა აქტივებისთვის სრული ჩანაცვლების ღირებულებით. ⁶³
კატეგორია (ii)	იურიდიული დახმარების გაწევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის, რათა მოხდეს მათი მიწაზე პრეტენზიის აღიარება, რათა მათ შემდგომ მიეცეთ კომპენსაცია მათ საკუთრებაში კანონიერად არსებული ქონებისთვის სრული ჩანაცვლების ღირებულებით, და ამ უფლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა.
კატეგორია (iii)	მიწაზე არსებული ნებისმიერი ნაგებობისა თუ ამ მიწის განვითარების (მათ შორის, ნათესების და ხეების) კომპენსაციის უზრუნველყოფა, ასევე, დაკარგული შემოსავლის წყაროების და სხვა საარსებო წყაროების კომპენსაცია.

29. მიწისა და ძირითადი აქტივების კატეგორიების კომპენსაციის სტანდარტები გასაჯაროვდება და გამოყენებული იქნება თანმიმდევრულად. კომპენსაციის განაკვეთები შეიძლება დაექვემდებაროს გაზრდის მიმართულებით დაკორექტირებას, როდესაც გამოიყენება მოლაპარაკების სტრატეგიები. ყველა შემთხვევაში დოკუმენტირებული იქნება კომპენსაციის გაანგარიშების მკაფიო საფუძველი და კომპენსაცია განაწილდება გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად.
30. კომპენსაცია უზრუნველყოფილი იქნება გადაადგილებამდე ან მიწაზე ან აქტივებზე წვდომის შეზღუდვის დაკისრებამდე. როდესაც იმ მფლობელებთან რომელიც ადგილზე არ იმყოფება, დაკავშირების განმეორებითი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, და როდესაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა უარი თქვეს სამართლიანი კომპენსაციის შეთავაზებაზე, ან როდესაც არსებობს საპირისპირო პრეტენზიები მიწის ან აქტივების საკუთრებაზე, რომლებიც ექვემდებარება ხანგრძლივ სასამართლო პროცესს, კლიენტს შეუძლია განათავსოს კომპენსაციის თანხები, რომლებიც გათვალისწინებულია განსახლების გეგმით, ანგარიშზე, რომელსაც საპროცენტო სარგებელი დაერიცხება, და განაგრძოს საპროექტო საქმიანობა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპენსაცია დაუყოვნებლივ უნდა იყოს ხელმისაწვდომი იმ პირებისთვის, ვისაც იგი ეკუთვნის, უფლებრივი საკითხების გადაწყვეტისთანავე.
31. როდესაც გადაადგილებულ პირთა საარსებო წყარო დამოკიდებულია მიწაზე, ან სადაც მიწა კოლექტიურ საკუთრებაშია⁶⁴, კლიენტმა უნდა შესთავაზოს მიწაზე დაფუძნებული კომპენსაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება, რომ ეს შეუძლებელია, ან მიუღებელია ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.
32. ფულადი კომპენსაციის გადახდა დაკარგული აქტივებისთვის სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით, ნატურით კომპენსაციის ნაცვლად, შეიძლება შესაბამისი იყოს, სადაც: (i) საარსებო წყაროები არაა მიწაზე დაფუძნებული; (ii) საარსებო წყაროები მიწაზე დაფუძნებული, მაგრამ პროექტისთვის აღებული მიწა დაზარალებული აქტივის მცირე ნაწილია და მიწის დანარჩენი ნაწილი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია; ან (iii) არსებობს მიწის, საცხოვრებლის და შრომის აქტიური ბაზრები, გადაადგილებული პირები იყენებენ ასეთ ბაზრებს, და მიწის და საცხოვრებლის საკმარისი მიწოდებაა.

⁶¹ „კომპენსაცია“ გულისხმობს ნაღდი ფულით ან ნატურით გადახდას მიწის, სხვა აქტივების ან ბუნებრივი რესურსების, და მათზე წვდომის დაკარგვისთვის, რომლებიც შექმნილია პროექტის ფარგლებში, ან პროექტის ზემოქმედების ქვეშა მოქცეული.

⁶² „განსახლების დახმარება“ გულისხმობს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას, კომპენსაციაზე დამატებით, რომელიც უზრუნველყოფილია იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, რათა მათ დახმარება გაეწიოთ ახალ სახლში გადასახლებაში და მათი საარსებო წყაროს აღდგენაში.

⁶³ „საკუთრებაში“ იგულისხმება შენობა, მიწა ან ორივე ერთად, მათ შორის მიწაზე მიმაგრებული ყველა ძირითადი აქტივი, როგორცაა ხეები და დამხმარე ნაგებობები.

⁶⁴ „მიწაზე დაფუძნებული საარსებო წყარო“ გულისხმობს ისეთ საქმიანობას, როგორცაა მოსავლის მოყვანა ან პირუტყვის მოვლა, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების მოსავლის აღება.

33. იმ შემთხვევებში, თუ დაზარალებული პირები უარს ამბობენ შეთავაზებულ კომპენსაციაზე, რომლებიც აკმაყოფილებს ამ PR-ის მოთხოვნებს და, ამის შედეგად, დაწყებულია ექსპროპრიაცია ან სხვა სამართლებრივი პროცედურები, კლიენტი შეისწავლის პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს, ამ PR-თან შესაბამისი შედეგების მისაღწევად, მათ შორის, სრული ჩანაცვლების ღირებულებით კომპენსაციის, განსახლებაში დახმარების და საარსებო წყაროს გაუმჯობესების ან აღდგენის დახმარების შესაძლებლობას.
34. როდესაც მკვიდრი მოსახლეობის თემები აღმოჩნდებიან ზემოქმედების ქვეშ, კლიენტი შეასრულებს ამ PR-ის, ისევე როგორც PR 7-ის მოთხოვნებს.

მიწის ნებაყოფლობითი ჩუქება

35. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს შემოთავაზებული, რომ პროექტის მიერ გამოსაყენებელი მიწა, ან მისი ნაწილი გადაცემული იყოს ნებაყოფლობით საფუძველზე სრული კომპენსაციის გადახდის გარეშე. ბანკის წინასწარი დამტკიცების შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს მისაღები, თუ კლიენტი ადასტურებს, რომ ყველა შემდეგი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია:
- პოტენციური მჩუქებელი ან მჩუქებლები სათანადოდ იყენებენ ინფორმირებულები და ჩატარებული იყო მათთან კონსულტაციები პროექტისა და მათთვის ხელმისაწვდომი არჩევანის შესახებ;
 - პოტენციურმა მჩუქებელმა ან მჩუქებლებმა წერილობით დაადასტურეს თავიანთი მზაობა;
 - არ ჰქონდა ადგილი იძულებას, დაშინებას და ქრთამის შეთავაზებას;
 - გადაცემული მიწის რაოდენობა არ შეამცირებს მჩუქებლის ამჟამინდელ საარსებო დონეს, და მიწის გაჩუქება არ ახდენს ზემოქმედებას საარსებო წყაროებზე;
 - არ არის გათვალისწინებული ოჯახის ადგილმონაცვლეობა;
 - მოსალოდნელია, რომ მჩუქებლები უშუალოდ მიიღებენ სარგებელს პროექტისგან;
 - სათემო ან კოლექტიური მიწის შემთხვევაში, გაჩუქება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ პირების თანხმობით, რომლებიც იყენებენ ან იკავებენ მიწას;
 - კლიენტი აწარმოებს ყველა მიღწეული კონსულტაციისა და შეთანხმების გამჭვირვალე დოკუმენტირებას.

საჯარო კომუნალური მომსახურების, ობიექტების და კეთილმოწყობის დაკარგვა

36. თუ პროექტი მოიცავს საჯარო ობიექტებზე, კომუნალურ მომსახურებებზე ან საზოგადოებრივ კეთილმოწყობაზე წვდომის დაკარგვას ან შეზღუდვას, კლიენტმა უნდა ჩაანაცვლოს ისინი უკეთესი ან ანალოგიური დონის სერვისების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილობრივ თემთან⁶⁵ და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან კონსტრუქციული კონსულტაციების საფუძველზე, რათა გამოავლინოს და შეათანხმოს მათთან შესაფერისი ალტერნატივები.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

37. განსახლებათან დაკავშირებული დაგეგმვის და განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში, კლიენტი ჩართავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და თემებს, მასპინძელი თემების ჩათვლით⁶⁶, ეფექტური კონსულტაციების პროცესში, PR 10-ში ასახული პროცესის და პრინციპების შესაბამისად, და უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის გასაჯაროება შემდეგთან დაკავშირებით:
- შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება და კონსტრუქციული კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან და თემებთან პროექტის ალტერნატიული დიზაინის განხილვისას;
 - განსახლება და საარსებო წყაროს გაუმჯობესება ან აღდგენა უნდა მოიცავდეს ვარიანტებსა და ალტერნატივებს, საიდანაც ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებსა და თემებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება;
 - კონსტრუქციული კონსულტაციები უნდა ჩატარდეს მიწის შესყიდვისა და განსახლების პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, საარსებო წყაროს გაუმჯობესების ან აღდგენის ჩათვლით;
 - დამატებითი მოთხოვნები ვრცელდება კონსულტაციებზე, რომლებშიც ჩართულია მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ეს მოცემულია PR 7-ში.
 - დაგეგმვის ფაზაში კონსულტაციები ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა შესაბამის ჯგუფთან და დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის მამაკაცებთან და ქალებთან, და მოწყვლად ჯგუფებთან, უნდა იყოს დოკუმენტირებული განსახლების გეგმაში, რომელიც მოთხოვნილია ამ PR-ით; და
 - კონსულტაციები განხორციელების და მონიტორინგის ფაზებზე უნდა იყოს დოკუმენტირებული.

⁶⁵ „ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში“ იგულისხმება თემები, რომლებზეც პროექტი ახდენს ზეგავლენას, როგორც ეს განსაზღვრულია PR 1-ით, და რომლის წევრები განიცდიან ფიზიკურ ან ეკონომიკურ გადაადგილებას. დაზარალებული თემები მოიცავს მასპინძელ თემებს.

⁶⁶ „მასპინძელი თემები“ გულისხმობს თემებს, რომლებიც ცხოვრობენ იმ ტერიტორიებზე, ან მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც პროექტის შედეგად ფიზიკურად გადაადგილებული ადამიანების განსახლება მოხდება.

38. საკონსულტაციო ღონისძიებების შემუშავებისას კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ჯგუფი, მათ შორის მოწყვლადი, ინფორმირებული იყოს მათი უფლებების, კუთვნილი კომპენსაციის, შესაძლებლობებისა და შედავათების შესახებ.
39. კლიენტი მხარს დაუჭერს კონსულტაციებისა და ჩართულობის პროცესს მარტივი, პრაქტიკული, ზუსტი და კულტურულად შესაბამისი დოკუმენტაციით, რომელიც გამიზნულია ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებში ფართო გავრცელებისთვის.

გასაჩივრების მექანიზმი

40. კლიენტი შეიმუშავებს და დანერგავს გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმს, მიწის შეძენის და განსახლების პროცესის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, და არაუგვიანეს აღწერის ჩატარებამდე, რათა დროულად მოახდინოს რეაგირება კონკრეტულ პრობლემებზე კომპენსაციასთან, განსახლებასთან და საარსებო საშუალებების აღდგენასთან დაკავშირებით, რომლებიც შესახებ გადაადგილებული (ან სხვა) პირები წარადგინენ საჩივარს. იგი მოიცავს დავების მიუკერძოებლად გადასაჭრელად შექმნილ მექანიზმს. გასაჩივრების მექანიზმი უნდა შეესაბამებოდეს საჩივრების მართვის მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც ასახულია PR 10-ში. ის უნდა მოიცავდეს საჩივრების განხილვის და გადაწყვეტის მექანიზმს, რომელიც შექმნილია დავების მიუკერძოებლად გადასაწყვეტად. საჩივრების განხილვის შედეგები (მათ შორის მიღებული, გადაწყვეტილი და განსახილველი საჩივრების რაოდენობა) უნდა აისახოს მონიტორინგის ანგარიშებში.

დაგეგმვა და განხორციელება

41. გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაში გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედებების გადასაჭრელად, კლიენტმა უნდა მოამზადოს პროექტთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედების თანახომიერი განსახლების გეგმა:
- (i) პროექტების შემთხვევაში, რომლებიც ითვალისწინებენ მიწის მცირე რაოდენობის შესყიდვას ან მიწათსარგებლობის უმნიშვნელო შეზღუდვას, რის შედეგადაც არ ექნება ადგილი საარსებო წყაროზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას, გეგმა განსაზღვრავს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა კომპენსაციის დასაშვებობის კრიტერიუმებს, კომპენსაციის პროცედურებს და სტანდარტებს, და გაითვალისწინებს კონსულტაციებს, საჩივრების მონიტორინგს და განხილვას;
 - (ii) პროექტებისთვის, რომლებიც იწვევენ ფიზიკურ გადაადგილებას, გეგმა განსაზღვრავს დამატებით ზომებს, რომლებიც ეხება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების გადაადგილებას;
 - (iii) პროექტებისთვის, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ გადაადგილებას და მნიშვნელოვან ზემოქმედებას საარსებო წყაროზე ან შემოსავლის გენერირებაზე, გეგმა განსაზღვრავს დამატებით ზომებს საარსებო წყაროს გაუმჯობესებასთან ან აღდგენასთან დაკავშირებით; და
 - (iv) პროექტებისთვის, რომლებმაც შეიძლება დააწესონ ცვლილებები მიწათსარგებლობაში,

- რომლებიც ზღუდავენ კანონიერად გამოყოფილ პარკებში ან დაცულ ტერიტორიებზე რესურსებზე წვდომას, ან სხვა საერთო საკუთრების რესურსებზე, რომლებზეც ადგილობრივი მოსახლეობა შეიძლება იყოს დამოკიდებული საარსებო მიზნებისთვის, გეგმა გაითვალისწინებს მონაწილეობით პროცესს, რომლის მეშვეობითაც უნდა განისაზღვროს სარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი შეზღუდვები და შემარბილებელი ღონისძიებები, საარსებო წყაროზე იმ უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა შეზღუდვებმა.
42. განსახლების გეგმა უნდა შემუშავდეს, როდესაც შესაძლებელია მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული ზემოქმედების ხასიათის და მასშტაბის განსაზღვრა გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დროს, და განსახლების გეგმა ბანკს უნდა წარედგინოს. გეგმა უნდა ეფუძნებოდეს უახლეს და სანდო ინფორმაციას შემდეგთან დაკავშირებით: i) შემოთავაზებული პროექტი და მისი პოტენციური ზემოქმედება გადაადგილებულ პირებსა და სხვა ჯგუფებზე, რომლებიც უარყოფით ზემოქმედებას დაექვემდებარენ; ii) კუთვნილი კომპენსაციის მატრიცა, რომელიც განსაზღვრავს კომპენსაციასთან დაკავშირებულ საკითხებს (ფულადი თუ ნატურით) ზარალის თითოეული კატეგორიისთვის, და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების თითოეული ჯგუფისთვის; iii) ყველა გამოვლენილი ზემოქმედებისთვის შესაბამისი და განხორციელებადი შემარბილებელი ღონისძიებები; და iv) განსახლების ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი და ინსტიტუციური ღონისძიებები; და v) განსახლებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ბიუჯეტი, რომელიც გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისია.
43. კონკრეტულ შემთხვევებში და ბანკის თანხმობით, განსახლების ჩარჩო შეიძლება იყოს მისაღები, როგორც პირველი ნაბიჯი განსახლების გეგმის შემუშავებისკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მკაფიოდ გამოვლენილი და დამაჯერებელი მიზეზი, რომელიც დაკავშირებულია პროექტის განვითარების სტადიასთან, რომელიც ხელს უშლის განსახლების სრული გეგმის შემუშავებას. კლიენტი შეიმუშავებს განსახლების ჩარჩოს, როდესაც პროექტთან დაკავშირებული მიწის შეძენასთან დაკავშირებული ზემოქმედების ხასიათი და მასშტაბი უცნობია პროექტის განვითარების ეტაპის გამო, და ამ მიზეზით ვერ ტარდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების და აქტივების დეტალური აღწერის მომზადება. განსახლების ჩარჩოს მიზანია განსახლების ზოგადი პრინციპების და ორგანიზაციული ასპექტების განსაზღვრა. მას შემდეგ, რაც საკმარისი დეტალიზაციის დონით განისაზღვრება პროექტის ცალკეული კომპონენტები, განსახლების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავდება განსახლების დეტალური გეგმა, რომელიც არსებული რისკების და ზემოქმედების თანახომიერი იქნება, და შესაბამისობაში იქნება მოცემული PR-ის მოთხოვნებთან.

44. განსახლების დაგეგმვის დოკუმენტები ინტეგრირებული უნდა იყოს PR 1-ით მოთხოვნილ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემაში. A კატეგორიის პროექტებისთვის, ისინი წარმოდგენილი იქნება როგორც ESIA-ს ნაწილი, რომელიც მოთხოვნილია PR 1-ით, და გასაჯაროვდება იმავე განხილვისა და ჩართულობის პროცესისა და ვადების მიხედვით, როგორც დადგენილია PR 10-ში. სადაც გადაადგილების ზემოქმედების მასშტაბი დიდია, ზანკმა შეიძლება მოითხოვოს განსახლების დაგეგმვის დოკუმენტების გამჟღავნება B კატეგორიის პროექტებისთვის. პირებთან და კომპენსაციის ბიუჯეტებთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია წაიშლება განსახლების დაგეგმვის დოკუმენტებიდან, რომლებიც განკუთვნილია გასაჯაროებისთვის.

ორგანიზაციული შესაძლებლობები და ვალდებულებები

45. კლიენტმა უნდა გამოიყენოს PR 1-ის მოთხოვნები მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებაში, კერძოდ კი, ჩამოაყალიბოს, შეინარჩუნოს და გააძლიეროს, საჭიროებისამებრ, ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებას მიწის შესყიდვისა და განსახლების განხორციელებასთან დაკავშირებით მოცემული PR-ის შესაბამისად. კლიენტმა უნდა დანიშნოს კონკრეტული პერსონალი, მენეჯმენტის წარმომადგენლ(ებ)ის ჩათვლით, რომელთა პასუხისმგებლობები და უფლებამოსილება მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მიწის შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ადეკვატური მხარდაჭერა და ადამიანური და ფინანსური რესურსების უწყვეტი უზრუნველყოფა, რათა მიაღწიოს მიწის შესყიდვისა და განსახლების კუთხით აღებული ვალდებულებების ეფექტური და უწყვეტი შესრულება.

კერძო სექტორის ვალდებულებები ხელისუფლების მიერ მართულ მიწის შეძენასა და განსახლებასთან დაკავშირებით

46. მიწის შეძენაზე და განსახლებაზე შეიძლება მთავრობა იყოს პასუხისმგებელი მაშინაც კი, როდესაც პროექტს კერძო კომპანია ახორციელებს. ასეთ შემთხვევებში, კლიენტი: (i) ჩართავს პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებებს პროექტის შემუშავების ადრეულ ეტაპზე, ამ PR-თან შესაბამისობის მიღწევის გზების და საშუალებების გამოსავლენად; (ii) აქტიურ როლს ითამაშებს მიწის შესყიდვის და განსახლების დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში; და (iii) ითანამშრომლებს პასუხისმგებელ სამთავრობო სააგენტოსთან, რამდენადაც ეს დაშვებულია სააგენტოს მიერ, იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც შეესაბამება ამ PR-ის მიზნებს. გარდა ამისა, სადაც მთავრობის შესაძლებლობები შეზღუდულია, კლიენტი მხარს დაუჭერს მთავრობის ძალისხმევას მიწის შესყიდვისა და განსახლების პროცესებში.

47. კლიენტი პასუხისმგებელია, ერთის მხრივ, ადგილობრივ კანონმდებლობასა და სამთავრობო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებაზე, და მეორეს მხრივ, ამ PR-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობების გამოვლენაზე (ანუ კომპენსაციის განაკვეთები, მიწაზე კანონიერი უფლებების არმქონე პირების კომპენსაციის უფლებების დადგენა, ან კონსულტაცია და გასაჯაროება). ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, კლიენტი პასუხისმგებლობას აიღებს ამ ხარვეზების აღმოფხვრაზე მთავრობისა და ბანკისთვის მისაღები ფორმით.

48. კლიენტი მოამზადებს განსახლების გეგმას ან განსახლების ჩარჩოს, რომელიც პასუხისმგებელი სამთავრობო სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტების დამატებას წარმოადგენს, თუ ეს საჭირო იქნება ამ PR-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კლიენტს შეიძლება დასჭირდეს თავის გეგმაში შემდეგის გათვალისწინება: (i) გადაადგილებულ პირთა უფლებების აღწერა, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამის კანონებსა და რეგულაციებში; (ii) ღონისძიებები, რომლებიც შემოთავაზებულია ასეთი უფლებების დაკმაყოფილებასა და ამ PR-ის მოთხოვნებს შორის რაიმე განსხვავებების აღმოსაფხვრელად; და (iii) სამთავრობო ორგანოსა და/ან კლიენტის ფინანსური და განხორციელების პასუხისმგებლობების განსაზღვრა ამ გეგმის აღსრულებისთვის.

მონიტორინგი და შეფასება

49. კლიენტმა უნდა დაანერგოს პროცედურები განსახლების გეგმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის, და საჭიროების შემთხვევაში, განხორციელოს მაკორექტირებელი ზომები ამ PR-ის მიზნების მისაღწევად. მიწის შესყიდვის, განსახლების და საარსებო წყაროს გაუმჯობესების ან აღდგენის პროცესის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს PR 1-ის შესაბამისად, და ითვალისწინებდეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მონაწილეობას.

50. მონიტორინგის ღონისძიებების ფარგლებში პროექტის რისკების და ზემოქმედების თანაზომიერი იქნება ყველა პროექტისთვის, რომლებსაც გადაადგილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება, კლიენტი დაიქირავებს განსახლების კომპეტენტურ პროფესიონალებს განსახლების გეგმების შესრულების მონიტორინგისთვის, და საჭიროებისამებრ, შეიმუშავებს მაკორექტირებელ ქმედებებს, მიაწვდის რჩევებს ამ PR-თან შესაბამისობის შესახებ, და მოამზადებს პერიოდულ შიდა მონიტორინგის ანგარიშებს. ეს მონიტორინგის ანგარიშები უნდა მოიცავდეს პროგრესის შეფასებას განსახლების გეგმაში მითითებულ შესრულების ძირითად ინდიკატორებთან მიმართებაში, და ისინი ბანკს წარედგინება, როგორც PR 1-ით მოთხოვნილი პერიოდული გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ანგარიშების ნაწილი.

51. ბანკისთვის მონიტორინგის ანგარიშების მიწოდების პასუხისმგებლობა კლიენტს ეკისრება მაშინაც კი, როდესაც მიწის შესყიდვა და განსახლება ხორციელდება მესამე მხარის მიერ, როგორცაა მთავრობა.

52. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს განსახლების გეგმის შესრულების შემოწმება ბანკისთვის მიწის შესყიდვისა და განსახლების შესრულების ანგარიშის წარდგენისა და მის მიერ ამ ანგარიშის დამტკიცების გზით⁶⁷, ყველა საქმიანობის დასრულების შემდეგ.
53. სადაც გადაადგილების ზემოქმედების მასშტაბი დიდია, ბანკმა შიდა მონიტორინგის გარდა შეიძლება მოითხოვოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან ორივე:
- შესაბამისობის პერიოდული გარე მიმოხილვები⁶⁸ განსახლების გეგმით და ბანკთან შეთანხმებით განსაზღვრული სიხშირით და ტექნიკური დავალების შესაბამისად; და/ან
 - მიწის შეძენის და განსახლების ღონისძიებების დასრულების გარე აუდიტს⁶⁹ რათა დადგინდეს, რომ ამ PR-ის მოთხოვნები და განსახლების გეგმის დებულებები დაკმაყოფილებულია, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ეხება საცხოვრებელი ან საარსებო საშუალებების გაუმჯობესებას ან ჩანაცვლებას. განსახლების გეგმაში მითითებული უნდა იყოს აუდიტის დასრულების დრო, მისი მოცულობა და წარმატების ინდიკატორები. დასრულების აუდიტი უნდა ჩატარდეს განსახლების სფეროს კომპეტენტური პროფესიონალების მიერ, საარსებო წყაროს გაუმჯობესების ან აღდგენის ღონისძიებების დასრულების შემდეგ, რათა შესაძლებელი იყოს მათი შედეგების გაზომვა. ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში, დასრულების აუდიტის ანგარიშში ასახული უნდა იყოს მაკორექტირებელი ქმედებები, და საჭიროების შემთხვევაში, იგი უნდა მოიცავდეს მაკორექტირებელ სამოქმედო გეგმას.
54. კლიენტს შეიძლება მოეთხოვოს გარე მონიტორინგის ანგარიშების გასაჯაროება (მათ შორის, შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშების და დასრულების აუდიტის ანგარიშის), როდესაც გადაადგილების ზემოქმედების მასშტაბი დიდია.

ფიზიკური გადაადგილების და განსახლების დახმარება

55. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროექტის დიზაინის გამო ადამიანთა ფიზიკური გადაადგილება გარდაუვალია, კლიენტი შეიმუშავებს განსახლების გეგმას, რომელიც მოიცავს, როგორც მინიმუმ, წინამდებარე PR-ის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული. გეგმა შეიმუშავებული იქნება გადაადგილების უარყოფითი გავლენის შესარბილებლად, და როგორც გამართლებულია განვითარების შესაძლებლობების გამოსავლენად. გეგმა მოიცავს განსახლების ბიუჯეტს და განხორციელების გრაფიკს, და განსაზღვრავს ყველა კატეგორიის დაზარალებული პირების (მათ შორის მასპინძელი თემების) უფლებებს. გეგმა მოიცავს ღონისძიებებს ფიზიკური გადაადგილებისა და საარსებო საშუალებების ეფექტურობის მონიტორინგთან დაკავშირებით ამ ღონისძიებების განხორციელების პროცესში, და ასევე შეფასებას მათი განხორციელების დასრულების შემდეგ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გენდერულ ასპექტებს და მოწყვლადთა საჭიროებებს. კლიენტი უზრუნველყოფს მიწაზე უფლებების მოპოვებასთან, კომპენსაციის უზრუნველყოფასთან და ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებულ სხვა დახმარების გაწევს საქმიანობის დოკუმენტირებას.
56. კლიენტი გადაადგილებულ ადამიანებს შესთავაზებს არჩევანს შესაძლებელი განსახლების ვარიანტებს შორის, რაც მოიცავს საცხოვრებლის ჩანაცვლებას თანაბარი, ან უფრო მაღალი ღირებულების საცხოვრებლით, გარანტირებული საკუთრების უფლებით, და ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, ან ფულად კომპენსაციას ჩანაცვლების ღირებულებით, თუ დადასტურდება, რომ ქონების ჩანაცვლება შეუძლებელია, ან არ არის მისაღები ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის. ჩანაცვლებელი შენობები (მათ შორის საცხოვრებელი), და/ან ფულადი კომპენსაცია განსახლებამდე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. განსახლების ახალი ადგილები, რომლებიც აშენებულია გადაადგილებულ პირთათვის, შესთავაზებს, როგორც მინიმუმ, გადაადგილებამდე არსებულ საცხოვრებელ პირობებს და სერვისებს, და მდგრად და ხარჯთეფექტურ შესაძლებლობებს ცხოვრების სტანდარტის გასაუმჯობესებლად ან მინიმუმ საარსებო საშუალებების აღსადგენად. ახალ სახლებში გადაადგილებისა და კომუნალური მომსახურების აღდგენის ხარჯები კლიენტს ეკისრება.

⁶⁷ „მიწის შესყიდვისა და განსახლების შესრულების ანგარიში“ გულისხმობს მიწის შესყიდვის, განსახლებისა და საარსებო წყაროს აღდგენის სამუშაოების დასრულების შემდეგ მომზადებულ ანგარიშს, რომელიც მოიცავს: პროექტის ზემოქმედების შეჯამებას (როგორც ფიზიკურ, ასევე ეკონომიკურ გადაადგილებას) და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა შესაბამისადაც განსახლების გეგმა უნდა განხორციელდეს; საარსებო წყაროების აღდგენის თავიდან აცილებისა და მინიმოზაციის მიზნით განხორციელებული მალისხმევის აღწერა; კონსულტაციების და შედეგების შეჯამება, მათ შორის იმის მითითება, თუ როგორ იმოქმედა ამ ღონისძიებებმა კომპენსაციის უფლებაზე, და მიწის შესყიდვის, განსახლებისა და საარსებო წყაროს აღდგენის საქმიანობის სხვა მახასიათებლებზე; კომპენსაციის უზრუნველყოფის პროცესის აღწერა; ნებისმიერი პრობლემის, და მათი მოგვარების გზების აღწერა; მიღებული საჩივრების შეჯამება და მათი გადაწყვეტის გზების აღწერა, მათ შორის, საჩივრებისა და სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების ჩამონათვალი, რომლებიც ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის არსებობდა; მიწის შესყიდვის, განსახლებისა და საარსებო წყაროს აღდგენის მიზნით მობილიზებული რესურსების აღწერა.

⁶⁸ „შესაბამისობის გარე მიმოხილვა“ გულისხმობს მიწის შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებების პერიოდულ გარე მიმოხილვებს, რომლებიც განხორციელდა ამ აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების დროს, რათა დადგინდეს, დაკმაყოფილებულია თუ არა ამ PR-ის მოთხოვნები და განსახლების გეგმის დებულებები. იგი მოიცავს რეკომენდაციებს ნებისმიერი გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებლად.

⁶⁹ „დასრულების აუდიტი“ გულისხმობს მიწის შესყიდვისა და განსახლების აქტივობების გარე აუდიტს, რომელიც განხორციელდა განსახლების გეგმით განსაზღვრული აქტივობების დასრულების შემდეგ, რათა დადგინდეს, დაკმაყოფილებულია თუ არა ამ PR-ის მოთხოვნები და განსახლების გეგმის დებულებები, განსაკუთრებით ისინი, რაც ეხება საარსებო წყაროს გაუმჯობესებას. ან აღდგენას.

57. კლიენტმა უნდა აცნობოს ფიზიკურად გადაადგილებულ პირებს ფიზიკური გადაადგილების დროს შესახებ გონივრული ვადით ადრე, და მათთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, სხვა ფაქტორებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო და სასკოლო კალენდრებზე პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებით.
58. კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას მასპინძელ თემებზე, რომლებზეც შეიძლება იმოქმედოს განსახლების პროცესმა. ნებისმიერი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც შეთანხმებულია მასპინძელ თემთან, ჩართული უნდა იყოს განსახლების გეგმაში.
59. როდესაც განსახლების ადგილების განვითარება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საცხოვრებლის და სხვა შენობების რეკონსტრუქცია ხორციელდება კლიენტის მიერ, გავრცელდება შესრულების ყველა მოთხოვნა.
60. კლიენტი უზრუნველყოფს დახმარებას გადაადგილებისას, რომელიც შეესაბამება გადაადგილებულ პირთა თითოეული ჯგუფის საჭიროებებს, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე.

ეკონომიკური გადაადგილება და საარსებო წყაროების გაუმჯობესება ან აღდგენა

61. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროექტი გავლენას ახდენს საარსებო წყაროებზე ან შემოსავლების გენერირებაზე, კლიენტმა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების შემოსავლების ან საარსებო საშუალებების გასაუმჯობესებლად ან სულ მცირე, მათი აღდგენის მიზნით უნდა დაგეგმოს ზომები. გეგმა განსაზღვრავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების და/ან თემების კუთვნილ კომპენსაციას, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს გენდერულ ასპექტებს და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და სამართლიანად უზრუნველყოფას. გეგმა უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს განხორციელების დროს საარსებო საშუალებების ეფექტურობის მონიტორინგისთვის, ასევე განხორციელების დასრულების შემდეგ შეფასებას. ეკონომიკური გადაადგილების შერბილება ჩაითვლება დასრულებულად, როდესაც დასრულების აუდიტი დაასკვნის, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა ან თემებმა მიიღეს ყველა კუთვნილი დახმარება, და მიეცათ ადეკვატური შესაძლებლობა საარსებო წყაროს აღდგენისთვის.

62. შემოსავლებზე ან საარსებო წყაროებზე ზემოქმედება, რომელიც არ არის მიწის შესყიდვის ან მიწათსარგებლობის შეზღუდვის პირდაპირი შედეგი, უნდა გამოვლინდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესის ფარგლებში PR 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. კომპენსაციისა და საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებები ასეთი ზემოქმედებისთვის უნდა განხორციელდეს ამ PR-ის პრინციპების შესაბამისად.
63. ზემოქმედების ხასიათიდან გამომდინარე, საარსებო წყაროს გაუმჯობესების ან აღდგენის ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:
 - იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის შეძენა ან მიწათსარგებლობის შეზღუდვა ზემოქმედებას ახდენს ბიზნესებზე⁷⁰, დაზარალებული ბიზნესის მფლობელისთვის ან ოპერატორისთვის კომპენსაცია: (i) კომერციული საქმიანობის სხვაგან აღდგენის ღირებულება; (ii) დაკარგული წმინდა შემოსავალი გარდამავალ პერიოდში⁷¹; და (iii) ქარხნის, მანქანა-დანადგარების ან სხვა აღჭურვილობის გადატანის და ხელახლა დამონტაჟების ხარჯები;
 - უზრუნველყოს თანაბარი ან უფრო დიდი ღირებულების ჩასანაცვლებელი მიწა ან ქონება, ან ფულადი კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, მიწაზე სამართლიანი უფლებების ან პრეტენზიების მქონე პირებისთვის, რომლებიც აღიარებულია ან აღიარებას ექვემდებარება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
 - ეკონომიკურად გადაადგილებულ პირთა კომპენსაცია, რომლებსაც არა აქვთ იურიდიულად აღიარებული პრეტენზიები მიწაზე, მიიღებენ კომპენსაციას სხვა დაკარგული აქტივებისთვის (როგორცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სარწყავი ინფრასტრუქტურა და მიწაზე განხორციელებული სხვა გაუმჯობესებები), მათი ჩანაცვლების ღირებულებით. გარდა ამისა, კლიენტი გაუწევს დახმარებას მიწის კომპენსაციის ნაცვლად, რომელიც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ასეთ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა აღადგინონ საარსებო წყარო სხვაგან;
 - სადაც ადგილი აქვს ზეგავლენას თემის მიერ გამოყენებულ საერთო ბუნებრივ რესურსებზე, ინიციატივების განხორციელება, რომლებიც აძლიერებს დარჩენილი რესურსების პროდუქტიულობას, რომლებზეც თემს აქვს წვდომა, და ნატურით ან ფულადი კომპენსაცია დაკარგული რესურსის ხელმისაწვდომობის ან ალტერნატიული წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის;

⁷⁰ „ბიზნესი“ მოიცავს მაღაზიებს, რესტორნებს, სერვისებს, საწარმოო ობიექტებს და სხვა საწარმოებს, განურჩევლად ზომისა და იმისა, ისინი ლიცენზირებულია, თუ არ არის ლიცენზირებული.

⁷¹ „გარდამავალი პერიოდი“ ეხება პერიოდს გადაადგილების დადგომასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი საარსებო წყაროების აღდგენის დროს შორის.

- დამატებითი მიზნობრივი დახმარების და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, სულ მცირე, მათი შემოსავლის გენერირების შესაძლებლობის, წარმოების დონისა და ცხოვრების სტანდარტების აღდგენის ან, სადაც შესაძლებელია, გაუმჯობესების მიზნით. ბიზნესის შემთხვევაში, რომელიც განიცდის დროებით ზარალს ან უწყევს დახურვა პროექტთან დაკავშირებული გადაადგილების შედეგად, როგორც ბიზნესის მფლობელს, ისე თანამშრომლებს, რომლებიც კარგავენ ანაზღაურებას ან დასაქმებას, უფლება აქვთ მიიღონ მსგავსი დახმარება;
- გარდამავალ პერიოდში მხარდაჭერის უზრუნველყოფა ეკონომიკურად გადაადგილებულ პირთათვის, საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლის გენერირების შესაძლებლობის, წარმოების დონეების და ცხოვრების სტანდარტების აღსადგენად საჭირო გონივრული დროის განმავლობაში; და
- გადაადგილებული პირებისა და თემებისთვის პროექტისგან შესაბამისი განვითარების სარგებლის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

შესავალი

1. შესრულების მოცემული მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია⁷² და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა⁷³ გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის საფუძველია.
2. ეს PR აღიარებს ჰაბიტატების⁷⁴ ძირითადი ეკოლოგიური ფუნქციების, ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების⁷⁵ შენარჩუნების მნიშვნელოვნებას. ყველა ეკოსისტემა ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმების კომპლექსურობას და განსხვავდება სახეობების სიმდიდრის, სიმრავლის და მნიშვნელოვნების თვალსაზრისით.
3. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ცოცხალი რესურსების მდგრადი მართვის მიზნების დაბალანსება უნდა მოხდეს ბიომრავალფეროვნების და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მრავალბითი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფასეულობების პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების გზით.

ამოცანები

4. ამ PR-ის ამოცანებია:
 - ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია პრევენციულ მიდგომაზე დაყრდნობით;
 - შემარბილებელი იერარქიის მიდგომის დანერგვა პროექტის დიზაინის და განხორციელების პროცესში, რათა თავიდან იქნას აცილებული ბიომრავალფეროვნების წმინდა ზარალი და სადაც შესაძლებელია, მიღწეულ იქნას ბიომრავალფეროვნების წმინდა მოგება;
 - ეკოსისტემის სერვისების შენარჩუნება; და
 - ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მდგრადი მართვის კარგი საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

გამოყენების სფერო

5. ეს PR-ი ვრცელდება EBRD-ის მიერ პირდაპირ დაფინანსებულ ყველა პროექტზე, როგორც ეს

დადგენილია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით, კლიენტმა, თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში, უნდა მოახდინოს წინამდებარე PR-ის შესაბამისი მოთხოვნების, და აგრეთვე მათი გამოყენებისა და მართვის განსაზღვრა და იმის დადგენა, თუ როგორ მოხდება მათი პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში განხორციელება. წინამდებარე PR-ის შესრულებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება უნდა მოხდეს კლიენტის ზოგადი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ფარგლებში (ESMS), და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების გათვალისწინებით (ESMPs), რათა პროექტი სტრუქტურირებული იყოს იმგვარად რომ დააკმაყოფილოს წინამდებარე PR-ის მოთხოვნები მისაღებ ვადებში. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მართვის მოთხოვნები განსაზღვრულია PR 1-ში.

6. ეს PR ასევე ეხება სიტუაციებს, როდესაც პროექტის საქმიანობა ზემოქმედებს ახდენს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემის სერვისების და/ან ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან და ხელმისაწვდომობასთან. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის, პოტენციური პოზიტიური როლი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაში ასევე გათვალისწინებულია ამ PR-ში.

მოთხოვნები

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია

რისკების და ზემოქმედების შეფასება

7. შეფასების პროცესი განსაზღვრავს საბაზისო პირობების მახასიათებლებს იმ ხარისხით, რომელიც მოსალოდნელი რისკებისა და ზემოქმედების მასშტაბის პროპორციული და სპეციფიკურია. საბაზისო შეფასება გაითვალისწინებს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის სერვისების წინაშე არსებული ისეთი რისკებით, როგორცაა

⁷² ამ PR, მიზნებისთვის, ბიომრავალფეროვნება განსაზღვრულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის შესაბამისად - „ცვალებადობა ცოცხალ ორგანიზმებს შორის, რომლებიც გავრცელებულია ხმელეთზე, ზღვასა და წლის სხვა ეკოსისტემებსა და ეკოლოგიურ კომპლექსებში. აღნიშნული მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობების შიგნით, სახეობებს შორის და ეკოსისტემების ფარგლებში“.

⁷³ „ცოცხალი ბუნებრივი რესურსები“ განისაზღვრება, როგორც „მცენარეები ან ცხოველები, რომლებიც მოშენებულია ადამიანის ან ცხოველთა საკვებად ან გამოსაყენებლად, გარეულ და კულტივაციის პირობებში. ის მოიცავს სატყეო მეურნეობის ყველა ტიპს, ბიოსაწვავს, მიწათმოქმედებას, როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან კულტურების, მეცხოველეობას, თევზჭერას, ზღვის და მტკნარი წყლის ორგანიზმების ჩათვლით, ხერხემლიანებს და უხერხემლოებს“.

⁷⁴ ჰაბიტატები განისაზღვრება, როგორც ხმელეთის, მტკნარი ან საზღვაო გეოგრაფიული ერთეული ან საჰაერო გზა, რომელიც მხარს უჭერს ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობას და მათ ურთიერთქმედებას არაცოცხალ გარემოსთან.

⁷⁵ ეკოსისტემის სერვისები არის ის სარგებელი, რომელსაც ადამიანები, მათ შორის ბიზნესები იღებენ ეკოსისტემებიდან. ეკოსისტემის სერვისები ოთხ კატეგორიად იყოფა: (i) მიწოდების სერვისები, რაც გულისხმობს პროდუქტებს, რომლებსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემებიდან; (ii) მარეგულირებელი სერვისები, რაც არის ის სარგებელი, რომელსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემური პროცესების რეგულირებიდან; (iii) კულტურული მომსახურება, რომელიც არის არამატერიალური სარგებელი, რომელსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემებიდან; და (iv) მხარდაჭერი სერვისები, რომლებიც ბუნებრივი პროცესებია, რომლებიც სხვა სერვისებს უჭერენ მხარს.

ჰაბიტატის პოტენციური განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, ინვაზიური სახეობები, ჭარბი ექსპლუატაცია, მიგრაციული დერეფნები, ჰიდროლოგიური ცვლილებები, საკვები ნივთიერებებით დატვირთვა და დაბინძურება, და აგრეთვე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია კლიმატური ცვლილებების და ადაპტაციის შედეგად. ბიომრავალფეროვნების საბაზისო და ზემოქმედების შეფასების დაგეგმარებისა და განხორციელებისას, კლიენტმა უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისი, კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოთი, რომელიც მოიცავს სამაგიდო კვლევებს, ექსპერტებთან კონსულტაციებს, და სხვა კვლევების მიდგომებს, საჭიროებისამებრ. იქ, სადაც აუცილებელია დამატებითი გამოკვლევა პოტენციური ზემოქმედების სიმძიმის განსაზღვრისთვის, კლიენტმა უნდა ჩაატაროს დამატებითი კვლევა და/ან მონიტორინგი, სანამ განხორციელდება პროექტთან დაკავშირებული ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ შეუქცევადი ხასიათის ზემოქმედება.

8. შეფასების პროცესის მეშვეობით, პროექტის ადრეულ ეტაპზე, კლიენტმა უნდა მოახდინოს ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებაში პროექტთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობების, რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება და მახასიათებლების განსაზღვრა. შეფასების ფარგლებში საკმარისი უნდა იყოს ზემოქმედების აღწერისთვის, მისი ალბათობის, ზემოქმედების ხარისხის და სიმძიმის გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების, და ზოგ შემთხვევაში, სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებიც. შეფასებაში ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პირდაპირი, ირიბი და კუმულაციური ზემოქმედება და პროექტის ფარგლებში გამოყენებული შემარბილებელი ზომების ეფექტურობა და მიზანშეწონილობა. შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს ლანდშაფტის დონეზე პოტენციური ზემოქმედების განხილვას, სეზონურ შეზღუდვებს და სენსიტიურობას და ასევე ზემოქმედებას ეკოსისტემების ეკოლოგიური მთლიანობაზე, მათი დაცულობის სტატუსის დამოუკიდებლად და მიუხედავად მათზე ჩარევის ხარისხისა ან დეგრადაციისა.
9. GIP-ს შესაბამისად, შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: (i) პროექტის პოტენციური ზემოქმედება ეკოსისტემის სერვისებზე, მათ შორის ისეთ სერვისებზე, რაზედაც შესაძლოა კლიმატურმა ცვლილებებმა მოახდინონ გამწვავება; (ii) პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების და/ან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ ეკოსისტემის სერვისების გამოყენება და მათზე დამოკიდებულება; და (iii) პროექტის დამოკიდებულება ამ ეკოსისტემის სერვისებზე. სადაც პროექტს აქვს პოტენციური გავლენა მოახდინოს ეკოსისტემის სერვისებზე, და სადაც კლიენტს აქვს პირდაპირი მართვის კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, თავიდან უნდა იქნას აცილებული უარყოფითი ზემოქმედება. თუ ეს ზემოქმედება გარდაუვალია, განხორციელდება ზომები ზემოქმედების მინიმიზაციის ან/და

ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის სერვისების აღდგენის მიზნით.

10. იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ მკვიდრ მოსახლეობას ან ადგილობრივ თემებზე, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ათვისებისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაზომადი განაწილება, თანახმად: (i) ეკონომიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებული ზემოქმედების გადაწყვეტის მოთხოვნებისა, რომლებიც მოცემულია PR 5-ში; (ii) მკვიდრ მოსახლეობაზე პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების მართვის კონკრეტული მოთხოვნებისა, რომლებიც მოცემულია PR 7 -ში; და (iii) დაინტერესებული პირების ჩართულობისადმი მოთხოვნებისა, რომლებიც მოცემულია PR 10-ში.

ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია, ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლები და კრიტიკული ჰაბიტატები

11. თუკი შეფასებისას მოხდება პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირება ბიომრავალფეროვნებაზე, კლიენტი განხორციელებს რისკების მართვას შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კლიენტი დანერგავს პრევენციულ მიდგომას და გამოიყენებს ადაპტაციურ მართვის პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შემარბილებელი და მართვის ღონისძიებები, პასუხობდნენ ცვალებად პირობებს და პროექტის მონიტორინგის შედეგებს პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში.
12. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთი ტერიტორია, რომელიც შეიძლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდეს, შეიძლება შეიცავდეს „პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებს“⁷⁶, რომელიც მოიცავს: (i) საფრთხის ქვეშ მყოფ ჰაბიტატებს; (ii) მოწყვლად სახეობებს; (iii) ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან მახასიათებლებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია დაინტერესებული პირების ფართო სპექტრის და მთავრობების მიერ; და (iv) ეკოლოგიურ სტრუქტურებს და ფუნქციებს, რომლებიც აუცილებელია იმ პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, რომლებიც აღწერილია წინამდებარე პარაგრაფში.
13. როდესაც შეფასების შედეგად გამოვლინდება, რომ პროექტს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებზე, კლიენტმა არ უნდა განხორციელოს პროექტთან დაკავშირებული ღონისძიებები, სანამ:
 - კლიენტი აჩვენებს, რომ არ არსებობს ტექნიკურად და ეკონომიკურად განხორციელებადი სხვა ალტერნატივა;

⁷⁶ ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლები წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების ისეთ ქვეჯგუფს, რომელიც შეუცვლელი ან მოწყვლადია, მაგრამ რომელიც უფრო დაბალპრიორიტეტულია, ვიდრე კრიტიკული ჰაბიტატი (როგორც ეს განსაზღვრულია მე-13 პარაგრაფში).

- დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა კონსულტაციები PR 10-ის შესაბამისად;
- პროექტი ნებადართულია მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად და აღიარებს პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებს.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები შემუშავებულია, შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის თანახმად, რათა თავიდან იქნას აცილებული წმინდა დანაკარგი⁷⁷ და სასურველია პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებისგან, ჰაბიტატებისგან და ეკოლოგიური ფუნქციებისგან მიღებული იქნას წმინდა მოგება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს მათ გაზომვად კონსერვაციის შედეგებს.

14. ყველაზე მგრძობიარე ბიომრავალფეროვნების მახასიათებლები განისაზღვრება, როგორც კრიტიკული ჰაბიტატები, რომელიც მოიცავს შემდეგს: (i) მაღალი საფრთხის ქვეშ მყოფი ან უნიკალური ეკოსისტემები; (ii) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი⁷⁸ ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საარსებო გარემო; (iii) ენდემური ან გეოგრაფიულად შეზღუდული სახეობებისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატები; (iv) ჰაბიტატები, რომლებიც ხელს უწყობენ გლობალური მნიშვნელობის მიგრაციულ ან კრებითი სახეობებს; ან (v) ტერიტორიები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად ევოლუციურ პროცესებთან.
15. კრიტიკული ჰაბიტატი არ უნდა იყოს შემდგომში უფრო დანაწევრებული, შეცვლილი ან დეგრადირებული იმ

დონემდე, რომ დარღვეული იქნას მისი ეკოლოგიური მთლიანობა ან ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა. შესაბამისად, კრიტიკული ჰაბიტატის ტერიტორიაზე, კლიენტმა არ უნდა განახორციელოს პროექტის არცერთი აქტივობა, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

- პროექტის განსახორციელებლად რეგიონში არ არსებობს სხვა ეფექტური ალტერნატივა ისეთ ჰაბიტატებში რომლებიც ბიომრავალფეროვნების კუთხით ნაკლებად ფასიურია;
- დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა კონსულტაციები PR 10-ის შესაბამისად;
- პროექტი ნებადართულია მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აღიარებს პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებს;
- პროექტს არ ექნება გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება⁷⁹ იმ ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებზე, რომლის შედეგად მიეკუთვნათ კრიტიკული ჰაბიტატის სტატუსი, როგორც ეს მითითებულია მე-14 პარაგრაფში.
- პროექტი გამიზნულია წმინდა მოგებაზე⁸⁰ იმ კრიტიკული ჰაბიტატისთვის, რომელზეც ის მოახდენს ზემოქმედებას;
- არ არის მოსალოდნელი, პროექტის შედეგად რომელიმე გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების პოპულაციის⁸¹ შემცირება გონივრული პერიოდის განმავლობაში⁸²; და

⁷⁷ „წმინდა დანაკარგის არარსებობა“ განისაზღვრება, როგორც ეტაპი, როდესაც პროექტთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დანაკარგები დაბალანსებულია გატარებული ზომების შედეგად მიღებული შედეგებით, რომლებიც მიმართული იყო ზემოქმედების თავიდან აცილებასა და მინიმუმისთვის, ადგილზე აღდგენის განსახორციელებლად და საბოლოო ანგარიშში, მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების კომპენსაციისთვის, ასეთი არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე.

⁷⁸ როგორც მითითებულია ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების წითელ ნუსხაში. კრიტიკული ჰაბიტატის აღწერა სხვა ჩამონათვალზე დაყრდნობით მოიცავს შემდეგს: (i) თუ სახეობა შეტანილია ჩამონათვალში როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ეროვნულ/რეგიონულ დონეზე. იმ ქვეყნებში, რომლებიც ხელმძღვანელობენ IUCN-ის პრინციპებით, კრიტიკული ჰაბიტატის განსაზღვრა ხდება პროექტზე დაფუძნებით და კომპეტენტურ პროფესიონალებთან კონსულტაციების შემდგომ; და (ii) ისეთ შემთხვევაში, თუ ეროვნულ/რეგიონულ დონეზე ჩამონათვალში შეტანილი სახეობების კატეგორიზაცია ზუსტად არ ემთხვევა IUCN-ის განსაზღვრებებს (მაგ. როგ ქვეყანებში სახეობები ზოგადად განისაზღვრება როგორც „დაცული“ ან „შეზღუდული“), შეფასება ხდება ჩამონათვალის ლოგოსისა და მიზნების დასადგენად. ასეთ შემთხვევაში, კრიტიკული ჰაბიტატის განსაზღვრება დამოკიდებულია ამ შეფასებაზე.

⁷⁹ გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება ნიშნავს, რომ პროექტის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება საფრთხეს შეუქმნის ბიომრავალფეროვნების ნებისმიერი ღირებულების საკვლე არეალში, რომლის გამოც ჰაბიტატი მიჩნეულია როგორც კრიტიკული მნიშვნელობის მქონე.

⁸⁰ წმინდა მოგება წარმოადგენს დამატებით კონსერვაციულ შედეგს, რომელიც შესაძლოა მიღწეულ იქნას ბიომრავალფეროვნების ღირებულებებისთვის, რომლის გამოც ჰაბიტატი განსაზღვრული იყო როგორც კრიტიკული მნიშვნელობის მქონე. წმინდა მოგება შესაძლოა მიღებულ იქნას ბიომრავალფეროვნების ჩანაცვლების შედეგად და/ან იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დააკმაყოფილებს შესრულების წინამდებარე მოთხოვნის მე-14 პარაგრაფი ბიომრავალფეროვნების ჩანაცვლების გარეშე, მას შეუძლია წმინდა მოგების მიღება ისეთი პროგრამების განხორციელების გზით, რომლებიც შესაძლოა შესრულდეს ადგილზე, ჰაბიტატის გამაღიერებით და ბიომრავალფეროვნების დაცვითა და კონსერვაციით.

⁸¹ მთლიანი შემცირება არის სახეობების ცალკე ინდივიდების, ან კუმულაციური დანაკარგი, რაც გავლენას ახდენს სახეობების უნარზე გადარჩეს გლობალური და/ან რეგიონული/ეროვნული მასშტაბით, მრავალი თაობის ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში. პოტენციური მთლიანი შემცირების მასშტაბის (მაგ. გლობალური და/ან რეგიონული/ეროვნული) განსაზღვრა ხდება სახეობათა ნუსხის საფუძველზე ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გლობალურ ჩამონათვალზე - IUCN-ის წითელ ნუსხაზე დაყრდნობით, ან რეგიონული/ეროვნული ნუსხის მიხედვით. იმ სახეობებისთვის, რომლებიც შეტანილია საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გლობალურ ნუსხასა და რეგიონული/ეროვნული ნუსხაში, მთლიანი შემცირება ეფუძნება რეგიონული/ეროვნული პოპულაციას.

⁸² ვადა, რომლის დროსაც კლიენტმა უნდა აჩვენოს, რომ ადგილი არ აქვს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების „მთლიან შემცირებას“, განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, და გარე ექსპერტებთან კონსულტაციის გზით.

- თანმიმდევრული და სათანადოდ შემუშავებული, გრძელვადიანი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის და შეფასების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კრიტიკული ჰაბიტატის სტატუსის შეფასებას, ინტეგრირებული კლიენტის ადაპტაციური მართვის პროგრამაში.
16. ისეთ შემთხვევებში, როდესაც კლიენტს შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, პროექტის ზემოქმედების შერბილების სტრატეგია აღწერილი იქნება ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში ან ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში⁸³, რომელიც უფრო შესაბამისია.
 17. კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების მოთხოვნა გამოვლენილი იქნება პროექტის ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ფაზაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადაიხედება საბაზისო შეფასების დასრულების შემდეგ. როდესაც შეფასების შედეგად გამოვლინდება, რომ პროექტს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ზემოქმედება კრიტიკულ ჰაბიტატზე, კლიენტი დაიქირავებს დამოუკიდებელ ექსპერტებს ამ კრიტიკულ ჰაბიტატზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შესაფასებლად.
 18. როგორც უკანასკნელი საშუალება, ბიომრავალფეროვნების კომპენსირება შეიძლება დაიგეგმოს და განხორციელდეს გაზომვადი, დამატებითი და გრძელვადიანი კონსერვაციის შედეგების მისაღწევად⁸⁴, რაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ არ გამოიწვევს წმინდა დანაკარგს და სასურველია, რომ უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების წმინდა მოგება. ბიომრავალფეროვნების კომპენსირების გეგმა დაიცავს პრინციპს „მსგავსი-მსგავსისთვის ან უკეთესი“⁸⁵ და განხორციელდება ბანკის PR-ებთან და GIP-თან შესაბამისობაში. კლიენტს დასჭირდება შესაბამისი პერსონალის გამოყოფა და კომპენსაციის განხორციელებისთვის საჭირო გრძელვადიანი ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების დემონსტრირება.

19. იმ შემთხვევებში, როდესაც ბიომრავალფეროვნების კომპენსირებაა შემოთავაზებული ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების ან კრიტიკული ჰაბიტატისთვის, კლიენტი შეიმუშავებს ბიომრავალფეროვნების კომპენსირების სტრატეგიას ან ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმას, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო შესაბამისი, რათა აჩვენოს, რომ პროექტის მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე სათანადოდ შერბილდება. ამ შემთხვევებში, კლიენტი დაიქირავებს დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნა ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის გეგმის შემუშავების და განხორციელების სფეროში.
20. ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე და/ან კრიტიკულ ჰაბიტატზე ყველა ნარჩენი არასასურველი ზემოქმედების კომპენსირება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში, კლიენტმა უნდა გადასინჯოს პროექტის დიზაინი, რათა თავიდან აიცილოს ასეთი კომპენსაციის საჭიროება და დააკმაყოფილოს ამ PR-ის მოთხოვნები.

კანონით დაცული და საერთაშორისოდ აღიარებული ბიომრავალფეროვნებითი ღირებულების მქონე ტერიტორიები

21. როდესაც პროექტი ხორციელდება იმ ტერიტორიის ფარგლებში ან მას პოტენციურად შეუძლია დააზიანოს ის ტერიტორია, რომელიც დაცულია კანონით⁸⁶ და/ან

⁸³ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები (BAP), როგორც წესი, მოიცავენ მიზნების, ამოცანების და მართვის ღონისძიებებს სერიას, რომლებიც მოწოდებულია ნარჩენი ზემოქმედების შესარბილებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლების ან კრიტიკული ჰაბიტატების წმინდა ზარალი/მოგება. მიზნები უნდა იყოს რეალისტური და გაზომვადი. თითოეულ მიზანი უნდა გენაზღვრავდეს მთელ რიგ ქმედებებს და მოიცავდეს დასრულების მაჩვენებლებს ან მონიტორინგის სამიზნე ობიექტებს, პასუხისმგებელ მხარეს და ვადებს. BAP უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, სამთავრობო, საერთაშორისო ექსპერტების, ადგილობრივი / საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემების ჩართულობით.

⁸⁴ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის გაზომვადი შედეგები ნაჩვენებია იქნება in situ (ბუნებრივ პირობებში, არა ტყეობაში ან საცავში) და შესაბამისი გეოგრაფიული მასშტაბით (მაგ., ადგილობრივ, ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე).

⁸⁵ პრინციპი „მსგავსი-მსგავსისთვის ან უკეთესი“ ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში ბიომრავალფეროვნების კომპენსაცია უნდა იყოს შემუშავებული იმ ბიომრავალფეროვნების იგივე ღირებულებების შესანარჩუნებლად, რომლებზეც გავლენას ახდენს პროექტი (მსგავსი ჩანაცვლება). თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში, იმ ტერიტორიებზე, სადაც ბიომრავალფეროვნება წარმოდგენილი, რომლებსაც პროექტი შეეხება, შეიძლება არ იყოს არც ეროვნული და არც ადგილობრივი პრიორიტეტი, და შეიძლება იყოს მსგავსი ღირებულებების მქონე ბიომრავალფეროვნების სხვა ტერიტორიები, რომლებიც უფრო პრიორიტეტულია კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის, და გარდაუვალი საფრთხის ქვეშ არიან, ან დაცვა ან ეფექტური მართვა საჭიროდებათ. ამ სიტუაციებში, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს განხილული იქნას სხვა სახის კომპენსირება, რაც გულისხმობს ტერიტორიის ჩანაცვლებას (ანუ, როდესაც კომპენსირება მოხდება უფრო მაღალპრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების მქონე ტერიტორიაზე, და არა იქ, სადაც პროექტი ახდენს ზეგავლენას).

⁸⁶ ეს PR ეყრდნობა IUCN-ის „დაცული ტერიტორიის“ დეფინიციას.

საერთაშორისოდ აღიარებულია⁸⁷, ან შემოთავაზებულია ეროვნული მთავრობების მიერ ასეთი სტატუსის მისანიჭებლად, ასეთ შემთხვევებში, კლიენტმა უნდა გამოავლინოს და შეაფასოს პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედება და გამოიყენოს შერბილების იერარქია, ისე, რომ პროექტიდან გამომდინარე ზემოქმედების შედეგად არ მოხდეს ასეთი ტერიტორიების მთლიანობის, კონსერვაციის მიზნების და/ან ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის საფრთხის ქვეშ დაყენება.

22. თუ შეფასება გამოავლენს, რომ პროექტს, პოტენციურად, შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს პრიორიტეტულ ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებზე და / ან კრიტიკულ ჰაბიტატზე კანონით დაცულ ან ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ღირებული საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების ფარგლებში, კონსერვაციის მიზნებზე და ტერიტორიის მთლიანობაზე, კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს ასეთი ზემოქმედების დადგომა. გარდა ამისა, კლიენტმა უნდა:

- მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ნებისმიერი შემოთავაზებული აქტივობა, ნებადართულია კანონმდებლობით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაცულ ტერიტორიაზე პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების კონკრეტული შეფასება განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;
- იმოქმედოს მთავრობის მიერ მიღებული ასეთი ტერიტორიების მართვის გეგმების შესაბამისად;
- გაიაროს კონსულტაციები შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებით დაცული ტერიტორიების მმართველებთან, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან, ადგილობრივ თემებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, PR 10-ის თანახმად;
- განახორციელოს დამატებითი პროგრამები, საჭიროების მიხედვით, დაცული ტერიტორიების კონსერვაციის მიზნების ხელშეწყობისთვის და გაძლიერებისთვის.

ინვაზიური უცხო სახეობები

23. კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს და პროაქტიულად შეეცადოს არ დაუშვას უცხო სახეობების შემთხვევითი ან განზრახ შემოჭრა, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა ბიომრავალფეროვნებაზე, კერძოდ:

- კლიენტმა არ უნდა მოახდინოს უცხო სახეობების განზრახ შეყვანა ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ჩვეულებრივ არ სახლობენ, თუ აღნიშნული არ ხდება შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს

მოთხოვნების დაცვით. დაუშვებელია ინვაზიური სახეობების შეყვანა ახალ გარემოში.

- კლიენტმა უნდა მოახდინოს პოტენციური რისკების, ზემოქმედებების და შემარბილებელი ღონისძიებების ვარიანტების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია უცხო სახეობების შემთხვევით შემოყვანასთან ან გავრცელებასთან;⁸⁸ და
- როდესაც ქვეყნის ან რეგიონის შიგნით, სადაც პროექტის განხორციელებაა შემოთავაზებული, უკვე კარგადაა დამკვიდრებული უცხო სახეობები, კლიენტი უნდა შეეცადოს, რომ არ დაუშვას ინვაზიური სახეობების გავრცელება იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არიან წარმოდგენილი.

ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

24. პროექტები, რომლებიც გულისხმობს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების პირველად წარმოებას, მათ შორის, მოსავლის მოყვანას ან მეცხოველეობას, ბუნებრივ ან პლანტაციურ სატყეო მეურნეობას, აკვაკულტურას ან მეთევზეობას, ენერჯისა და ბიოსაწვავისთვის ბიომასის წარმოებას და გამოყენებას, იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ამ PR-ის ყველა შესაბამის მოთხოვნასთან, გარდა იმისა, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- კლიენტმა უნდა განახორციელოს ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მართვა ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების, GIP-ის და ევროკავშირის შესაბამისი არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტების გამოყენებით, პროექტის ხასიათიდან გამომდინარე.
- კლიენტმა, სადაც მიზანშეწონილია, უნდა გაითვალისწინოს გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე აღიარებული შესაბამისი სერტიფიცირების სტანდარტები, რომლებიც (i) დაფუძნებულია მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესზე და (ii) სადაც აკრედიტაცია ექვემდებარება დამოუკიდებელ შემოწმებას ან სერტიფიცირებას ამ სტანდარტების შესაბამისი აკრედიტებული ორგანოების მეშვეობით. შესაბამისი სტანდარტების და/ან სერტიფიცირების სისტემების არარსებობის შემთხვევაში, კლიენტი იღებს ვალდებულებას გამოიყენოს შესაბამისი ინდუსტრიისთვის სპეციფიკური მდგრადი მართვის პრაქტიკა GIP-ის შესაბამისად.
- სადაც ეს შესაძლებელია, კლიენტი განათავსებს მიწაზე დაფუძნებულ აგრობიზნეს პროექტებს უტყეო მიწაზე ან მიწაზე, რომელმაც უკვე განიცადა ტრანსფორმაცია თავისი ბუნებრივი მდგომარეობიდან, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს

⁸⁷ ტერიტორიები, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო კონვენციების და შეთანხმებების შესაბამისად, მათ შორის, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილები, UNESCO-ს ადამიანისა და ბიოსფეროს რეზერვები და რამზარის საერთაშორისო მნიშვნელობის ჰარბტენიანი ტერიტორიების ნუსხა.

⁸⁸ რაც შეეხება საქონლისა და მომსახურებების საერთაშორისო ტრანსპორტირებას, წინამდებარე PR-ი ეყრდნობა გემის წყლის ბალასტის და ნატანების მართვის და კონტროლის საერთაშორისო კონვენციას (BWM). კლიენტებს, რომლებსაც სურთ მიიღონ EBRD დაფინანსება ისეთი პროექტისთვის, რომელიც მოიცავს აღნიშნული სახის ტრანსპორტირებას, მოეთხოვებათ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონვენციის ფარგლებში.

ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე და/ან კრიტიკულ ჰაბიტატზე.

- არ მოხდება იმ სახეობების და პოპულაციების წარმოება ან/და გამოყენება სათანადო კონტროლის გარეშე, რომლებსაც გააჩნიათ ინვაზიური პოტენციალი, რათა არ მოხდეს მათი გავრცელება წარმოების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.
- მეთევზეობის⁸⁹ ან აკვაკულტურის პროექტებთან დაკავშირებით, კლიენტმა უნდა შეაფასოს და მინიმუმამდე დაიყვანოს წყლის გარემოში უცხო სახეობების გავრცელების რისკი. კლიენტმა ასევე უნდა შეაფასოს და მინიმუმამდე შეამციროს გარემოში დაავადებათა და/ან პარაზიტების გავრცელების შესაძლებლობა.
- კლიენტმა, რომელიც ჩართულია სოფლის მეურნეობაში, ცხოველების ტრანსპორტირებასა და მათ დაკვლაში, ხორცისა და სუბპროდუქტების მისაღებად (მაგალითად, რძე, კვერცხი, მატყლი) უნდა მიიღოს და შესარულოს ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნები, ევროკავშირის შესაბამისი ცხოველთა დაცვის სტანდარტები და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის ნორმები, რომლებიც უფრო მკაცრია მეცხოველეობის დარგში.
- ანტიბიოტიკული რეზისტენტობის შემცირების მიზნით (AMR)⁹⁰, კლიენტი გამოიყენებს ანტიბიოტიკებს მხოლოდ ჯანსაღი საკვების მწარმოებელ ცხოველებზე ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად.
- ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დაუშვებელია გენმოდირიგირებული ორგანიზმების (GMO) გამოყენება ან გარემოში გავრცელება, კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული თანხმობის გარეშე. EBRD-ის სხვა ქვეყნებში, დაუშვებელია გენმოდირიგირებული ორგანიზმების გამოყენება ან გარემოში გავრცელება რისკების შეფასების გარეშე, რომელიც ტარდება ევროკავშირის არსებითი სტანდარტების შესაბამისად.

მიწოდების ჯაჭვი

25. მიწოდების ჯაჭვის შეფასების პროცესის ნაწილის სახით, რომელიც აღწერილია PR 1-ში, კლიენტი განსაზღვრავს და შეაფასებს რისკებსა და ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებაზე, რომელიც გამოწვეულია მისი ძირითადი მომწოდებლების მიერ.⁹¹

26. თუ შეფასების ფარგლებში გამოვლინდება, რომ კლიენტის ძირითად მომწოდებლებს აქვთ პოტენციალი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე და/ან კრიტიკულ ჰაბიტატზე, ან როდესაც ასეთი რისკები გამოვლენილია საქონლისა და მასალების მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე, და ეს საქონელი და მასალები აუცილებელია პროექტის ძირითადი საოპერაციო ფუნქციებისთვის, კლიენტი მიიღებს შესაბამის ზომებს ამის გამოსასწორებლად GIP-ის შესაბამისად EBRD-თან შეთანხმებულ ვადებში.
27. როდესაც კლიენტი ყიდულობს ბუნებრივი რესურსებისგან დამზადებულ საქონელს, მათ შორის საკვებს, ხე-ტყეს და ბოჭკოს, რომლებიც, როგორც ცნობილია, იმ ტერიტორიებიდანაა, სადაც არსებობს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების ან/და კრიტიკული ჰაბიტატების მნიშვნელოვანი გარდაქმნის ან დეგრადაციის რისკი, კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება უნდა მოიცავდეს პირველადი მომწოდებლების მიერ გამოყენებული სისტემებისა და გადამოწმების პრაქტიკის შეფასებას. კლიენტები ასევე უპირატესობას მიაანიჭებენ ცოცხალი ბუნებრივი რესურსების შექმნას, რომლებიც წარმოებულია საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და მდგრადი მართვის სტანდარტების შესაბამისად, სადაც ეს შესაძლებელია.
28. მინიმუმ, კლიენტი დანერგავს პოლიტიკას, პროცედურებსა და გადამოწმების პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგს:
 - მიწოდების წარმოშობის იდენტიფიცირებას და წარმოშობის ადგილის ჰაბიტატის ტიპის განსაზღვრას;
 - თავს შეიკავებს იმ მომწოდებლებისგან შესყიდვისგან, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების, კრიტიკული ჰაბიტატების და/ან განსაზღვრული დაცული ტერიტორიების მნიშვნელოვან გარდაქმნაში ან დეგრადაციაში; და
 - უზრუნველყოფს კლიენტის ძირითადი მომწოდებლების უწყვეტ გადამოწმებას.
29. კლიენტის შესაძლებლობა სრულად დაარეგულიროს ეს რისკები დამოკიდებული იქნება კლიენტის ძირითად მომწოდებლებზე მისი კონტროლის ან გავლენის დონეზე.

⁸⁹ მეთევზეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ თევზი სჭერით. სხვადასხვა სახეობის ან პოპულაციის ხელახალი გამრავლება ან შემოტანა, განსაკუთრებით დახურულ გარემოში, როგორცაა ტბები, უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ახალმა არ გაანადგუროს ან გააძეოს არსებულ ადგილობრივ ენდემური/ბუნებრივ თევზის სახეობები.

⁹⁰ ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) თანახმად, ანტიბიოტიკული აგენტები არის მედიკამენტები, რომლებიც გამოიყენება ინფექციების, განსაკუთრებით ბაქტერიული წარმოშობის სამკურნალოდ. ეს მედიკამენტები აუცილებელია ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დასაცავად, ასევე ცხოველთა კეთილდღეობისთვის. გადაჭარბებულმა ან არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს რეზისტენტული ბაქტერიების გაჩენა, რომლებიც არ რეაგირებენ ანტიბიოტიკოთერაპიაზე. ამას ჩვეულებრივ უწოდებენ ანტიბიოტიკულ რეზისტენტობას ან AMR-ს.

⁹¹ იხილეთ PR 1, სქოლიო 22 ძირითადი მომწოდებლების და პროექტის ძირითადი ოპერატიული ფუნქციების განმარტებისთვის.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 7: მკვიდრი მოსახლეობა

შესავალი

1. შესრულების ეს მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ მკვიდრი მოსახლეობა, როგორც სოციალური ჯგუფები, რომელთა იდენტობა და საარსებო წყარო განსხვავდება ეროვნულ საზოგადოებებში დომინანტური ჯგუფებისგან. ისინი შეიძლება იყვნენ მოსახლეობის ყველაზე მარგინალიზებულ და მოწყვლად სეგმენტებს შორის. მათი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტატუსი ხშირად ზღუდავს მათ შესაძლებლობას დაიცვან მიწებზე და რესურსებზე (ზუნებრივ და კულტურულ) თავიანთი ინტერესები და უფლებები. ამან, ერთობლიობაში მათ ეკონომიკურ და სულიერ დამოკიდებულებაზე მიწასა და რესურსებზე, შეიძლება ისინი განსაკუთრებით დაუცველი გახადოს პროექტების ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების მიმართ. ეს PR ასევე აღიარებს, რომ მკვიდრი მოსახლეობას აქვს უნიკალური ცოდნა და შესაძლებლობები და ისინი პოტენციური პარტნიორები არიან მდგრადი განვითარებაში, და მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ პროექტთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, და იმავდროულად, შეუძლიათ ამით სარგებლის მიღება.
2. ეს PR-ი აღიარებს, რომ მთავრობა ასრულებს ცენტრალურ როლს მკვიდრი მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხების მართვაში. იგი განსაზღვრავს კლიენტის პასუხისმგებლობებს, შეაფასოს პროექტის პოტენციალი, რომ ზემოქმედება მოახდინოს მკვიდრი მოსახლეობაზე, კონსულტაციები აწარმოოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრი მოსახლეობასთან, და ამ PR-ში ასახულ გარკვეულ გარემოებებში, მიიღოს მათი თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა (FPIC). ეს PR-ი ასევე განსაზღვრავს კლიენტის ვალდებულებებს ითანამშრომლოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრი მოსახლეობასთან ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რათა თავიდან იქნას აცილებული, მინიმუმამდე დაყვანილი, შერბილებული და უზრუნველყოფილი უარყოფითი ზემოქმედების კომპენსაცია და პროექტის სარგებლის გაზიარება.

ამოცანები

3. ამ PR-ის ამოცანებია:
 - იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტი ხელს უწყობდეს მკვიდრი მოსახლეობის ღირსების, უფლებების, მისწრაფებების, კულტურის, ჩვეულებათა კანონების და საარსებო წყაროების სრულ პატივისცემას;
 - მკვიდრი მოსახლეობის თემების სიცოცხლეზე და საარსებო წყაროებზე პროექტის უარყოფითი

ზემოქმედების და რისკების პროგნოზირება და თავიდან აცილება⁹² ან, როდესაც თავიდან აცილება შეუძლებელია, ასეთი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, შერბილება ან კომპენსაცია

- მკვიდრი მოსახლეობის მიერ მდგრადი განვითარებისგან სარგებლისა და შესაძლებლობების მიღების ხელშეწყობა ისეთი გზით, რაც ხელმისაწვდომია, კულტურულად შესაბამისია და ინკლუზიური მკვიდრი ქალებისა და მამაკაცებისთვის;
- პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრი მოსახლეობასთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება
- მკვიდრი მოსახლეობის ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობა პროექტის აქტივობების ან შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებაში, რამაც შეიძლება პოტენციურად მათზე დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს; და
- კლიენტსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების წარმოება და FPIC თანხმობის მიღება გარკვეულ გარემოებებში, რომლებიც აღწერილია ამ PR-ში.

გამოყენების სფერო

4. ამ PR-ში, ტერმინი „მკვიდრი მოსახლეობა“ გამოიყენება ტექნიკური მნიშვნელობით რაც ეხება სოციალურ და კულტურულ ჯგუფს, რომელიც განსხვავდება ეროვნულ საზოგადოებებში არსებული დომინანტი ჯგუფებისგან, რომელსაც გააჩნია ყველა შემდეგი მახასიათებელი⁹³:
 - თვითგამორკვევა, როგორც გამორჩეული მკვიდრი ეთნიკური ან კულტურული ჯგუფის წევრებისა და ამ იდენტობის აღიარება სხვების მიერ;
 - კოლექტიური კავშირი გეოგრაფიულად გამორჩეულ ჰაბიტატებთან, ტრადიციულ მიწებთან ან საგვარეულო ტერიტორიებთან პროექტის ტერიტორიაზე და ბუნებრივ

⁹² უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ აქტივების ან რესურსების დაკარგვას, მიწათსარგებლობის შეზღუდვას ან ტრადიციული ცხოვრების წესის დარღვევას პროექტის აქტივობებით გამოწვეული ზემოქმედების შედეგად.

⁹³ ზოგიერთი მახასიათებელი შესაძლოა განლეული ან ნაკლებად აშკარა იყოს ზოგიერთი ჯგუფისთვის ან თემისთვის უფრო ფართო საზოგადოებაში ან ეკონომიკაში ინტეგრაციის, ხოლო ზოგჯერ მთავრობის პოლიტიკის შედეგად.

რესურსებთან ამ ჰაბიტატებში და ტერიტორიებზე;⁹⁴

- ჩვეულებითი კულტურული, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც განცალკევებულია დომინანტური საზოგადოების ან კულტურის ასეთი ინსტიტუტებისგან; და
 - განსხვავებული ენა ან დიალექტი, რომელიც ხშირად განსხვავდება ქვეყნის ან რეგიონის ოფიციალური ენისა თუ დიალექტისგან.
5. ჯგუფი ან ჯგუფის წევრები, რომლებიც ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას ან საქონლის გადარეკვას, ცხოვრობენ შერეულ ან ურბანულ თემებში და/ან მხოლოდ სეზონურად ეწევიან მათ ტრადიციულ მიწებს, შეიძლება ასევე განიცდიდნენ იძულებით მოცილებას. მათი მიმდინარე ცხოვრების წესი და იძულებითი მოცილება არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ წინამდებარე PR-ით მათ არ გავრცელდეს.
6. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ქმედებების განხორციელება უნდა წარმართოს ამ PR-ის და PR 1, 5, 8 და 10-ის შესაბამისად.

მოთხოვნები

შეფასება

7. კლიენტი, პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში რაც შეიძლება ადრე, დაადგენს ამ PR-ის გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ არა უგვიანეს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში. როდესაც კლიენტის ორგანიზაციაში არ არის ხელმისაწვდომი შესაბამისი უნარები, იგი მიმართავს რჩევებისთვის გამოცდილ და დამოუკიდებელი სოციალური სფეროს სპეციალისტებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული ჯგუფი ამ PR-ის მე-4-დან მე-6 პარაგრაფებით დადგენილ კრიტერიუმებს.
8. პროექტების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას მოახდენენ ადგილობრივ მოსახლეობაზე, კლიენტი განახორციელებს მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასებას. კლიენტი პირველ რიგში ეცდება თავიდან აიცილოს არასასურველი ზემოქმედება, და სადაც ეს შეუძლებელია, იგი მოამზადებს განვითარების გეგმას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს და/ან შეარბილოს ნებისმიერი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება და გამოავლინოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის მიერ სარგებლის მიღების შესაძლებლობები.
9. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ჯერ არ არის დაწყებული, კლიენტი შეუკვეთავს დამოუკიდებელი და ობიექტური კვლევის ჩატარებას მკვიდრი

მოსახლეობის ყველა თემის იდენტიფიცირების მიზნით, რომლებზეც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროექტის როგორც დადებით, ისე უარყოფით პირდაპირ თუ ირიბ ზემოქმედებას მათთან კონსულტაციის გზით, და ასევე შეაფასებს მათზე მოსალოდნელი ზემოქმედების ბუნებას, და გაითვალისწინებს მათ მოსაზრებებს პროექტთან დაკავშირებით. ეს შეფასება მხედველობაში მიიღებს მკვიდრი მოსახლეობის სპეციფიკურ მოწყვლადობას გარემოს და ცხოვრების წესის ცვლილებების მიმართ.

10. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა, პროექტთან დაკავშირებული საქმიანობა ან ოპერაციები უკვე დაწყებულია, კლიენტი წარადგენს ყველა შესაბამის ინფორმაციას და დოკუმენტს იმის დემონსტრირებისთვის, რომ ცდილობდა და მოქმედებდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის მოსაზრებების საფუძველზე. ეს დოკუმენტები მოიცავს კლიენტის წარსულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მკვიდრ მოსახლეობაზე დღემდე არსებულ ზემოქმედებას, და ხელისუფლებისთვის უკვე წარმოდგენილ დოკუმენტებს.
11. თუ ამ PR-ით მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული, კლიენტი განახორციელებს შეფასებას, როგორც ეს მოთხოვნილია ამ PR-ის 7-დან-მე-10 პარაგრაფებში. ეს შეფასება მოიცავს: (i) პროექტის ზემოქმედების შეფასებას მკვიდრი მოსახლეობის სიცოცხლესა და საარსებო წყაროზე; (ii) ამ სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირებას; (iii) მაკორექტირებელი ქმედებების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ PR-ით დასახული შედეგების მისაღწევად. შემდეგ კლიენტი შეათანხმებს სამოქმედო გეგმას EBRD-თან.

კონსტრუქციული კონსულტაცია და თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა (FPIC)

კონსტრუქციული კონსულტაციები

12. კლიენტი ჩამოაყალიბებს უწყვეტ ურთიერთობებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მკვიდრ მოსახლეობასთან რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე პროექტის დაგეგმვის პროცესში და კონსტრუქციულ კონსულტაციებს გამართავს მათთან PR 10-ის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მკვიდრ მოსახლეობაზე პროექტის პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების შესაბამისი იქნება. კონსულტაციების პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგს:
- მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლობითი ორგანოების (მაგალითად, უზუცესთა საბჭოების ან სოფლის საკრებულოს, სხვათა შორის), მკვიდრი მოსახლეობის ორგანიზაციებს, ისევე,

⁹⁴ ჯგუფზე, რომელმაც დაკარგა „კოლექტიური კავშირი გეოგრაფიულად განსხვავებულ ჰაბიტატებთან ან საგვარეულო ტერიტორიებთან პროექტის ზონაში“, იძულებითი მოცილების გამო, გავრცელდება ეს PR-ი, თუ მოსალოდნელია, რომ პროექტი მოახდენს ზემოქმედებას „იძულებითი მოცილება“ ეხება კოლექტიური კავშირის დაკარგვას გეოგრაფიულად გამოყოფილ ჰაბიტატებთან ან საგვარეულო ტერიტორიებთან კონფლიქტის, მთავრობის განსახლების პროგრამების, მიწების ჩამორთმევის, ბუნებრივი კატასტროფების, ან ასეთი ტერიტორიების ქალაქის ფარგლებში შესვლის გამო. ამ PR-ის მიზნებისთვის, „ქალაქის ზონა“, ჩვეულებრივ, ნიშნავს ქალაქს ან დიდ ქალაქს და ითვალისწინებს ყველა შემდეგ მახასიათებელს, რომელთაგან მხოლოდ ერთი არ არის განმსაზღვრელი: (ა) ზონის იურიდიული დანიშნულება არის არა სასოფლო-სამეურნეო ეროვნული კანონით; (ბ) მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე; და (გ) არა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობის შედარებით მაღალი წილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან შედარებით.

როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მკვიდრი მოსახლეობის თემების წევრების ჩართულობა;

- ნებისმიერი შესაბამისი ჩვეულებითი კანონის გაგება და პატივისცემა ;
- საკმარისი დროის უზრუნველყოფა მკვიდრი მოსახლეობის კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის;
- მკვიდრი მოსახლეობის ეფექტური მონაწილეობა საპროექტო აქტივობების შემუშავებაში ან შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვაში, რამაც შეიძლება პოტენციურად იმოქმედოს მათზე დადებითად ან უარყოფითად; და
- თემის მრავალფეროვნების აღიარება, შემდეგის გათვალისწინებით:
 - რომ მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობს შერეულ თემებში არამკვიდრ ადამიანებთან ერთად; და
 - რომ მკვიდრი თემები მრავალფეროვანია; კონსულტაცია და მონაწილეობა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სქესის, თაობების და გამორიცხული ჯგუფების ჩართულობას.

FPIC

13. FPIC-ის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. თუმცა, ამ PR-ის მიზნებისთვის, თანხმობა გულისხმობს დაზარალებული მკვიდრი მოსახლეობის მხრიდან შემოთავაზებული პროექტის აქტივობების კოლექტიურ მხარდაჭერას, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე. FPIC ეფუძნება და აფართოებს ზემოაღნიშნული კონსტრუქციული კონსულტაციების პროცესს და ჩამოყალიბებულია კლიენტსა და დაზარალებულ მკვიდრ მოსახლეობას შორის კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების გზით, რომლის დასასრულს ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას მათი კულტურული ტრადიციების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაბამისად. FPIC არ საჭიროებს სრულ ერთსულოვნებას და შეიძლება მიღწეული იყოს მამინაც კი, როდესაც მკვიდრი მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლები ან ჯგუფები აშკარად არ ეთანხმებიან საპროექტო აქტივობებს.
14. ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის FPIC საჭიროა იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტი: (i) გავლენას ახდენს მათ ჩვეულებით მიწებზე ან რესურსებზე; (ii) იწვევს მათ გადასახლებას მათ მიერ ტრადიციულად ან ჩვეულებით დაკავებული მიწებიდან; ან (iii) გავლენას ახდენს ან ითვალისწინებს მათი კულტურული რესურსების გამოყენებას.
15. ამ პირობებში, კლიენტი დაიქირავებს კვალიფიციურ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც დაეხმარებიან მას კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების წარმოებაში და FPIC პროცესის წარმართვასა და დოკუმენტირებაში.

ზემოქმედება ჩვეულებით მიწებზე და რესურსებზე

16. მკვიდრი მოსახლეობა ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ჩვეულებით მიწებთან და მათ ტყესთან, წყალთან, ველურ ბუნებასთან და სხვა ბუნებრივ რესურსებთან. ეს კავშირები შეიძლება ეხებოდეს საარსებო წყაროს, კულტურულ,

საცერემონიო ან სულიერ განზომილებებს, რაც განსაზღვრავს მკვიდრი მოსახლეობის იდენტობას და თემებს. ამიტომ, განსაკუთრებულ განხილვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ პროექტი გავლენას ახდენს ასეთ კავშირებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწები შეიძლება არ იყოს კანონიერ მფლობელობაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ მიწების გამოყენება, სეზონური ან ციკლური გამოყენების ჩათვლით, მკვიდრი მოსახლეობის თემების მიერ, ხშირად შეიძლება დასაბუთებული და დოკუმენტირებული იყოს.

17. თუ კლიენტი სთავაზობს პროექტის განთავსებას, ან ბუნებრივი რესურსების კომერციულად განვითარებას ჩვეულებითი სახით დამკვიდრებულ მიწათსარგებლობის ტერიტორიებზე, და შეიძლება მოსალოდნელი იყოს საარსებო წყაროებზე, ან კულტურულ, ცერემონიულ, ან სასულიერო გამოყენებაზე უარყოფითი ზემოქმედება, რაც განსაზღვრავს მკვიდრი მოსახლეობის იდენტობას და თემს, კლიენტმა უნდა მოიპოვოს FPIC. გარდა ამისა, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი:
 - მკვიდრი მოსახლეობის მიერ მიწის გამოყენების და რესურსებით სარგებლობის დოკუმენტირება ექსპერტების მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემებთან თანამშრომლობით, მიწასთან დაკავშირებით სხვა მკვიდრი მოსახლეობის რაიმე უფლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე; შეფასება იქნება გენდერულად ინკლუზიური და კონკრეტულად გაითვალისწინებს ქალთა როლს ამ რესურსების მართვასა და გამოყენებაში;
 - კლიენტის ძალისხმევით დოკუმენტურად ასახვა მკვიდრი მოსახლეობის მიერ დაკავებული და/ან მათ მფლობელობაში მყოფი მიწის გამოყენების თავიდან აცილების ან მიწის ზომის შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც შემოთავაზებულია პროექტისთვის.
 - ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემების მიწებთან მიმართებაში მათი უფლებების შესახებ ინფორმირება ამ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ეროვნული კანონის ჩათვლით, რომელიც აღიარებს ჩვეულებით უფლებებს ან სარგებლობას;
 - ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობისთვის საკმარისი დროის მიცემა შიდა შეთანხმების მისაღწევად, ისე, რომ კლიენტმა არ მოახვიოს მათ თავზე საკუთარი ნება პირდაპირ ან ირიბად;
 - ბუნებრივ რესურსებზე უწყვეტი წვდომის უზრუნველყოფა, რესურსების ეკვივალენტური ჩანაცვლების გარანტია ან, როგორც საბოლოო ვარიანტი, კომპენსაციის უზრუნველყოფა; და
 - ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემებისთვის წვდომის, გამოყენებისა და ტრანზიტის უზრუნველყოფა მიწაზე, რომელსაც ავითარებს კლიენტი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და დაცვის მნიშვნელოვანი მოსაზრებების გათვალისწინების პირობით.

მკვიდრი მოსახლეობის განსახლება ტრადიციული თუ ჩვეულებითი მიწებიდან

- 18. კლიენტი შეისწავლის შესაძლებელ ალტერნატიულ პროექტის დიზაინს, რათა თავიდან აიცილოს მკვიდრი მოსახლეობის მიერ დაკავებული ტრადიციული ან ჩვეულებითი მიწებიდან განსახლება. როდესაც განსახლება გარდაუვალია, კლიენტი მინიმუმამდე დაიყვანს გამოსაყენებელი მიწის ფართობს და არ განახორციელებს ასეთ განსახლებას, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის თემებისგან FPIC - ის მოპოვების გარეშე. მკვიდრი მოსახლეობის ნებისმიერი განსახლება შესაბამისობაში იქნება PR 5-ის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, მკვიდრმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს კლიენტისგან სამართლიანი და თანაბარი კომპენსაცია მიწების, ტერიტორიების და რესურსებისთვის, რომლებსაც ისინი ტრადიციულად ფლობდნენ, ან სხვაგვარად იკავებდნენ და იყენებდნენ, და რომელთა კონფისკაციას, ჩამორთმევას, დაკავებას, გამოყენებას ან დაზიანებას ჰქონდა ადგილი პროექტის შედეგად მათთან FPIC გარეშე.
- 19. სადაც შესაძლებელია, განსახლებულ მკვიდრ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება, დაუბრუნდეს მათ ტრადიციულ ან ჩვეულებით მიწებს, თუ მათი განსახლების მიზეზი ადარ არსებობს და ასეთ შემთხვევაში მიწა სრულად უნდა იყოს აღდგენილი.

კულტურული მემკვიდრეობა

- 20. როდესაც პროექტმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელიც არსებითია მკვიდრი მოსახლეობის იდენტობის ან/და კულტურული, რიტუალური ან სასულიერო ასპექტებისთვის, პრიორიტეტი მიენიჭება ამგვარი ზემოქმედების თავიდან აცილებას. სადაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარდაუვალია, კლიენტი მიიღებს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის FPIC-ს და დააკმაყოფილებს PR 8-ის მოთხოვნებს.
- 21. თუ პროექტი ითვალისწინებს მკვიდრი მოსახლეობის კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებას, კლიენტმა უნდა აცნობოს მკვიდრ მოსახლეობას შემდეგის შესახებ: (i) მათი უფლებები ამ PR-ის შესაბამისად; (ii) შემოთავაზებული კომერციული განვითარების ფარგლები და ბუნება; და (iii) ამგვარი განვითარების პოტენციური შედეგები. და (iv) კლიენტი მიიღებს მათ FPIC-ს. კლიენტი ასევე განსაზღვრავს და განახორციელებს მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამგვარი ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის კომერციალიზაციის შედეგად მიღებული სარგებლის სამართლიან და თანაბარ გაზიარებას, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მკვიდრი მოსახლეობის ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

კომპენსაცია და სარგებლის გაზიარება

- 22. კლიენტი უზრუნველყოფს, ადგილობრივ თემთან შეთანხმებით, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფმა

მკვიდრმა მოსახლეობამ სამართლიანად მიიღოს კომპენსაცია პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი საარსებო წყაროს ნებისმიერი დანაკარგისთვის. კომპენსაციის გაანგარიშებისას, კლიენტი გაითვალისწინებს PR 5-ის მოთხოვნებს და მხედველობაში მიიღებს პროექტის უწყვეტობით ეფექტს ჩვეულებით საარსებო წყაროებზე⁹⁵, მომთაბარე/ტრანსჰუმანტური პრაქტიკის ჩათვლით, ისევე როგორც მკვიდრი მოსახლეობის ოჯახურ ცხოვრებას, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ქალთა სახელფასო და არაანაზღაურებად საარსებო საქმიანობებზე. ეს განხორციელდება მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით. ამ პარაგრაფის დებულებები ვრცელდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც კლიენტს უწევს კომპენსაციის გადახდა ადგილობრივი ან რეგიონული მმართველობის ორგანოებისთვის.

- 23. კომპენსაციის და/ან რესურსების გადაცემის ურთიერთმისაღები და სამართლებრივად განხორციელებადი გზები უნდა შემუშავდეს. შეიძლება ამის უზრუნველყოფა საჭირო იყოს კოლექტიურ საფუძველზე, სადაც მიწას და რესურსებს ერთობლივად ფლობენ. კლიენტის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყო მართვის შესაბამისი სისტემების შექმნის მხარდაჭერა, კომპენსაციის ეფექტური განაწილების უზრუნველსაყოფად ყველა უფლებამოსილ წევრზე ან კომპენსაციის კოლექტიური გამოყენება ისე, რომ ჯგუფის ყველა წევრმა მიიღოს სარგებელი.
- 24. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივ მოსახლეობას პროექტის განვითარებიდან კულტურულად შესაფერისი სარგებლის მიღება შეეძლოს. ასეთი შესაძლებლობები უნდა შესაბამებოდეს პროექტის ზემოქმედების ხარისხს, და მიზნად უნდა ისახავდეს თემების ცხოვრების სტანდარტის და საარსებო წყაროების სათანადო წესით გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების გრძელვადიანი მდგრადობის ხელშეწყობას, რომლებზეც ისინი შეიძლება იყვნენ დამოკიდებული. განვითარების სარგებელი დროულად იქნება უზრუნველყოფილი.
- 25. კლიენტის მიერ შემოთავაზებული ქმედებები, რომლებიც მიმართულია უწყვეტობითი შედეგების შემცირებაზე, შერბილებაზე და კომპენსაციაზე და სარგებლის განსაზღვრასა და გაზიარებაზე, გათვალისწინებული იქნება დროში გაწერილ გეგმაში, როგორცაა მკვიდრი მოსახლეობის განვითარების გეგმა (IPDP), ან უფრო ფართო სათემო განვითარების გეგმა ცალკეული კომპონენტებით, რომლებიც ეხება მკვიდრ მოსახლეობას. გეგმა შემუშავდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრ მოსახლეობასთან კონსულტაციების გზით. კლიენტს ეყოლება შესაბამისი და სათანადო ტექნიკური გამოცდილების მქონე კვალიფიციური ექსპერტები IPDP-ს მოსამზადებლად. IPDP სისტემატურად შეაფასებს პროექტის დიფერენცირებულ ზემოქმედებას გენდერული და სხვადასხვა თაობების სპეციფიკის გათვალისწინებით, და მოიცავს ღონისძიებებს თემებში სხვადასხვა

⁹⁵ „ჩვეულებითი საარსებო წყაროები“ ბუნება უნდა იქნას განმარტებული მოქნილად (ისე, რომ მოიცავდეს თანამედროვე ადაპტაციებს, როგორცაა ეთნოტურიზმი და საკვების გადამუშავება).

ჯგუფებზე ამ ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის. IPDP-ს დეტალიზაციის დონე და ფარგლები კონკრეტული პროექტის ხასიათისა და აქტივობების შესაბამისად განისაზღვრება.

26. როდესაც არსებობს ფარული ფაქტორები, რომლებიც გამორიცხავენ მკვიდრ მოსახლეობას და ფიზიკურ პირებს სარგებლიდან, როგორცაა დასაქმების შესაძლებლობები, ეთნიკური წიშნით, პროექტის საქმიანობა მოიცავს ისეთ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, როგორცაა: (i) მკვიდრი მოსახლეობის ორგანიზაციების და კერძო პირების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ შრომითი, სოციალური, ფინანსური და ბიზნეს კანონმდებლობის შესაბამისად და რესურსების მექანიზმების ხელმისაწვდომობის შესახებ; (ii) ინფორმაციის სათანადო და ეფექტური გავრცელება, ტრენინგი და ზომები სარგებლის და რესურსების მიმართ ბარიერების მოსახსნელად, როგორცაა კრედიტი, დასაქმება, ბიზნეს მომსახურება, სამედიცინო მომსახურება და საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა შედეგები, რომელთა გენერირება ან ხელშეწყობა მოხდა პროექტის მიერ; და (iii) მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი თანამშრომლების, მეწარმეებისა და ბენეფიციარებისთვის იმავე დაცვის მინიჭება, რაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ სხვა პირებს მსგავს სექტორებში და კატეგორიებში, გენდერული საკითხების და საქონლისა და შრომის ბაზრებზე ეთნიკური სეგმენტაციის, ისევე, როგორც ენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით. ;

გასაჩივრების მექანიზმი

27. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ პროექტისთვის შექმნილი გასაჩივრების მექანიზმი, როგორც ეს აღწერილია PR 10-ში კულტურული თვალსაზრისით მისაღებია და ხელმისაწვდომი მკვიდრი მოსახლეობისთვის და ითვალისწინებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას, და დავების ჩვეულებითი წესით გადაჭრის გზებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ნაკლები დამოკიდებულება წერილობითი პროცედურებზე და ხელი შეუწყოს მეტყობინების ზეპირი არხების გამოყენებას.

სხვა მოსაზრებები

28. პროექტის განხორციელების დროს კლიენტი დაუყოვნებლივ მიაწვდის EBRD-ს ინფორმაციას ადგილობრივ მოსახლეობასა და კლიენტს შორის ნებისმიერი კონფლიქტის შესახებ, რომელიც გადაუჭრელი რჩება პროექტის საჩივრების მექანიზმის გამოყენების მიუხედავად.
29. როდესაც მთავრობას აქვს განსაზღვრული როლი მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედების მართვაში პროექტთან დაკავშირებით, კლიენტი ითანამშრომლებს პასუხისმგებელ სამთავრობო სააგენტოსთან, რამდენადაც ეს შესაძლებელია და დაშვებულია სააგენტოს მიერ, რათა მიაღწიოს შედეგებს, რომლებიც შეესაბამება ამ PR-ის მიზნებს. გარდა ამისა, სადაც მთავრობის შესაძლებლობები შეზღუდულია, კლიენტი ითანამშრებს აქტიურ როლს საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის დროს სააგენტოს მიერ ნებადართული ზომით.

EBRD-ს შესრულების მოთხოვნა 8: კულტურული მემკვიდრეობა

შესავალი

თემებისთვის პოტენციურ სოციალურ-ეკონომიკურ სარგებლის ხელშეწყობა.

- ეს შესრულების მოთხოვნა (PR) აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას არსებული და მომავალი თაობებისთვის. მისი მიზანია, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა, და უხელმძღვანელოს კლიენტებს კულტურულ მემკვიდრეობაზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შერბილებაში მათი ბიზნეს საქმიანობის მსვლელობაში. კლიენტებისგან მოვლიან უსაფრთხოების ზომების დაცვას კულტურული მემკვიდრეობის მართვის და მდგრადი გამოყენების მიდგომის გზით.
- როგორც მატერიალური ისე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან აქტივებს წარმოადგენს და კულტურული თვითმყოფადობისა და პრაქტიკის (ტრადიციული უნარების, ცოდნის, რწმენის და/ან მცირე დიალექტების და ენების ჩათვლით) ერთიანობის განუყოფელი ნაწილია.
- დაცვისა და კონსერვაციის ამგვარი მიზნების შესრულების უზრუნველყოფის კონტექსტში, ეს PR ხელმძღვანელობს მოქმედი საერთაშორისო კონვენციებით და სხვა დოკუმენტებით. ის ასევე მიიჩნევს, რომ აუცილებელია ყველა მხარემ დაიცვას კანონები და წესები, რომლებიც ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც შეიძლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცეს და ვალდებულებების შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიხედვით, რომლებიც რატიფიცირებულია მასპინძელი ქვეყნების მიერ. ეს კანონები შეიძლება ეხებოდეს კულტურულ მემკვიდრეობას ან სიძველეებს, დაგეგმვისა ან მშენებლობის თანხმობას, ნაკრძალებს, დაცულ ტერიტორიებს, და სხვა კანონები და დებულებები, რომლებიც არეგულირებს აშენებულ მემკვიდრეობას, ან კანონები, რომლებიც ეხება მკვიდრი მოსახლეობის კულტურების დაცვას. დეტალური მოთხოვნები მკვიდრი მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებით მოცემულია PR 7-ში.

ამოცანები

- ამ PR-ის ამოცანებია:
 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და კონსერვაციის მხარდაჭერა
 - შერბილების იერარქიის მიდგომის მიღება კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად პროექტის უარყოფითი ზემოქმედებისგან
 - კულტურული მემკვიდრეობის ბიზნეს საქმიანობაში გამოყენებისგან მიღებული სარგებლის თანაბარი განაწილების ხელშეწყობა
 - სადაც იდენტიფიცირებულია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტები, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმირებულობის, დაფასების და გაძლიერების, ისევე როგორც ადგილობრივი

გამოყენების სფერო

- ეს PR ვრცელდება EBRD-ის მიერ პირდაპირ დაფინანსებულ ყველა პროექტზე, როგორც ეს დადგენილია გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით. კლიენტი, მისი ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეფასების პროცესის ფარგლებში, გამოავლენს ამ PR-ის შესაბამის მოთხოვნებს და მათი შესრულების გზებს, როგორც კლიენტის ზოგადი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) და/ან პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) განუყოფელი ნაწილი. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა მოცემულია PR 1-ში. გარდა ამისა, კლიენტს შეუძლია გამოიყენოს ეს PR პროექტის განხორციელების დროს, თუ პროექტი ზემოქმედებას ახდენს ან შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს კულტურულ მემკვიდრეობაზე (მატერიალური და არამატერიალური), რომელიც მანამდე არ იყო განსაზღვრული.
- ამ PR-ის მიზნებისათვის, ტერმინი კულტურული მემკვიდრეობა განისაზღვრება, როგორც რესურსების ჯგუფი, რომელიც წარსულიდან მემკვიდრეობით არის მიღებული, და რომელიც ხალხის მიერ განისაზღვრება, დამოუკიდებლად საკუთრებისგან, როგორც მათი ფასულობების, რწმენის, ცოდნისა და ტრადიციების ანარეკლი და გამოხატვა. იგი მოიცავს მატერიალურ (ფიზიკურ) და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც აღიარებულია ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ან საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ:
 - მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გულისხმობს უძრავ ან მოძრავ ობიექტებს, ადგილებს, ნაგებობათა ჯგუფებს, ასევე, მათთან დაკავშირებულ კულტურულ ან წმინდა ადგილებს და ბუნებრივი მახასიათებლები და ლანდშაფტები, რომლებსაც გააჩნია არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული, რელიგიური, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობა.
 - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ეხება პრაქტიკას, წარმოდგენას, გამოხატვას, ცოდნას და უნარებს, რომლებსაც საზოგადოებები, ჯგუფები და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირები, აღიარებენ, როგორც მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს და რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას.
- აღიარებს რა, რომ ადგილები, ობიექტები ან კულტურული ტრადიციები, რომლებიც წარმოადგენს ღირებულებას ან მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოექცეს პროექტის განვითარებისას, ვრცელდება ამ PR-ის დებულებები, თუ იგი:

- მოიცავს მნიშვნელოვან გათხრებს, დანგრევას, მიწის გადაადგილებას, დრენაჟს, დატბორვას ან ფიზიკური გარემოს სხვა ცვლილებებს
 - მდებარეობს ქვეყნის მიერ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე
 - შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება ჰქონდეს ხალხთა, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ფორმებზე.
8. ამ PR-ის მოთხოვნები ვრცელდება კულტურულ მემკვიდრეობაზე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი კანონიერად დაცული ან ჰქონდა თუ არა მასზე ადგილი მანამდე ზემოქმედებას. რაც შეეხება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, ამ PR-ის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფიზიკური კომპონენტი მატერიალურ გავლენას მოახდენს ასეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე ან თუ პროექტი აპირებს გამოიყენოს ასეთი კულტურული მემკვიდრეობა კომერციული მიზნებისთვის.

მოთხოვნები

კონსულტაციები ზემოქმედების ქვეშ მყოფ ხალხთან, თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

9. კლიენტი ჩაატარებს კონსტრუქციულ კონსულტაციებს და მიაწვდის ინფორმაციას ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარეს შემდეგი მიზნით: (ა) კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლოა დაზარალდეს; (ბ) დაინტერესებული მხარეებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაგება, მათ შორის ადგილობრივი თემებისთვის; (გ) ზემოქმედებისა და რისკების შეფასება; (დ) შემარბილებელი იერარქიის გამოყენება; და (ე) საზოგადოების პოტენციური სარგებლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირება. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და კონსტრუქციული კონსულტაციების ჩატარება განხორციელდება PR 10-ის მოთხოვნების დაცვით და ითვალისწინებს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის მეურვეებისა და ძირითადი მოსარგებლეების, მათ შორის ქალების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას.
10. კლიენტი, ზემოქმედების ქვეშ მყოფ ძირითად თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მეშვეობით, განსაზღვრავს, შეიძლება თუ არა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებამ ზიანი მიაყენოს კულტურული მემკვიდრეობის უსაფრთხოებას ან მთლიანობას. ასეთ სიტუაციებში კლიენტი კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას კონფიდენციალურად შეინახავს და ასევე შეიძლება სენსიტიური ინფორმაცია არ გამჟღავნოს საჯაროდ.

რისკების და ზემოქმედების შეფასება

11. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ადრეულ ეტაპზე, კლიენტი განსაზღვრავს, მოახდენს თუ არა პროექტი უარყოფით ზემოქმედებას რაიმე კულტურულ მემკვიდრეობაზე და შეაფასებს შემთხვევითი აღმოჩენის ალბათობას. კლიენტი ამასთან დაკავშირებით კონსულტაციებს გაივლის შესაბამის ორგანოებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, საჭიროების შემთხვევაში.
12. შეფასების პროცესში დახასიათებული იქნება პროექტის საბაზისო და პოტენციური რისკები და ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე. შეფასების მოცულობა საკმარისი იქნება ზემოქმედების პოტენციური მნიშვნელობის, ალბათობისა და სიმძიმის დასახასიათებლად და გაითვალისწინებს ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. კლიენტი კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შესამცირებლად შეიმუშავებს და განახორციელებს შემარბილებელ ზომებს შემარბილებელი იერარქიისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. როდესაც შეფასებამ დაადგინა, რომ პროექტს შეიძლება მოჰყვეს მატერიალური რისკები და ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე, კლიენტი დაიქირავებს კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტ(ებ)ს, რათა მათ დახმარება გაუწიონ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მომზადებაში, საჭიროებისამებრ.
13. კლიენტი პროექტთან დაკავშირებული სავსე კვლევების, დოკუმენტაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში გამოიყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას და უზრუნველყოფს ამ პრაქტიკის გამოყენებას კონტრაქტორების და სხვა მესამე მხარეების მიერ.

პროცედურა შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში

14. კლიენტი უზრუნველყოფს იმ დებულებების გათვალისწინებას კონტრაქტებში, საჭიროებისამებრ, რომლებიც არეგულირებენ შემთხვევით აღმოჩენებს, რაც განისაზღვრება, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა რომელიც იქნა მოულოდნელად ნაპოვნი პროექტის განხორციელების დროს. ასეთი დებულებები უნდა მოიცავდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების შეტყობინებას ნაპოვნი საგნების და ობიექტების შესახებ; პროექტის პერსონალის, მათ შორის კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების პერსონალის გაფრთხილებას შემთხვევითი აღმოჩენების შესაძლებლობის შესახებ; და უზრუნველყოფს აღმოჩენის ადგილის დაცვა რაიმე შემდგომი ზემოქმედებისგან ან განადგურებისგან. კლიენტი არ შეეხება რაიმე შემთხვევით აღმოჩენას დანიშნული და კვალიფიკური სპეციალისტის მიერ შეფასებამდე და ეროვნული კანონმდებლობისა და ამ PR-ის შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრამდე.

სამართლებრივად დაცული და საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიები

15. როდესაც პროექტს პოტენციურად შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს კულტურულ მემკვიდრეობაზე იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაცულია კანონით და/ან სხვა ეფექტური საშუალებებით, და/ან საერთაშორისოდ აღიარებულია, ან შემოთავაზებულია ეროვნული მთავრობების მიერ ასეთი სტატუსის მისანიჭებლად, ასეთ შემთხვევებში, კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს ასეთი ზემოქმედება. იმ სიტუაციებში, როდესაც ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია და სხვა ალტერნატივა არ არსებობს, კლიენტი განაგრძობს პროექტის განხორციელებას მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებდა შემდეგი მოთხოვნები:

- პროექტი აკმაყოფილებს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობას ეხება;
 - ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი შემოთავაზებული განვითარება კანონიერად არის ნებადართული, რაც შეიძლება მოითხოვდეს პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასებას დაცულ ტერიტორიაზე;
 - უზრუნველყოფილია ასეთ ტერიტორიებთან დაკავშირებული მთავრობის მართვის გეგმების დებულებები კულტურული მემკვიდრეობის შეფასების და მასთან დაკავშირებული მართვის გეგმის მომზადებისა და განხორციელების გზით;
 - შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები დაცული ტერიტორიების მმართველებთან, შესაბამის ორგანოებთან, ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, PR 10-ის შესაბამისად; და
 - შესწავლილი იქნას შესაძლებლობები და განახორციელდეს პროგრამები დაცული ტერიტორიის კონსერვაციის მანდატის, და ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის ხელშეწყობისთვის დაცული ტერიტორიის მართვის გეგმის შესაბამისად.

პროექტის მიერ კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება

16. თუ პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი თემების, რომლებიც მისდევენ ცხოვრების ტრადიციულ სტილს, მათი კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებას, კლიენტმა უნდა აცნობოს ამ თემებს შემდეგის შესახებ: (i) მათი უფლებები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; (ii) შემოთავაზებული კომერციული განვითარების ფარგლები და ზუნება; და (iii) ამგვარი განვითარების პოტენციური შედეგები. კლიენტი გააგრძელებს ასეთ კომერციულიზაციას მხოლოდ მაშინ, როდესაც: (i) შედის კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ თემებთან, რომლებიც ცხოვრების ტრადიციულ სტილს მისდევენ; (ii) დოკუმენტურად ასაბუთებს მათ ინფორმირებულ მონაწილეობას და მოლაპარაკებების წარმატებულ შედეგს; და (iii) უზრუნველყოფს, რომ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ თემებთან ასეთი ცოდნის, ინოვაციის ან პრაქტიკის კომერციულიზაციისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი გაზიარება მოხდება, მათი ადათებსა და ტრადიციების გათვალისწინებით. სადაც პროექტით გათვალისწინებულია მკვიდრი მოსახლეობის კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის გამოყენება, ვრცელდება PR 7-ის მოთხოვნები.

17. კლიენტი მიიღებს ზომებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნივთების ქურდობისა და ტრეფიკინგის დაცვისგან და აცნობებს შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი ასეთი ქმედების შესახებ.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 9: ფინანსური შუამავლები

შესავალი

- ეს შესრულების მოთხოვნა (PR) აღიარებს, რომ ფინანსური შუამავლები (FI) წარმოადგენენ ძირითად ინსტრუმენტს მდგრადი ფინანსური ბაზრების ხელშეწყობისთვის და უზრუნველყოფენ დაფინანსების მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა (SME) სექტორში წარსამართად საჭირო მექანიზმს. ასეთი შუამავლები მოიცავს ფინანსური მომსახურების სხვადასხვა პროვაიდერებს, მათ შორის, კერძო კაპიტალის ფონდებს, ბანკებს, სალიზინგო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს და სავაჭრო ფონდებს.
- საშუამავლო დაფინანსება ნიშნავს, რომ შუამავლები აიღებენ დელეგირებულ პასუხისმგებლობას გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაზე, რისკების მართვაზე და მონიტორინგზე. ისევე როგორც საერთო პორტფელის მართვაზე. დელეგირებამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, რაც დამოკიდებულია მთელი რიგ ფაქტორებზე, როგორცაა უზრუნველყოფილი დაფინანსების ტიპი. ფინანსური შუამავლების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შეფასება და მონიტორინგი, რომელიც განხორციელდება უწყვეტად მთელი პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

ამოცანები

- ამ PR-ის ამოცანებია:
 - ფინანსური შუამავლების მიერ მათ მიერ დაფინანსებული ქვეპროექტების ფარგლებში ეკოლოგიური და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვის შეფასება;
 - ფინანსური შუამავლების მიერ დაფინანსებულ ქვეპროექტებში გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის კარგი პრაქტიკის ხელშეწყობა;
 - ფინანსურ შუამავლებში კარგი გარემოსდაცვითი და ადამიანური რესურსების მართვის ხელშეწყობა.

გამოყენების სფერო

- ამ PR-ის მიზნებისთვის, სიტყვა „ქვეპროექტი“ ეხება ბიზნეს საქმიანობებს ან ინვესტიციებს, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს ფინანსური შუამავლების მიერ, ბანკის მიერ გამოყოფილი დაფინანსებიდან, რომელიც ფინანსური შუამავლების მონაწილეობით პროექტებისთვისაა განკუთვნილი.
- ამ PR-ის მოთხოვნები გავრცელდება ყველა ქვეპროექტზე.
- როდესაც EBRD-ს მიერ გამოყოფილი დაფინანსება მოიცავს ზოგად კორპორაციულ ფინანსებს, მათ შორის კაპიტალს, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს კონკრეტული ქვეპროექტების დაფინანსებას, ამ PR-ის მოთხოვნები გამოიყენება FI ყველა მომავალი ქვეპროექტისთვის.

- თუ ქვეპროექტს, სავარაუდოდ, ექნება მინიმალური ან არ ექნება უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, FI-ს არ სჭირდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის რაიმე პროცედურის გამოყენება.
- EBRD-მ შეიძლება მოსთხოვოს ფინანსურ შუამავალს დამატებითი ან ალტერნატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების მიღება და განხორციელება, რაც დამოკიდებულია FI-ს ბუნებაზე და მის ბიზნეს საქმიანობაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების დონეზე, რომელიც დაკავშირებულია მის პორტფელთან და ქვეპროექტებთან, და ოპერაციების განხორციელების ქვეყანაზე. ასეთი დამატებითი ან ალტერნატიული მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება კონკრეტულ გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებში, რომლებიც შეთანხმებული იქნება EBRD-სა და FI-ს შორის. EBRD-ის მიერ ინვესტიციის განხორციელების დროს.

მოთხოვნები

ფინანსური შუამავლის ორგანიზაციული შესაძლებლობები

- ფინანსური შუამავალი დანერგავს საკადრო პოლიტიკას, მართვის სისტემებს და პრაქტიკას PR 2-ის შესაბამისად (შრომისა და სამუშაო პირობები) და უზრუნველყოფს შესაბამისობას PR 4-ით განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებთან (ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცვა). ამის შესახებ ეცნობება ფინანსური შუამავლის თანამშრომლებს.
- ფინანსური შუამავალი დანიშნავს ერთ ან მეტ წარმომადგენელს თავისი უფროსი მენეჯმენტიდან, რომელთაც დაეკისრებათ გარემოს დაცვაზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და სოციალური საკითხებზე საერთო პასუხისმგებლობა, მათ შორის, ამ PR-ის, PR 2-ის და PR 4-ით განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის განხორციელებაზე. უფროსი მენეჯმენტის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა/წარმომადგენლებმა უნდა: (i) დანიშნოს პერსონალის წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების ყოველდღიურ განხორციელებაზე და უზრუნველყოს განხორციელების მხარდაჭერა; (ii) გამოავლინოს გარემოსდაცვითი და სოციალური ტრენინგების საჭიროებები და საჭირო ბიუჯეტი; და (iii) უზრუნველყოს, რომ ადეკვატური ტექნიკური გამოცდილება, შიდა ან საგარეო, ხელმისაწვდომია რათა მოხდეს ქვეპროექტების პოტენციურად მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასება და მართვა.

11. ფინანსური შუამავალი დანერგავს მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოსდაცვით და სოციალური მართვის სისტემას (ESMS), გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების ჩათვლით, რომლებიც შესაბამეა ფინანსური შუამავლის ბუნებას, მისი ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დონეს და ქვეპროექტების ტიპს.
12. სადაც ფინანსურ შუამავალს შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ მას უკვე აქვს ESMS, ის ამის საჩვენებლად შესაბამის დოკუმენტურ მტკიცებულებას წარადგენს. სადაც საჭიროა ESMS-ის დანერგვა ან გაუმჯობესება, FI შეათანხმებს სამოქმედო გეგმას EBRD-თან.
13. გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურები უნდა შეიცავდეს რისკის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს, საჭიროების შემთხვევაში, შემდეგ მიზნებში:
 - ყველა კლიენტის / ქვეპროექტის სკრინინგი EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გამონაკლისების ჩამონათვალის მიხედვით, რომელიც ჩართულია ESP-ში, როგორც დანართი 1, და ფინანსური შუამავლის რეფერალურ ჩამონათვალში, რომელიც ჩართულია A დანართის სახით ამ PR-ში.
 - შემოთავაზებული ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაცია (დაბალი / საშუალო / მაღალი) ფინანსური შუამავლებისთვის EBRD-ის ფინანსური შუამავლების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიზაციის ჩამონათვალის შესაბამისად ;
 - თავისი შეფასების მეშვეობით იმის უზრუნველყოფა, რომ ქვეპროექტების სტრუქტურირება იმგვარია, რომ შესრულდეს ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, საჯარო კონსულტაციებთან და გამჟღავნებასთან დაკავშირებული ეროვნული რეგულაციების შესაბამისად, და საჭიროების შემთხვევაში, მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმების განხორციელების მოთხოვნა კლიენტების მიმართ;
 - ქვეპროექტებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი და სოციალური ჩანაწერების რეგულარულად წარმოება და განახლება;
 - ქვეპროექტების მონიტორინგი გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და შრომით ეროვნულ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
14. როდესაც FI აფინანსებს ქვეპროექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მე-2 დანართში ჩამოთვლილ A კატეგორიის პროექტების კრიტერიუმებს, ასეთი ქვეპროექტები უნდა აკმაყოფილებდეს 1–8 და 10 PR-ების მოთხოვნებს.

15. FI-ის რეფერალურ ნუსხაში, რომელიც ამ PR-ში A დანართის სახით არის წარმოდგენილი, მოცემულია მთელი რიგი აქტივობების სია, რომლებიც განსაკუთრებით მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებით ხასიათდება. თუ ქვეპროექტი მოიცავს ამ PR-ის დანართ A-ში ჩამოთვლილ აქტივობებს, FI გადასცემს ამ ქვეპროექტს EBRD-ს.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

16. ფინანსური შუამავალი შექმნის სისტემას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე გარე კომუნიკაციისთვის. ფინანსური შუამავალი დროულად მოახდენს მოკვლევებსა და პრობლემებზე რეაგირებას. ფინანსურ შუამავლებს ასევე ურჩევენ გამოაქვეყნონ მათი კორპორაციული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა ან მათი ESMS-ის შეჯამება მათ ვებ-საიტზე, თუ ასეთი არსებობს. სადაც შესაძლებელია, ფინანსური შუამავლები მიუთითებენ მათ ვებსაიტზე ბმულებს ნებისმიერ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების (გსზშ) ანგარიშებზე A კატეგორიის ქვეპროექტებისთვის, რომლებსაც ისინი აფინანსებენ. FI-ები ასევე საჯაროდ გამოაქვეყნებენ ინფორმაციას EBRD-ისთვის გადაცემული ნებისმიერი ქვეპროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ ამ PR-ის მე-15 პარაგრაფის შესაბამისად, და ასეთი რისკების დასაძლევად შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, მოქმედი მარეგულირებელი შეზღუდვების, ბაზრის სენსიტიურობის ან ქვეპროექტის სპონსორის თანხმობის გათვალისწინებით.

EBRD-ის წინაშე ანგარიშგება

17. ფინანსური შუამავალი წარუდგენს EBRD-ს წლიურ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებს თავისი ESMS-ის, ამ PR-ის, PR 2-ის, PR 4-ით დადგენილი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მოთხოვნების განხორციელების, ისევე როგორც მისი ქვეპროექტების პორტფელის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესრულების შედეგების შესახებ.

A დანართი: FI-ს რეფერალური ნუსხა

FI-ების მიერ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს დაფინანსება ექვემდებარება EBRD-სთვის მიმართვას⁹⁶:

- (i) აქტივობები, რომლებიც იწვევს არანებაყოფლობით განსახლებას – *EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 5*
- (ii) საქმიანობა, რომელსაც, პოტენციურად შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს, ან რომელიც ხორციელდება დაცულ ტერიტორიაზე, რომელიც დაცულია კანონით და/ან საერთაშორისოდ აღიარებულია, ან შემოთავაზებულია ეროვნული მთავრობების მიერ ასეთი სტატუსის მისანიჭებლად, კრიტიკული ჰაბიტატი, სხვა ეკოსისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებს, სამეცნიერო ინტერესის მქონე უზნებს, იშვიათი/გადაშენების პირას მყოფი სახეობების ჰაბიტატებს, ეკონომიკური მნიშვნელობის მეთევზეობას ან ეკოლოგიური მნიშვნელობის პირვანდელი სახით შენარჩუნებულ/ძველ ტყეებს – *EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 6*
- (iii) საქმიანობა, რომელიც მოიცავს პირუტყვის ინტენსიურ მოშენებას – *EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 6*
- (iv) საქმიანობები, რომლებიც განლაგებულია იმ ტერიტორიაზე, ან მის მიმდებარედ, ან ზემოთ, რომელიც მკვიდრ მოსახლეობას და/ან მოწყვლად ჯგუფებს უკავიათ, მათ შორის მიწები და წყლის ნაკადები, რომლებიც გამოიყენება საარსებო საქმიანობისთვის, როგორცაა პირუტყვის ძოვება, ნადირობა ან თევზაობა – *EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 7*
- (v) აქტივობები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ კულტურული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის ობიექტებზე – *EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 8*
- (vi) აქტივობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გმობის გამოფრქვევა ბუნებრივ გარემოში – *EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 6*
- (vii) ნებისმიერი მიკრო, მცირე ან საშუალო ზომის ჰესი, რომელიც არ იწვევს A კატეგორიის მოთხოვნების ამოქმედებას – *EBRD-ის დასაშვებობის კრიტერიუმები მცირე ჰიდროელექტროსადგურების პროექტებისთვის*
- (viii) ნებისმიერი A კატეგორიის პროექტი, რომელიც შედის EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დანართ 2-ში

⁹⁶ ძირითადი შესრულების მოთხოვნა, რომელიც შემოთავაზებულმა ტრანზაქციებმა უნდა დააკმაყოფილონ, მითითებულია დახრილი ასოებით.

EBRD-ის შესრულების მოთხოვნა 10: ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

შესავალი

- ეს შესრულების მოთხოვნა (PR) აღიარებს კლიენტს, მის თანამშრომლებს, თანამშრომელთა წარმომადგენლებს, ადგილობრივ თემებს და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის (GIP) და კორპორაციული მოქალაქეობის ძირითად ელემენტს. ასეთი ჩართულობა ასევე წარმოადგენს პროექტების გარემოსდაცვითი, სოციალური და ზოგადი მდგრადობის გაუმჯობესების გზას. კერძოდ, პროექტის ხასიათის და მასშტაბის შესაბამისი ეფექტური სათემო ჩართულობა ხელს უწყობს ჯანსაღ და მდგრად გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას და შეიძლება გამოიწვიოს გაუმჯობესებული ფინანსური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგები, საზოგადოებრივი სარგებლის ზრდასთან ერთად.
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ძლიერი, კონსტრუქციული და საპასუხო ურთიერთობების მშენებლობისთვის, რომლებიც აუცილებელია პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების და რისკების წარმატებული მართვისთვის. ეს არის მიმდინარე და ინკლუზიური პროცესი, რომელიც ყველაზე ეფექტურია, თუ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროექტის ციკლის ადრეულ ეტაპზე იქნება უზრუნველყოფილი, და წარმოადგენს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასების, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელ ნაწილს.

ამოცანები

- ამ PR-ის ამოცანებია:
 - სისტემური მიდგომის განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმართ, რაც დაეხმარება კლიენტებს კონსტრუქციული ურთიერთობების შექმნასა და შენარჩუნებაში დაინტერესებულ მხარეებთან;
 - დაინტერესებული მხარეების ეფექტური და ინკლუზიური ჩართულობის ხელშეწყობა პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში;
 - შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაციის გასაჯაროების უზრუნველყოფა, და პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციული კონსულტაციების გამართვა, და საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის შედეგად მიწოდებული უკუკავშირი მხედველობაში მიიღება; და
 - იმის უზრუნველყოფა, რომ დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე რეაგირება და მართვა სათანადოდ ხდება.

გამოყენების სფერო

- ეს PR ვრცელდება ყველა პროექტზე. როგორც მინიმუმ, ყველა პროექტი უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეების იდენტიფიცირებას და გასაჩივრების მექანიზმის დანერგვას. დაინტერესებული მხარეების შემდგომი ჩართულობა, როგორც ეს ასახულია ამ PR-ში, უნდა იყოს პროექტის ხასიათისა და მასშტაბის, მისი დაინტერესებული მხარეების და მისი პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების თანაზომიერი.
- კლიენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და მათთან ჩართულობას, როგორც ზოგადი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) განუყოფელი ნაწილი, როგორც მითითებულია PR-ში 1. ეს PR ასევე წაკითხული უნდა იქნას ერთობლიობაში PR 2-ის მოთხოვნებთან, თანამშრომელთა ჩართულობასთან დაკავშირებით, და PR 4-თან ერთად - საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საკითხებში ჩართულობის შესახებ. პროექტების შემთხვევაში, რომლებიც მოიცავს არანებაყოფლობით განსახლებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მკვიდრ მოსახლეობაზე ან უარყოფით გავლენას ახდენენ კულტურულ მემკვიდრეობაზე, კლიენტი ასევე გამოიყენებს სპეციალური გასაჯაროებისა და კონსულტაციის მოთხოვნებს, როგორც ეს გათვალისწინებულია PR 5, PR 7 და PR 8-ში.

მოთხოვნები

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა და ანალიზი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დაგეგმვა, ინფორმაციის გასაჯაროება, კონსტრუქციული კონსულტაცია, საჩივრების მექანიზმის განხორციელება, და მიმდინარე ანგარიშგება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიმართ.
- კლიენტები განახორციელებენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას დაინტერესებული მხარეებისთვის დროულ, შესაბამის, გასაგებ და ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფით კონსტრუქციულად, ეფექტურად, ინკლუზიურად და კულტურულად შესაბამისი ფორმით და მანიპულირების, ჩარევის, ზეწოლის, დამინების და შურისძიების გარეშე.

8. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროექტის შემუშავების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, და გაგრძელდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხასიათი და სიხშირე უნდა იყოს პროექტის ხასიათისა და მასშტაბების და დაინტერესებულ მხარეთა პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური რისკებისა და ზემოქმედების დონის პროპორციული. კლიენტი დაიცავს საზოგადოების ინფორმირებასა და კონსულტაციებთან დაკავშირებულ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, მასპინძელი ქვეყნის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დაკისრებული ვალდებულებების განხორციელების კანონების მოთხოვნებს.
9. კლიენტი მკაფიოდ განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას, ასევე დანიშნავს შესაბამის პერსონალს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებასა და მონიტორინგზე.

ჩართულობა პროექტის მომზადებისას

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია

10. კლიენტი განახორციელებს სხვადასხვა პირების ან ჯგუფების იდენტიფიცირებას და დოკუმენტირებას, რომლებიც (i) პროექტის ზემოქმედების ქვეშ (ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები) არიან ან, სავარაუდოდ, იქნებიან მოქცეული (პირდაპირ ან ირიბად) ; ან (ii) შეიძლება ჰქონდეთ ინტერესი პროექტში (სხვა დაინტერესებული მხარეები).
11. კლიენტი განახორციელებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი იმ მხარეების (პირების ან ჯგუფების) იდენტიფიცირებას, რომლებიც კონკრეტული გარემოებების გამო შეიძლება იყვნენ დაუცველი ან მოწყვლადი. იდენტიფიცირების შედეგებზე დაყრდნობით, კლიენტი განსაზღვრავს იმ პირებს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებსაც შეიძლება განსხვავებული პრობლემები ან პრიორიტეტები გააჩნდეთ პროექტთან დაკავშირებულ ზემოქმედებასთან, შერბილების მექანიზმებთან და სარგებელთან მიმართებაში, და აქედან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს ჩართულობის სხვადასხვა და/ან ცალკეული ფორმები. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი დეტალიზაციის სათანადო დონით უნდა მოხდეს, ამ პროექტისთვის შესაბამისი კომუნიკაციის დონის დასადგენად.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

12. პროექტისთვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზემოქმედება და რისკები, კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს პროექტის ხასიათის და მასშტაბის ან რისკების, ზემოქმედებების და განვითარების ეტაპის შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP), ან დანერგავს ექვივალენტურ დოკუმენტირებულ პროცესს, რომელიც პროექტის ხასიათის, მასშტაბის, ზემოქმედების და განვითარების ეტაპის შესაბამისია. ნებისმიერი პროექტისთვის, რომლისთვისაც საჭიროა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (გსშმ), SEP გაითვალისწინებს საჯარო განხილვისა და კონსულტაციების მოთხოვნას A კატეგორიის პროექტებისთვის, როგორც ეს ასახულია ამ PR-ის 22-26 პარაგრაფებში.
13. SEP განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იმართებოდეს კონსულტაციები განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მომზადების და განხორციელების მთელ პერიოდში, მათ შორის, ჩართულობის პერიოდებს და მეთოდებს, გასაჯაროების ინფორმაციას, ენას(ებს) რომელზეც გასაჯაროება უნდა მოხდეს, და ინფორმაციის ტიპს, რომელიც მოძიებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეებისგან. SEP მორგებული იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების და სხვა დაინტერესებული მხარეების ძირითადი მახასიათებლების (მათ შორის გენდერის) და ინტერესებს და გაითვალისწინებს ჩართულობის სხვადასხვა დონეებს და მეთოდებს, რომლებიც შეიძლება შესაბამისი იყოს კონკრეტული მხარეებისთვის. დეტალიზაციის საჭირო დონე განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე. საჯარო ინფორმაციისთვის და კონსულტაციისთვის საჭირო რესურსები SEP-ში იქნება განსაზღვრული. SEP-ი განახლებდა საჭიროებისამებრ პროექტის ციკლის განმავლობაში.
14. როდესაც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა არსებითად დამოკიდებულია თემის წარმომადგენლებზე,⁹⁷ კლიენტი გონივრულ ზომებს მიიღებს, რათა შეამოწმოს, რომ ასეთი პირები მართლაც გამოხატავენ ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების შეხედულებებს და რომ ისინი ხელს უწყობენ კომუნიკაციის პროცესს, ინფორმაციის გადაცემით თემის შემადგენელი მოსახლეობისთვის და მათი შენიშვნების გადმოცემით კლიენტისთვის ან ხელისუფლებისთვის, საჭიროების შემთხვევაში.

⁹⁷ მაგალითად, თემის და რელიგიური ლიდერები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მასწავლებლები და/ან სხვები, რომლებიც წარმოადგენენ ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების ერთ ან მეტ ჯგუფს.

15. სადაც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა შესაბამისი სამთავრობო ორგანოების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, კლიენტი ითანამშრომლებს პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოსთან, რამდენადაც ეს ნებადართულია, რათა მიაღწიოს შედეგებს, რომლებიც შეესაბამება ამ PR-ს. სადაც არის განსხვავებები ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და ამ PR-ს შორის, კლიენტი განსაზღვრავს ჩართულობის დონისძიებებს რათა შეავსოს ფორმალური მარეგულირებელი პროცესი, და საჭიროების შემთხვევაში, აიღებს დამატებითი ქმედებების ვალდებულებას.
16. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის ცნობილი, SEP-ი შემუშავდება ჩარჩო მიდგომის ფორმატში, როგორც კლიენტის ზოგადი ESMS ნაწილი, რომელშიც მოცემულია ზოგადი პრინციპები და სტრატეგია დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისთვის და ჩართულობის დასაგეგმად ამ PR-ის შესაბამისად, რომელიც განხორციელდება ადგილმდებარეობის გარკვევის შემდეგ.
17. კლიენტები, რომლებიც მრავალ ადგილზე ახორციელებენ ოპერაციებსა და პროექტებს, რაც მოიცავს ზოგად კორპორაციულ ფინანსებს, საბრუნავ კაპიტალს ან კაპიტალის დაფინანსებას მიიღებენ და განახორციელებენ კორპორაციულ SEP-ს. კორპორაციული SEP-ი იქნება კლიენტების ბიზნესის და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების და დაინტერესებული მხარეების ინტერესის დონის შესაბამისი. SEP დროულად უნდა განხორციელდეს ობიექტებზე. იგი მოიცავს პროცედურებს და რესურსებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას, დაინტერესებულ მხარეთა ადეკვატური ჩართულობა ობიექტის დონეზე, და რომ დაინტერესებულ მხარეები, რომლებიც მისი ობიექტების სიახლოვეში არიან, მიიღებენ ინფორმაციას შესაბამისი ობიექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ.

ინფორმაციის გასაჯაროება

18. როდესაც პროექტი იწვევს გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას, კლიენტი გასაჯაროებს პროექტის შესაბამის ინფორმაციას, საჭიროებისამებრ რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს პროექტის რისკების, ზემოქმედების და შესაძლებლობების გაგებაში. კლიენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების წვდომას შემდეგ ინფორმაციაზე:
 - საპროექტო საქმიანობის მიზანი, ხასიათი, მასშტაბი და ხანგრძლივობა
 - დაინტერესებული მხარეების წინაშე არსებული რისკები და მათზე პოტენციური ზემოქმედება და შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმები, სადაც აღწერილია პოტენციური რისკები და ზემოქმედებები, რომლებმაც შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედონ მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებზე, და მათ შესარბილებლად გასატარებელი ზომები;
 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გათვალისწინებული პროცესი, არსებობის შემთხვევაში, და საზოგადოების მონაწილეობის შესაძლო გზები;

- ნებისმიერი გათვალისწინებული საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის დრო და ადგილი და შეხვედრების შესახებ შეტყობინების, მათი შეჯამების და ანგარიშგების პროცესი
- პროცესი, რომლითაც განხორციელდება რაიმე საჩივრების მართვა.

ეს ინფორმაცია გავრცელდება ადგილობრივ ენაზე (ენებზე), ხელმისაწვდომი და კულტურულად შესაბამისი გზით, იმ ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებზეც პროექტს შეიძლება სხვადასხვაგვარ ან არაპროპორციულ ზემოქმედებას ჰქონდეს ადგილი მათი სტატუსის გამო, ან მოსახლეობის ჯგუფები სპეციფიკური ინფორმაციის საჭიროებებით (უნარშეზღუდულობის, წიგნიერების, გენდერის, მობილურობის, ენის ან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების ჩათვლით). საჭიროების შემთხვევაში და კულტურულად მიზანშეწონილი გზით, შეიძლება ინფორმაციის გასამჟღავნებლად მესამე მხარე იყოს დაქირავებული, რათა თავიდან იქნას აცილებული დამინება, იძულება ან მანიპულირების ნებისმიერი ფორმა.

კონსტრუქციული კონსულტაციები

19. კლიენტი ჩაატარებს კონსტრუქციულ კონსულტაციებს პროექტის არასასურველი რისკებისა და ზემოქმედების ხასიათისა და მასშტაბის და დაინტერესებული მხარეების ინტერესის დონის შესაბამისად. თუ კლიენტი უკვე ჩართულია ასეთ პროცესში, ისინი მიაწვდიან ადეკვატურ დოკუმენტურ მტკიცებულებებს ასეთი ჩართულობის შესახებ.
20. კონსტრუქციული კონსულტაცია ორმხრივი პროცესია, რომელიც:
 - დაიწყება პროექტის დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპზე, რათა შეგროვებული იქნას პირველადი შეხედულებები საპროექტო წინადადებაზე და ისინი გათვალისწინებული იქნას პროექტის დიზაინში;
 - ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციული უკუკავშირის მიღებას, განსაკუთრებით, როგორც პროექტის განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საშუალება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიკაციასა და შერბილებაში;
 - გაგრძელდება უწყვეტ საფუძველზე;
 - ეფუძნება შესაბამისი, გამჭვირვალე, ობიექტური და ადვილად მისაწვდომი ინფორმაციის წინასწარ გასაჯაროებასა და გავრცელებას იმ ვადებში, რაც შესაძლებელს გახდის კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან;
 - ტარდება კულტურულად შესაფერის ფორმატში, შესაბამის ადგილობრივ ენაზე(ებზე), გასაგებია დაინტერესებული მხარეებისთვის და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების გადაწყვეტილების მიღების პროცესს;
 - ითვალისწინებს და პასუხობს უკუკავშირს;

- მხარს უჭერს აქტიურ და ინკლუზიურ თანამშრომლობას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან, მათ შორის დაუცველ ან მოწყვლად ჯგუფებთან;
 - თავისუფალია გარეშე მანიპულაციისგან, ჩარევისგან, ზეწოლისგან, დაშინებისგან და შურისძიებისგან.
 - დოკუმენტირებულია კლიენტის მიერ.
21. კლიენტი დროულად შეატყობინებს მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო საჯარო კონსულტაციების პროცესში, პროექტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების, გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების და პროექტისგან ადგილობრივი თემებისთვის რაიმე სარგებლის შესახებ იმ მოსაზრებებთან და დასაბუთებასთან ერთად, რომლებიც საფუძვლად უდევს პროექტს. ეს ინფორმაცია მოიცავს მიღებული უკუკავშირის შეჯამებას და მოკლე ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მოხდა მათი მხედველობაში მიღება, ან თუ რატომ არ მოხდა და ხელმისაწვდომი გასაჩივრების მექანიზმს.

გასაჯაროება და კონსულტაციები A კატეგორიის პროექტებთან დაკავშირებით

22. A კატეგორიის პროექტები კლიენტისგან მოითხოვენ ფორმალურიზებული, მონაწილეობითი გასაჯაროების და კონსულტაციების პროცესის ჩატარებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ESIA-ს პროცესის თითოეულ ეტაპზე, პროექტის განვითარების ეტაპის მიხედვით. ინფორმირებული მონაწილეობა გულისხმობს ორგანიზებულ და განმეორებით კონსულტაციას, რაც იწვევს კლიენტის მიერ მისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების შეხედულებების გათვალისწინებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათზე პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს.
23. კლიენტი ჩაერთვება სკოპინგის პროცესში დაინტერესებულ მხარეებსა და განსაზღვრულ მონაწილეებთან ერთად ESIA პროცესის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს ძირითადი რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება, რომლებიც უნდა შეფასდეს, როგორც ESIA ნაწილი. სკოპინგის პროცესის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებს უნდა შეეძლოთ SEP-ის წინასწარ გეგმასთან და სკოპინგის სხვა დოკუმენტებთან დაკავშირებით შენიშვნების და რეკომენდაციების შეთავაზება.
24. გარდა ESIA-ის და SEP-ისა, კლიენტი გასაჯაროებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას (ESAP) და არატექნიკურ რეზიუმეს (NTS)⁹⁸. შესაბამისი მართვის გეგმები უნდა იყოს გასაჯაროებული, როგორც ეს მითითებულია PR-ებში და როგორც შეთანხმებულია ბანკთან.

25. გარდა ამისა, კონსულტაციების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული კანონების და სხვა შესაბამისი კანონების ნებისმიერ მოქმედ მოთხოვნას. კლიენტი უზრუნველყოფს ESIA-ს საჯაროობას პროექტის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში, მაგრამ ის შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, დამატებითი ინფორმაციის კვადაკვალ, ან დაარქივებული იყოს პროექტის დასრულების შემდეგ, იმ პირობით, რომ იგი მოთხოვნისამებრ დროულად იქნება ხელმისაწვდომი.
26. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარული ანგარიშების მიწოდება დაინტერესებულ მხარეებისთვის. ეს ანგარიშები ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეებისთვის იქნება ხელმისაწვდომი ცალკე პუბლიკაციის სახით, ან გასაჯაროვდება კლიენტის ვებსაიტზე, ან როგორც მოცემულია SEP-ში. ეს ანგარიშები გასაჯაროვდება როგორც მინიმუმ, ყოველწლიურად, დაინტერესებულ მხარეთა პრობლემების პროპორციულად.

ჩართულობა პროექტის განხორციელების მიმდინარეობისას და გარე ანგარიშგება

27. პროექტის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში, კლიენტი განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის ინფორმაციას, უწყვეტ საფუძველზე. ინფორმაციის მიწოდების სიხშირე, მეთოდი და ინფორმაციის შინაარსი შესაბამისობაში იქნება პროექტის ხასიათთან და მის უარყოფით გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებსა და ზემოქმედებასთან, და დაინტერესებული მხარეების ინტერესის დონესთან. შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროება ან კონსულტაციის ჩატარება პროექტის ციკლის საკვანძო ეტაპებზე, და რაიმე კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვლენილია გასაჯაროების, კონსულტაციების პროცესში, ან იდენტიფიცირებულია საჩივრების მექანიზმის მეშვეობით, როგორც პრობლემა დაინტერესებული მხარეებისთვის.
28. საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი ასევე მოიძიებს უკუკავშირის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეებისგან ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ. პროექტებისთვის, რომლებსაც პოტენციურად მნიშვნელოვანი რისკები ან უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეთ ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე, და დაინტერესებული მხარეების ინტერესის დონის შესაბამისად, კლიენტმა შეიძლება ჩართოს თემის წევრები ან სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის აქტივობებში, რომლებიც ასახულია PR 1-ში.

გასაჩივრების მექანიზმი

⁹⁸ EBRD-ის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დირექტივა ითვალისწინებს, რომ ბანკი აქვეყნებს გასაჯაროებას A კატეგორიის პროექტებისთვის 60 კალენდარული დღით ადრე დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის განხილვამდე კერძო სექტორის პროექტებისთვის და 120 კალენდარული დღით ადრე საჯარო სექტორის პროექტების საბჭოს მიერ განხილვამდე.

29. კლიენტი უნდა იცნობდეს და დროულად უნდა მოახდინოს რეაგირება დაინტერესებული მხარეების პრობლემებზე პროექტთან დაკავშირებით. ამ მიზნით, კლიენტმა უნდა ჩამოაყალიბოს საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი, პროექტის განვითარების პროცესის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე რათა მიიღოს და ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების პრობლემების და საჩივრების გადაწყვეტას, კერძოდ, კლიენტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. საჩივრის განხილვის მექანიზმის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს პროექტის რისკების და შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბს:

- გასაჩივრების მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას პრობლემებზე, გამჭვირვალე და კულტურული თვალსაზრისით მისაღები გზით, ყოველგვარი მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დაშინების და შურისძიების გარეშე, და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეებისთვის უფასოდ. მექანიზმი არ უნდა ზღუდავდეს სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაცვის საშუალებებზე წვდომას. კლიენტი აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს გასაჩივრების მექანიზმის შესახებ საზოგადოებასთან ჩართულობის საქმიანობის ფარგლებში და რეგულარულად მოახსენებს საზოგადოებას მისი განხორციელების შესახებ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კონფიდენციალურობის დაცვით.
- საჩივრების მართვა უნდა განხორციელდეს კულტურულად მისაღები წესით, და უნდა იყოს გონივრული, ობიექტური, სენსიტიური და პასუხობდეს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებს და პრობლემებს. ეს მექანიზმი ასევე უნდა იძლეოდეს ანონიმურად საჩივრების წარდგენის და მათზე რეაგირების საშუალებას.
- კლიენტი განიხილავს მედიაციის უზრუნველყოფას საჩივრების გადაწყვეტისას პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოების მნიშვნელოვან შემფოთებას იწვევენ; და
- რეგულარულად განხორციელდება საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირების მონიტორინგი და ტენდენციების ანალიზი.

ცვლილებები პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებსა და ზემოქმედებაზე

30. SEP-ი უნდა შეიცავდეს დებულებებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ, თუ ადგილი აქვს ცვლილებებს პროექტის სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე, რაც გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს გარემოსდაცვითი ან სოციალური რისკებისა და ზემოქმედების თვალსაზრისით. კლიენტი გაასაჯაროებს დაინტერესებულ მხარეებთან, თუ როგორ ხდება მათი შერბილება და არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უარყოფითი რისკები და ზემოქმედება ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებზე. კლიენტს მოეთხოვება დამატებითი კონსულტაციების ჩატარება.

შენიშვნები

EBRD-ს საკონტაქტო ინფორმაცია

European Bank for Reconstruction and Development

One Exchange Square

London EC2A 2JN

United Kingdom

www.ebrd.com

Switchboard/central contact

Tel: +44 20 7338 6000

Information requests

For requests and enquiries, please go to
www.ebrd.com/eform/information-request

1096 Environmental and Social Policy

© European Bank for Reconstruction and Development